სექსუალური ძალადობის მსხვერპლი/მოწმე ბავშვების გამოკითხვის თავისებურებები

სარჩევი

1. შესავალი 3

2. განმარტებათა ჩარჩო 3

3. აკრონიმები და აბრევიატურები 5

4. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა და რეგულაციები ბავშვთა გამოკითხვის შესახებ 6

5. ბავშვზე სექსუალური ძალადობა ბავშვის განვითარების კონტექსტში 7

5.1. ბავშვის სექსუალური ვიქტიმიზაციის გააზრება. მითები და ფაქტები ბავშვზე სექსუალური ძალადობის შესახებ. ბავშვზე სექსუალური ძალადობა, როგორც ბავშვობაში მიღებული ერთ-ერთი ყველაზე მძიმე უარყოფითი გამოცდილება. ბავშვზე სექსუალური ძალადობით გამოწვეული ტრავმის გავლენა 7

5.2. *მოძალადეთა ტიპოლოგია ბავშვზე სექსუალური ძალადობის შემთხვევებში* 12

5.3. ბავშვზე სექსუალური ძალადობის გამოვლენასა და მსხვერპლის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული გამოწვევები. ვიქტიმიზაციის ფიზიკური და ქცევითი ნიშნები სექსუალური ძალადობის შემთხვევებში 15

5.4. ბავშვთა ჩვენების სანდოობა. მყარი გამოკითხვის მნიშვნელობა ისეთ შემთხვევებში, როდესაც სექსუალური ძალადობის ფიზიკური მტკიცებულება არ არსებობს 19

5.6. ბავშვზე სექსუალური ძალადობის შემთხვევების გაუმჟღავნებლობა ან დაგვიანებით გამჟღავნება. მერყევ მოწმეებთან მუშაობა 31

5.7. ჩვენების უარყოფისა და უკან წაღების რისკების გააზრება. ჩვენების უკან წაღების პრევენცია ტრავმა-ინფორმირებული გამოკითხვის გზით. გამოკითხვა, როგორც ფართო, ბავშვზე მორგებული და ტრავმა-ინფორმირებული მიდგომის ნაწილი; მულტიდისციპლინური სერვისების როლი ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფაში 33

6. კომუნიკაცია ადგილზე, პირველადი რეაგირების პერსონალისთვის 38

6.1. ოპერაციული სახელმძღვანელო ინსტრუქციები პოლიციის დისპეჩერებისთვის 38

6.2. ოპერაციული სახელმძღვანელო ინსტრუქციები პირველადი რეაგირების პერსონალისთვის. კომუნიკაცია მტკიცებულების გაფუჭების პრევენციის მიზნით 40

7. ბავშვის საგამოძიებო ინტერვიუირების (გამოკითხვის) მეთოდოლოგია 44

7.1. ბავშვზე მორგებული გამოკითხვის ოთახი: ბარნაჰუსის მოდელი. ოთახში და/ან ოთახის გარეთ მესამე მხარეების ყოფნის პროტოკოლი. დოკუმენტირების პროტოკოლი 44

7.2. გამოკითხვის დაგეგმვა. კოორდინაცია წამყვან გამომძიებელს და ფსიქოლოგს შორის. ფსიქოლოგის შერჩევა. ბავშვის შეფასება გამოკითხვის დაგეგმვისას (მათ შორის, ბავშვის კომუნიკაციის საჭიროებების, გენდერული საჭიროებების, არსებული რისკების და ა.შ. შეფასება). ბავშვის შესაძლებლობის შეფასება, მონაწილეობა მიიღოს გამოკითხვაში, გარკვეული გამოწვევების არსებობის შემთხვევაში (მცირეწლოვანი ბავშვი, კომუნიკაციის უნარის მძიმე დარღვევის მქონე ბავშვი). ენის და ქცევის შეფასება 49

7.3. ბავშვის საგამოძიებო ინტერვიუირების/გამოკითხვის პროტოკოლი: NICHD 54

7.4. ინტერვიუირების ასაკის შესაბამისი ტექნიკები. მცირეწლოვანი ბავშვების გამოკითხვის სპეციფიკა (სკოლამდელი და დაწყებითი კლასის მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფები) 73

7.5. ნეიროგანვითარების დარღვევის მქონე ბავშვების გამოკითხვის სპეციფიკა (აუტიზმის სპექტრის, ჰიპერაქტიურობის/ყურადღების დეფიციტის სინდრომის მქონე და ა.შ.) ბავშვები 84

7.6. ბავშვების მონაწილეობით სხვა საგამოძიებო პროცედურების ჩატარების სპეციფიკა (პირის ამოცნობა) 91

7.7. საგამოძიებო ინტერვიუსთვის დამხმარე საშუალებების გამოყენება. კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებები 93

7.8. სასამართლო სხდომაზე ინტერვიუს (გამოკითხვის) ჩანაწერის წარდგენა 93

დანართი 1. NICHD-ის განახლებული პროტოკოლი და მისი დანართები 95

დანართი 2. გავრცელებული მითები და მცდარი წარმოდგენები ბავშვების ინტერვიუირების შესახებ 95

დანართი 3. გამოყენებული წყაროები 98

1. შესავალი

სახელმძღვანელო შემუშავებულია ევროპის საბჭოს პროექტის „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა საქართველოში: ბავშვთა დაცვა და პრევენცია ძალადობისგან, მათ შორის ციფრულ გარემოში“ ფარგლებში, რომელიც ეყრდნობა ევროპის საბჭოს წინა პროექტის „ბავშვთა სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობაზე რეაგირება საქართველოში“ (2017-2019 წწ.) და რეგიონული პროექტის „ონლაინ სივრცეში ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის და ძალადობის დასრულება ევროპაში“ (2019-2021 წწ.) ფარგლებში მიღწეულ შედეგებს.

ბავშვზე სექსუალური ძალადობის გამოძიების თანამედროვე პრაქტიკა გამომძიებლებისგან საჭიროებს არა მხოლოდ შესაბამისი საერთაშორისო და ადგილობრივი სამართლებრივი ნორმების და სტანდარტების, არასრულწლოვნის გამოკითხვის ორგანიზების და ჩატარების მეთოდოლოგიური პრინციპების ცოდნას და უნარებს, არამედ გამომძიებლის კომპეტენციის გაზრდას არასრულწლოვანი მსხვერპლების მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მახასიათებლების შესახებ.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის გამოკითხვის მართებულად და ხარისხიანად ჩატარებაში გამომძიებლებს მნიშვნელოვნად დაეხმარება ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში არსებული ცოდნა და გამოცდილება ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა ბავშვის განვითარების და ასაკობრივი თავისებურებები, მეტყველების და კომუნიკაციის უნარები, ბავშვის შთაგონებადობა, ფანტაზია, მეხსიერება, მომხდარის შესახებ გადმოცემის შესაძლებლობები, ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ტრავმული ზემოქმედება და მისი კლინიკური გამოვლინებები, და სხვა. გამომძიებლის მიერ აღნიშნული საკითხების გათვალისწინება მინიმუმამდე დაიყვანს ბავშვის ხელახალი ტრავმირების შესაძლებლობას მისი გამოკითხვის პროცესში და განაპირობებს ბავშვისგან გამოძიებისთვის სასარგებლო ინფორმაციის მიღებას.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში სამართალდამცავი ორგანოების შესაძლებლობების განვითარებას, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის შემთხვევებში ბავშვზე მორგებული და ტრავმა-ინფორმირებული გამოკითხვის ჩატარების კუთხით. სახელმძღვანელოს ძირითად სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ გამომძიებლები, თუმცა, წინამდებარე რესურსის გარკვეული ასპექტები შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს სხვა პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვისაც, მათ შორის, პირველადი რეაგირების პერსონალისთვის, ფსიქოლოგებისთვის, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის.

2. განმარტებათა ჩარჩო

ჰიპერაქტიურობის / ყურადღების დეფიციტის სინდრომი	განმარტებულია დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-11 გამოცემაში (ICD-11), 6A05 *ჰიპერაქტიურობის / ყურადღების დეფიციტის სინდრომი.* წინამდებარე მეთოდოლოგიური

	სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, ნებისმიერი ბავშვი, რომელსაც სავარაუდოდ აღენიშნება ჰიპერაქტიურობის / ყურადღების დეფიციტის სინდრომი, განხილული უნდა იქნას, როგორც ჰიპერაქტიურობის / ყურადღების დეფიციტის სინდრომის მქონედ, მიუხედავად ოფიციალური დიაგნოზისა.
აუტიზმის სპექტრი	განმარტებულია დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-11 გამოცემაში (ICD-11), 6A02 *აუტიზმის სპექტრი.* წინამდებარე მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, ნებისმიერი ბავშვი, რომელსაც სავარაუდოდ აღენიშნება აუტიზმის სპექტრი, განხილული უნდა იქნას, როგორც აუტიზმის სპექტრის მქონედ, მიუხედავად ოფიციალური დიაგნოზისა.
ბავშვი	18 წლამდე ასაკის ნებისმიერი პირი
ბავშვზე სექსუალური ძალადობა	განზრახი ქმედება, რომელიც შედგება: a) სექსუალური ურთიერთობის დამყარება ბავშვთან, რომელსაც ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების მიხედვით, ჯერ არ მიუღწევია სექსუალური ურთიერთობისთვის კანონით დადგენილი ასაკისთვის; b) სექსუალური ურთიერთობის დამყარება ბავშვთან თუ: - აღნიშნული ხორციელდება იძულების, ძალის ან მუქარის გამოყენებით; ან - ძალადობა ხორციელდება ბავშვის მიმართ ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით, მათ შორის ოჯახში; ან - ძალადობა ხორციელდება ბავშვის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, კერძოდ მისი გონებრივი ჩამორჩენილობის, ან ფიზიკური უუნარობის, ან დამოკიდებული მდგომარეობის გამო.
კომუნიკაციის უნარის დარღვევა	ნეიროგანვითარების დარღვევა, რომელიც ხასიათდება ვერბალური, არავერბალური ან

	გრაფიკული ენის, გამონათქვამების და/ან კომუნიკაციის გაგზავნასთან, მიღებასთან, დამუშავებასთან ან გაგებასთან დაკავშირებული დარღვევებით.
გამჟღავნება	მსხვერპლის მიერ განცდილი ვიქტიმიზაციის აღწერა/გაზიარება. გამჟღავნება შესაძლოა იყოს პირდაპირი ან ირიბი, სრული ან ნაწილობრივი, ვერბალური ან არავერბალური, ვინმეს მიერ წახალისებული ან საკუთარ ნება-სურვილზე დამყარებული, განზრახული ან შემთხვევითი.
ინტელექტუალური განვითარების შეფერხება	განმარტებულია დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-11 გამოცემაში (ICD-11), 6A00 *ინტელექტუალური განვითარების შეფერხება*
ნეიროგანვითარების დარღვევა	ქცევითი ან კოგნიტური დარღვევები, რომლებიც წარმოიშობა განვითარების პერიოდში და მოიცავს მნიშვნელოვან სირთულეებს სპეციფიური ინტელექტუალური, მოტორული, ენობრივი ან სოციალური ფუნქციების შეძენის და განხორციელების კუთხით.

3. აკრონიმები და აბრევიატურები

ACE	ბავშვობაში მიღებული ნეგატიური გამოცდილება
ADHD სინდრომი	ჰიპერაქტიურობის / ყურადღების დეფიციტის სინდრომი
ASD	აუტიზმის სპექტრი
CSA	ბავშვზე სექსუალური ძალადობა
JJC	საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი
NICHD	ბავშვის ჯანმრთელობის და განვითარების ეროვნული ინსტიტუტი

4. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა და რეგულაციები ბავშვთა გამოკითხვის შესახებ

ბოლო წლებში საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განახორციელა ბავშვზე სრულად მორგებული მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბების კუთხით, ბავშვის უფლებების შესახებ საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტების, მათ შორის, „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპების“ შესაბამისად. 2015 წელს მიღებულ იქნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც ადგენს ჩარჩოს რეფორმის შემდგომ ნაბიჯებთან დაკავშირებით. კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, იგი გამოიყენება მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანი დაზარალებულის და მოწმის მონაწილეობისას. კოდექსის 52-ე მუხლი არეგულირებს არასრულწლოვნის გამოკითხვის პროცედურას. აღნიშნული მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების თანახმად, საპროცესო ქმედებას, რომელშიც არასრულწლოვანი დაზარალებული/მოწმე მონაწილეობს, მისი კანონიერი წარმომადგენელი და ადვოკატი უნდა ესწრებოდეს (აღნიშნული ეხება როგორც გამოკითხვას, ისე პირის ამოცნობას). ფსიქოლოგის მონაწილეობა გამოკითხვაში დაშვებულია „საჭიროების შემთხვევაში“. ამავდროულად, კოდექსი ცალსახად არ ითვალისწინებს ისეთ გარემოებებს, რა შემთხვევაშიც აუცილებელია ფსიქოლოგის მონაწილეობა. იგი, აგრეთვე, არ განსაზღვრავს ფსიქოლოგის როლს გამოკითხვის დროს. ეს მიდგომა ფორმალისტური მიდგომის რისკს ქმნის, როდესაც ფსიქოლოგის მონაწილეობა რეალურად არ შემატებს გამოკითხვას რაიმე დამატებით ღირებულებას.

ამას გარდა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ითვალისწინებს სხვადასხვა სპეციალურ ზომებს, რომლებიც გამოიყენება არასრულწლოვანი მოწმეებისა და დაზარალებულების მიმართ, კერძოდ: ბავშვის გამოკითხვის ვიდეო ჩანაწერის მტკიცებულების სახით დაშვებას სასამართლოში, რაც ბავშვს პროცესზე ჩვენების მიცემის ვალდებულებისგან ათავისუფლებს. აღნიშნული მისასალმებელი ნაბიჯია, რადგან იგი ამცირებს არასრულწლოვნის გამოკითხვის რაოდენობას. სასურველია, კოდექსი შეიცავდეს უფრო დეტალურ კრიტერიუმებს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება არასრულწლოვნის სასამართლოში ჩვენების მიცემის ვალდებულებისგან განთავისუფლება, განსაკუთრებით სექსუალური ძალადობის და სხვა, განსაკუთრებით მძიმე ან ძალადობრივი დანაშაულის შემთხვევებში. ასეთ საქმეში, სასამართლო სხდომაზე ზოგადად დაშვებული უნდა იყოს არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების ვიდეო ჩანაწერის მოსმენა, თუ მოსამართლე სხვაგვარად არ დაადგენს.

პროგრესულ ცვლილებებს, რომელსაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა ჩაუყარა საფუძველი, დამატებით ხელს უწყობს კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვზე მორგებულ გარემოს დანაშაულის მსხვერპლი და მოწმე ბავშვებისთვის, მათ შორის, სისხლისსამართლებრივი წარმოების კონტექსტში. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს მთავრობის დადგენილება No. 1825 (2020 წ.), რომელიც ითვალისწინებს ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის შექმნას ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის და ამტკიცებს საქართველოშო ბარნაჰუსის სერვისების დანერგვას. ეს უაღრესად პოზიტიური მოვლენაა, რომელიც ქმნის ბავშვთა გამოკითხვის მოდელის ყოველმხრივი ტრანსფორმაციის შესაძლებლობას და მის

დანერგვას ფართო მულტიდისციპლინურ მიდგომაში, რომელიც ბარნაჰუსის მოდელის განუყოფელი ნაწილია.

5. ბავშვზე სექსუალური ძალადობა ბავშვის განვითარების კონტექსტში

5.1. ბავშვის სექსუალური ვიქტიმიზაციის გაგება. მითები და ფაქტები ბავშვზე სექსუალური ძალადობის შესახებ. ბავშვზე სექსუალური ძალადობა, როგორც ბავშვობაში მიღებული ერთ-ერთი ყველაზე მძიმე უარყოფითი გამოცდილება. ბავშვზე სექსუალური ძალადობით გამოწვეული ტრავმის გავლენა

სექსუალური ძალადობა, ლანსაროტის კონვენციის მე-18 მუხლის თანახმად არის განზრახი ქმედება, რომელიც მოიცავს შემდეგს:

a) სექსუალური ურთიერთობის დამყარება ბავშვთან, რომელსაც ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების მიხედვით, ჯერ არ მიუღწევია სექსუალური ურთიერთობისთვის კანონით დადგენილი ასაკისთვის;

b) სექსუალური ურთიერთობის დამყარება ბავშვთან თუ:

- აღნიშნული ხორციელდება იძულების, ძალის ან მუქარის გამოყენებით; ან
- ძალადობა ხორციელდება ბავშვის მიმართ ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით, მათ შორის ოჯახში; ან
- ძალადობა ხორციელდება ბავშვის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, კერძოდ მისი გონებრივი ჩამორჩენილობის, ან ფიზიკური უუნარობის, ან დამოკიდებული მდგომარეობის გამო.

სექსუალური ძალადობა შესაძლოა, იყოს კონტაქტური ან არაკონტაქტური. კონტაქტური სექსუალური ძალადობა შესაძლოა მოიცავდეს ან არ მოიცავდეს სხეულში შეღწევას.

სექსუალური ექსპლუატაცია არის მოწყვლადობის, ძალაუფლების ან ნდობის ბოროტად გამოყენება ან ბოროტად გამოყენების მცდელობა სექსუალური მიზნებისთვის, მათ შორის, სხვა პირის სექსუალური ექსპლუატაციის შედეგად ფულადი, სოციალური ან პოლიტიკური სარგებელის მისაღებად.

ბავშვზე სექსუალური ძალადობა და/ან ექსპლუატაცია არის ვიქტიმიზაციის კომპლექსური გამოცდილება, რომელიც საჭიროებს ყოვლისმომცველ მიდგომას. იმ ზიანის გამოსწორება, რომელსაც იწვევს ბავშვის სექსუალური ვიქტიმიზაცია, შეუძლებელია მხოლოდ სამართლებრივი საშუალებით, არამედ, მასზე რეაგირება უნდა განხორციელდეს მულტიდისციპლინური ძალისხმევის საფუძველზე, ექიმების, ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკებისა და სხვა სპეციალისტების ჩართულობის გზით, საჭიროების შესაბამისად.

მაღალია ალბათობა იმისა, რომ ბავშვობაში ძალადობის ისტორიას ექნება როგორც მოკლე, ისე გრძელვადიანი ნეგატიური გავლენა მსხვერპლზე, რაც მას აქცევს ე.წ. ბავშვობაში

მიღებულ ნეგატიურ გამოცდილებად (ACE). ბავშვზე სექსუალური ძალადობის ფიზიკური შედეგები მოიცავს სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებებს. ზოგიერთი მათგანი იწვევს შეზღუდულ შესაძლებლობას ან სიკვდილსაც კი; ბავშვზე სექსუალური ძალადობა (CSA) შესაძლოა იწვევდეს არასასურველ ორსულობას და სექსუალური გზით გადამდებ დაავადებას. ქცევითი და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, CSA განაპირობებს ძილის აშლილობის, კვებითი აშლილობის, დაბალი თვითშეფასების, ნივთიერების ბოროტად გამოყენების, შიშისა და შფოთვის, დეპრესიის და პოსტტრავმული სტრესული აშლილობის მაღალ რისკებს.[1] ბავშვზე ფიზიკური ძალადობა და სექსუალური ძალადობა ზრდის ძალადობის რისკებს მომავალში, განსაკუთრებით, ზრდასრულ ასაკში ოჯახში ძალადობის განცდის რისკებს.[2] ბავშვზე სექსუალური ძალადობის ისტორია, ასევე, პოზიტიურ კავშირშია მოზარდობაში ან ზრდასრულ ასაკში სქესობრივი დანაშაულის ჩადენის რისკთან.[3] ფსიქიკური ჯანმრთელობის კომპლექსურობის და სიმძიმის, ზოგადად ბავშვზე ძალადობის და კერძოდ, სექსუალური ძალადობის ვიქტიმოგენური და კრიმინოგენური შედეგების გათვალისწინებით, ბავშვზე ძალადობის ინციდენტების პრევენციას, დროულ გამოვლენას, აღკვეთას და სათანადო გამოძიებას, რასაც თან ახლავს არასრულწლოვანი მსხვერპლის მხარდაჭერა, არსებითი მნიშვნელობა აქვს მთლიანად საზოგადოებაში კრიმინალური ვიქტიმიზაციის შესამცირებლად.

5.1.

სექსუალური ძალადობით გამოწვეული ფსიქოტრავმის გავლენა ბავშვზე

სექსუალური ძალადობა, როგორც ტრავმული გამოცდილება

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შედეგების განხილვისას, ყოველთვის განსაკუთრებით აღინიშნება ძალადობის ამ ფორმის დამაკნინებელი და / ან შიშის მომგვრელი გავლენა ბავშვის ფსიქიკურ მდგომარეობაზე, ფიზიკური მდგომარეობისთვის საფრთხის შექმნა ან ზიანი და სამომავლო პრობლემები ფსიქო-ფიზიკურ განვითარებაში. ამდენად, სექსუალური ძალადობა ადამიანური ფაქტორით გამოწვეული სტრესული და ტრავმული მოვლენაა, რომელიც განსაკუთრებით მტკივნეულად აისახება ბავშვზე, რადგან მას, როგორც წესი, განმეორებითი ხასიათი აქვს და ის უმეტესად დაკავშირებულია ბავშვისთვის ნაცნობ, არცთუ იშვიათად კი, მის უშუალო გარემოცვაში მყოფ ადამიანთან.

სექსუალური ძალადობით გამოწვეული ტრავმა ბავშვს დაუცველობის, უსუსურობის განცდას უყალიბებს და ადამიანებისადმი ნდობის უნარს უკარგავს. ასეთი ზემოქმედება ხასიათდება თანმხლები დაჟინებული ფიქრით გადატანილი ძალადობის შესახებ, რაც, თავის მხრივ, საპასუხო ფსიქიკურ და ფიზიოლოგიურ რეაქციათა მთელ რიგს იწვევს. ეს რეაქციები თავდაპირველად

[1] Essabar, L.; Khalqallah, A.; Benjelloun, B.S. Child Sexual Abuse: Report of 311 Cases with Review of Literature. Pan Afr. Med. J. 2015, 20.; see also Morais, H.B.; Alexander, A.A.; Fix, R.L.; Burkhart, B.R. Childhood Sexual Abuse in Adolescents Adjudicated for Sexual Offenses: Mental Health Consequences and Sexual Offending Behaviors. Sex. Abus. 2018, 30.

[2] Barrios, Y.V.; Gelaye, B.; Zhong, Q.; Nicolaidis, C.; Rondon, M.B.; Garcia, P.J.; Sanchez, P.A.M.; Sanchez, S.E.; Williams, M.A. Association of Childhood Physical and Sexual Abuse with Intimate Partner Violence, Poor General Health and Depressive Symptoms among Pregnant Women. PLoS ONE 2015, 10, e0116609.

[3] Morais, H.B.; Alexander, A.A.; Fix, R.L.; Burkhart, B.R. Childhood Sexual Abuse in Adolescents Adjudicated for Sexual Offenses: Mental Health Consequences and Sexual Offending Behaviors. Sex. Abus. 2018, 30.

ემსახურება სექსუალური ძალადობით გამოწვეული ტრავმის "მონელებას", "გადახარშვას", მიღებული მტკივნეული გამოცდილების გადამუშავებას. თუ საფრთხესთან გამკლავების ეს პროცესი წარუმატებელი აღმოჩნდა, მაშინ ბავშვებში ყალიბდება ფსიქიკური აშლილობის სიმპტომები (PTSD) ყალიბდება.

სამწუხაროდ, რაც უფრო გახანრგძლივებულია ტრავმა და რაც უფრო გამოკვეთილია მწვავე პოსტტრავმული რეაქციები, მით მეტია ალბათობა იმისა, რომ ამას მოჰყვება ქრონიკული და მუდმივი ცვლილებები ბავშვის ემოციურ, ქცევით, კოგნიტურ და ფიზიოლოგიურ ცხოვრებაში.

ამასთანავე, ბავშვის მდგომარეობას ხშირად ის გარემობაც ამძიმებს, რომ ტრავმასთან ერთად მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები იჭრება: სახეს იცვლის საახლობლოს ხატი, ჩვეული ცხოვრების წესი. ბავშვის უსაფრთხოების განცდას აკნინებს ისეთი პროვოკაციული ფაქტორები, როგორიცაა გარშემომყოფთა სიბრალულის ან ზოგჯერ დადანაშაულების შემცველი დამოკიდებულება, გამოძიების და სასამართლო პროცესები, გადატანილი ძალადობის შესახებ სხვებთან საუბარი (მაგალითად, საგამოძიებო გამოკითხვისას), ძალადობის ფაქტის და მასთან დაკავშირებული გარემოებების საჯარო განხილვა, პრესაში გახმაურება და სხვა.

ბავშვის ტრავმირებულობის ხარისხს განსაზღვრავს:

- *ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებები* - ასაკი, სექსუალური ურთიერთობების შესახებ მისი გაცნობიერებულობის ხარისხი, ნერვული სისტემის თავისებურებები, სტრესმედეგობა (Resilience) და სხვა;

- *ძალადობის სიტუაცია* - ოჯახში თუ ოჯახსგარეთ განხორციელდა ძალადობა; გამოყენებული იყო თუ არა ძალა, მოტყუება, მოსყიდვა, მუქარა და სხვა, სცადა თუ არა ბავშვმა წინააღმდეგობის გაწევა („(„ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ ის ჩემზე ძლიერი იყო და ვერაფერს გავხდი"), აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვის ფსიქოლოგიურ ტრავმას ამძიმებს მსგავსი ფიქრებით გაჩენილი ბრალეულობის განცდა და რეალურად მსხვერპლი არასდროს არის დამნაშავე მომხდარში.

- *ფიზიკურ დაზიანებათა სიმძიმე;*

- *ძალადობის ხანგრძლივობა* - შეიძლება იყოს რამდენიმე წუთიდან რამდენიმე წლამდე;

- *მოძალადისადმი ბავშვის დამოკიდებულება* - რაც უფრო ახლობელი ადამიანია მოძალადე, მით უფრო მძიმეა ტრავმა, რადგან ბავშვს ამ დროს მოძალადის მიმართ ერთდროულად სიახლოვისა და სიძულვილის ურთიერთსაპირისპირო გრძნობები უჩნდება.

- *სოციალური ფაქტორები* - თუ ძალადობის სიტუაციისას ბავშვი უმოქმედოდ იყო, ზოგჯერ მშობლები ან სხვა ადამიანები (მათ შორის, სპეციალისტებიც), მას ადანაშაულებენ და ეუბნებიან: "ვერ გამოიქეცი?", „რატომ არ დაიყვირე?" და ა.შ. მეტად მნიშვნელოვანია კონტექსტის როლი – ოჯახის მონაწილეობა ან სხვა სახის დახმარების არსებობა.

- ადაპტაციური პასუხი ტრავმაზე

ბავშვის ნერვული სისტემა საფრთხეზე გარკვეული ნეირობიოლოგიური, ნეიროენდოკრინული და ნეიროფსიქოლოგიური პასუხებით რეაგირებს. ამ პასუხების ხასიათი მრავალფეროვანია და დამოკიდებულია ძალადობის ფორმაზე, ინტენსივობაზე, სიხშირეზე.

საფრთხესთან, სტრესთან, ტრავმასთან თუ ძალადობასთან გასამკლავებლად ორგანიზმი გარკვეული დამცავ რეაქციებს მიმართავს. ეს დამცავი, ადაპტური რეაქციები ერთი ბუნებისაა, მაგრამ გამოხატვის ფორმა განსხვავებულია, საფრთხის დონისა და ზემოქმედების ხანგრძლივობის მიხედვით. თითოეული ბავშვისათვის ნიშნეულია უნიკალური, ინდივიდუალური პასუხები ტრავმაზე.

განასხვავებენ ადაპტაციური რეაქციის **ორ ძირითად ტიპს:**

1) ჰიპერერაუზალი (Hyperarousal) - ბრძოლა ან გაქცევა (Fight or Flight) და
2) გათიშვის დისოციაციური (Shut-Down Responses) რეაქცია (გაყინვა / Freeze, „მკვდრის როლის თამაში“, დამორჩილება).

ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ ყველაზე მოსალოდნელი რეაქცია ძალადობის საფრთხეზე არის შებრძოლება ან გაქცევა. თუმცა, გაირკვა, რომ ტრავმულ სიტუაციაში კერძოდ, სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, ყველა ბავშვი და ზრდასრულთა უმრავლესობა ამა თუ იმ სიღრმის დისოციაციას მიმართავს, როგორიცაა მოშვება-მოდუნება, დაყურადება, დანებება, გულისწასვლა. ეს გასაგებიცაა: სექსუალური ძალადობის სიტუაციაში, ბავშვი, როგორც წესი, დაბნეული, შეშინებული, უმწეოა, ვითარებას ვერ ცვლის, ბრძოლა ან გაქცევა შეუძლებელია და ის ქვეცნობიერად ერთგვარი დანებების სტრატეგიას „ირჩევს“, გადასარჩენად საკუთარ თავში „გარბის“. დისოციაციის სიღრმე დამოკიდებულია გადატანილი ტრავმის ინტენსივობასა და ხანგრძლივობაზე.

თითოეულ ტრავმულ მოვლენას თავისი დასაწყისი და დასასრული აქვს. საფრთხის აღქმის კვალობაზე, ბავშვის შინაგანი მდგომარეობა იცვლება. საფრთხესთან გამკლავების საწყის ეტაპზე მსხვერპლის საპასუხო რეაქცია არის მიყურადების მდგომარეობა. თუ საფრთხის განცდა ძლიერდება, აგზნების დონე იზრდება – საფრთხის საპასუხოდ შესაბამისი ფსიქიკური და ფიზიკური რეაქცია მზადდება. აგზნების დონის მომატება იწვევს სიმპატიკური ნერვული სისტემის თანდათანობით აქტივაციას, რასაც ახლავს გულისცემისა და სუნთქვის გახშირება, დაგროვილი გლუკოზის გადასვლა კუნთებში, სისხლის არტერიული წნევისა და კუნთების ტონუსის მომატება. ამას მოსდევს შიში, ხოლო ემოციური მდგომარეობის ყველაზე ბოლო წერტილად შეიძლება მივიჩნიოთ პანიკის განცდა. ამასთან, საფრთხის შემცველი სიტუაციის ზემოქმედებისას, ბავშვის გრძნობები, ფიქრები და ქცევა თავის ტვინის უფრო ძველი, “პრიმიტიული“, ცნობიერებას მოკლებული უბნებით იმართება.

ბავშვობაში გადატანილი ტრავმით და შესაბამისი ადაპტური რეაქციების გამოყენებით განპირობებული ზეგავლენა განსაზღვრავს შორეულ ემოციურ, ქცევით, კოგნიტურ, სოციალურ და ფიზიოლოგიურ ცვლილებებს ბავშვის თავის ტვინის განვითარებასა და ფუნქციონირებაში.

შინაგანი მდგომარეობა

როგორც ცნობილია, ბავშვზე სექსუალური ძალადობა ხშირად „დაფარული საფრთხეა“ და შეიძლება რამდენიმე თვის და წლის განმავლობაშიც კი ფარულად ხორციელდებოდეს.

სექსუალური ძალადობების განმეორებით გამოწვეული საფრთხის ხშირი განცდა ცვლის ბავშვის შინაგან მდგომარეობას და მასში **მუდმივ შიშსა და საფრთხის მოლოდინს** აყალიბებს. ზოგიერთი “მშიშარა“ ბავშვისთვის დამახასიათებელია გამომწვევი ქცევა, „მწყობრიდან გამოსვლა“, უტიფრობა, რომელსაც გარემომცველები შიშს ვერ უკავშირებენ და აღიქმება, როგორც თავნება, ურჩი ბავშვის გამაღიზიანებელი საქციელი, რომელიც გაბრაზებას იწვევს.

ტრავმული გამოცდილების მქონე ბავშვი, ზედმეტად “კარგად“ ამოიკითხავას გაბრაზებული და იმედგაცრუებული მოზრდილის სხეულის ენას, გრძნობს საფრთხეს და დაყურადების მდგომარებიდან პანიკის მდგომარეობაში გადაინაცვლებს. ასეთი ბავშვები, შესაძლოა, მყისიერად „ჩაიკეტონ“, გაჯიუტდნენ. სხვა ადამიანი კი ბავშვის ამგვარი საქციელის მიზეზს ვერ ხედავს. ამ

შემთხვევაში, ბავშვის მდგომარეობა ასახავს მის მცდელობას, მოერგოს და უპასუხოს აღქმულ (გარეშე თვალისთვის შეცდომით დანახულ) საფრთხეს.

შეშინებული ბავშვი სიტყვიერ ინფორმაციას ნაკლებად აღიქვამს და მისი ყურადღება გამახვილებულია საფრთხესთან დაკავშირებულ გარე სიგნალებზე; ესაა, როგორც წესი, კომუნიკაციის არავერბალური მხარე: თვალებით კონტაქტი, სახის გამომეტყველება, სხეულის პოზა . შესაბამისად, ბავშვის შემდგომი ქმედება დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ამოიკითხავს იგი ამ სხეულის ენაში და როგორ განმარტავს ამ არავერბალურ კომუნიკაციას. შიშის მდგომარეობას თან სდევს ცნობიერების ველის შევიწროვება და ძალიან შემოფარგლული პასუხები. ბავშვი რეფლექსურ პასუხებს იძლევა, აგრესიას მიმართავს ან მან შეიძლება ცნობიერებაც კი დაკარგოს.

მწვავე პოსტტრავმული პერიოდი - მდგომარეობის ნორმალიზება

ტრავმული მოვლენის დასრულების შემდეგ, ორგანიზმში აგზნება ნელ-ნელა კლებულობს. ბავშვი თანდათან, დროისა და დახმარების წყალობით, გამოდის ძალადობის განცდის, შიშის, მიყურადების მდგომარეობიდან და მშვიდდება. გულისცემა, სისხლის წნევა და სხვა ფიზიოლოგიური მაჩვენებლები ნორმას უბრუნდება. თუ ბავშვს დამშვიდების შესაძლებლობა აქვს, ნორმალიზდება ფსიქიკური პროცესები (კოგნიტური, ემოციური, ქცევითი). ჰიპერმგრძნობელობა მცირდება, რასაც მოჰყვება ყურადღებასთან დაკავშირებული ფსიქიკური პროცესების მოწესრიგება. დისოციაციაში ჩართული ბავშვი ყურადღებას თანდათან გარე სტიმულებისადმი მიმართავს.

მართალია, ბავშვი იწყებს ფიქრს და მომხდარის გააზრებას და მდგომარეობა ნორმალიზდება, მაგრამ ამ გააზრების პროცესს თან სდევს გადატანილ ტრავმასთან დაკავშირებული შიშის და შფოთვის ჩამოყალიბება.

ტრავმის "გაცოცხლება" გონებაში

სექსუალური ძალადობა, როგორც მატრავმირებელი მოვლენა, მსხვერპლი ბავშვის გონებაში კვლავ და კვლავ განახლდება. გონებაში შემოჭრილმა, ტრავმასთან დაკავშირებულმა ხატ-სურათებმა, შესაძლოა, მთლიანად მოიცვას, წაშალოს, „გადარეცხოს" მისი აზროვნება. ძალადობის ხელახალი განცდა და საფრთხის "გაცოცხლება" შეიძლება მოიცავდეს ბავშვის მიერ მეგობრისთვის ამ ამბის ბევრჯერ მოყოლას, თამაშში განმეორებით განსახიერებას ან აკვიატებულ განმეორებად სიზმარს, რაც იმის მანიშნებელია, რომ ბავშვს ჩამოუყალიბდა ტრავმასთან დაკავშირებული ტრავმული მოგონება.

საფრთხესთან დაკავშირებული მოუშუშებელი მოგონებები თითქოს მუდმივად სიფხიზლის მდგომარეობაში იმყოფება. ტრავმული მოგონებები ტვინის ყველა სისტემასა და უბანზე ინახება. ამიტომ ტრავმასთან დაკავშირებულ მოვლენების (მაგალითად, გამოსახულება, ხმა, სუნი) ხელახალმა ხილვამ, შესაძლებელია, მოგონება და შესაბამისი ტრავმული სიმპტომები აღძრას. სამწუხაროდ, ტრავმული მოვლენის ბავშვის გონებაში გამეორება ნიშნავს არა მარტო ამბის გახსენებას, არამედ თანხლები მძიმე ემოციების, უსუსურობის განცდის, შეგრძნებებისაც კი.

თითოეული ასეთი შემოჭრილი ფიქრი, ღამის კოშმარი, თუ გათამაშება ბავშვის ფიზიკურ და ემოციურ დაძაბულობას და საბოლოოდ, მის ფიზიკურ გამოფიტვას, აფექტურ ემოციებს იწვევს. თავის არიდება იმისაგან, რაც ბავშვს ტრავმას ახსენებს, ნიშნავს ფსიქიკური პროცესების მგრძნობელობის დაქვეითებას – გახევებას, რეაქციების დაბლაგვებას, დისოციაციებს.

განრიდება, უგრძნობლობა და დისოციაცია

ტრავმის გონებაში "გაცოცხლების", მომხდარის შემხსენებელი ნებისმიერი მოვლენის ზეგავლენით ტრავმირებულ ბავშვს გაუსაძლისი ტკივილი და შფოთვა ეუფლება, შესაბამისად, მისი ემოციური

სამყარო უაღრესად დატვირთულია. თუ ბავშვი ვერ ახერხებს ამის თავიდან აცილებას, მან შეიძლება დისოციაციას მიმართოს.

დისოციაციის დროს ბავშვი თითქოს სივრცეში იყურება. ძნელად პასუხობს შეკითხვებზე. პასუხები ბუნდოვანია, თითქოს ბავშვს პასუხის გასაცემად ძალისხმევა სჭირდება. ეს გასაგებია, რადგან მისი სხეული აქ არის, ხოლო გონება – არა. გონება ამ დროს ცდილობს ტრავმული მოგონებებიდან გაქცევას და მომხდარის შემახსენებელი ფაქტორების და ტკივილის შემცირებას.

თუკი ბავშვს არ გაეწევა დახმარება სექსუალური ძალადობით გამოწვეული ტრავმის დასაძლევად, შესაძლოა, ჩამოყალიბდეს ნეიროფსიქიკური აშლილობა - პოსტტრავმული სტრესული აშლილობა.

პოსტტრავმული სტრესული აშლილობა (PTSD)

თუ სექსუალური ძალადობით გამოწვეული ტრავმული სიმპტომები გადატანილი ძალადობიდან 1 თვის შემდეგაც შენარჩუნებულია და აკმაყოფილებს სადიაგნოზო კრიტერიუმებს, მიიჩნევა, რომ ბავშვს თუ მოზარდს პოსტტრავმული სტრესული აშლილობა აქვს.

პოსტტრავმული სტრესული აშლილობისათვის დამახასიათებელია სიმპტომების შემდეგი სამი ძირითადი ჯგუფი:

• ტრავმული მოვლენის განმეორებადი, დაჟინებული აღმოცენება;

• სისტემატური "გაქცევა" (განრიდება) ტრავმასთან ასოცირებული მოვლენებისაგან ან პასუხისმგებლობის საერთო შესუსტება;

• მომატებული აგზნების სიმპტომები - ფსიქო-ფიზიოლოგიური ზე-რეაგირება.

ტრავმირებული ბავშვისათვის დამახასიათებელია თანმდევი შიშის დაბალი დონე, შეიძლება აღინიშნოს ქცევის იმპულსურობა, ზემგრძნობელობა, ჰიპერაქტიურობა, გულჩათხრობილობა ან დეპრესია, ძილის სირთულეები (ინსომნია, მოუსვენარი ძილი და ღამის კოშმარი), შფოთვა. მოსალოდნელია რეგრესია („პატარაობაში დაბრუნება",, განვითარების შენელება. გარდა ამისა, აღინიშნება ფიზიოლოგიური ჰიპერაქტიურობა, რომელიც იწვევს გულისცემის გახშირებას ან არტე-რიულ წნევის მატებას.

ტრავმული მოვლენის შედეგად PTSD-ის ჩამოყალიბება რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული. ჯერ ერთი, რაც უფრო დიდი საფრთხე უმუქრებოდა სიცოცხლეს, მით უფრო მოსალოდნელია PTSD-ის ჩამოყალიბება. მეორეც, რაც უფრო მეტად აფერხებს მომხდარი ბავშვის ჩვეულ ოჯახურ, სასკოლო თუ სოციალურ ცხოვრებას, მით უფრო მაღალია PTSD-ს ფორმირების რისკი. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ ფსიქიკას აქვს ბუნებრივი აღდგენის/გამკლავების რესურსი, შესაძლოა, ძალადობის მსხვერპლ ბავშვს არ განუვითარდეს პოსტტრავმული სტრესული აშლილობა.

5.2. *მოძალადეთა ტიპოლოგია ბავშვზე სექსუალური ძალადობის შემთხვევებში*

ბავშვზე სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირები, ფართო თვალსაზრისით, იყოფიან სიტუაციურ და პრეფერენციულ მოძალადეებად.[4]

[4] Seth L. Goldstein (1998) "The Sexual Exploitation of Children", ISBN 0-8493-8154-1 p. 96.

სიტუაციური მოძალადე აღნიშნავს მოძალადეს, რომლის სექსუალური პრეფერენცია ბავშვებს არ უკავშირდება, თუმცა, იგი სქესობრივ კავშირს ამყარებს ბავშვებთან მხოლოდ და მხოლოდ ადვილი ხელმისაწვდომობის გამო და/ან თავს იტყუებს ბავშვის ასაკისა და სქესობრივი კავშირისადმი თანხმობის შესახებ. სიტუაციური მოძალადის მიერ ბავშვზე სექსუალურ ძალადობას შესაძლოა ჰქონდეს ან არ ჰქონდეს რეგულარული ხასიათი.

პრეფერენციული მოძალადე აღნიშნავს მოძალადეს, რომელიც აქტიურად ეძებს ბავშვებს სქესობრივი კავშირის დასამყარებლად. ასეთი მოძალადეები იყოფიან შემდეგ ჯგუფებად: ა) პედოფილები (პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ პედოფილიის დიაგნოსტიკურ კრიტერიუმებს, ე.ი. მათი სექსუალური ინტერესის ძირითად ან ერთადერთ საგანს წარმოადგენენ პრეპუბერტატული ბავშვები. ძირითადად აღინიშნება პაციენტებში 16 წლიდან) და ბ) არა-პედოფილური პრეფერენციული მოძალადეები (ე.ი. კაცები, რომლებიც ეძებენ ქალწულებს სქესობრივი კავშირის დასამყარებლად).

პედოფილური მოძალადეები ხშირად გარკვეულ ქცევით პატერნებს ავლენენ:

> **"გრუმერები" ან "მაცდუნებლები":** ასეთი მოძალადეები მზად არიან, მნიშვნელოვანი დრო და რესურსები დაუთმონ თავიანთი მსხვერპლების დაყოლიებას (გრუმინგს). ისინი ბავშვის შეცდენის მიზნით იჩენენ განსაკუთრებულ ყურადღებიანობას, მოსიყვარულეობას და/ან ბავშვს ჩუქნიან საჩუქრებს. ხშირად მსხვერპლი არის მოწყვლადი ბავშვი, რომელიც მშობელთა სიყვარულის ნაკლებობას განიცდის, რის გამოც იგი „ადვილი სამიზნეა."
>
> **"ინტროვერტები":** ასეთ ადამიანებს აღენიშნებათ კომუნიკაციის უნარების ნაკლებობა ბავშვის „გრუმინგისთვის" და ხშირად ბავშვებზე ძალადობას სჩადიან ფასილიტატორების მეშვეობით. ამასთან, როგორც წესი ინტროვერტები ძალადობენ პატარა ასაკის ბავშვებზე.
>
> **"სადისტები":** ასეთი ადამიანები სიამოვნებას იღებენ მსხვერპლის ტკივილისგან. მოძალადეთა აღნიშნული ტიპი ყველაზე ნაკლებად არის გავრცელებული, თუმცა, ისინი ბავშვების მიმართ ყველაზე სასტიკ და შოკისმომგვრელ დანაშაულებს სჩადიან.

რაც შეეხება ონლაინ სივრცეში ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციას და ძალადობას (OCSEA), კროუნის (Krone)[5] მოდელი ითვალისწინებს ცხრა ტიპისგან შემდგარ კლასიფიკაციის სისტემას:

- **ნავიგატორი:** ბავშვზე სექსუალური ძალადობის შემცველ მასალას (CSAM) ნახულობს შემთხვევით, თუმცა, გადაწყვეტს, რომ ეს მასალა შეინახოს. ხასიათდება მოძალადეთა ქსელში დაბალი ჩართულობით.
- **პირადი ფანტაზია:** CSAM მასალას ინახავს პირადი მიზნებისთვის, საკუთარი სექსუალური ფანტაზიების დასაკმაყოფილებლად, ამ მასალების სხვებისთვის

[5] Krone, T. A Typology of Online Child Pornography Offending; Australian Institute of Criminology: Canberra, Australia, 2004.

გაზიარების განზრახვის გარეშე. ხასიათდება მოძალადეთა ქსელში დაბალი ჩართულობით.

- **ტრაულერი:** იყენებს სხვადასხვა სახის სექსუალურად ექსპლიციტურ მასალებს, რომელთა მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს CSAM მასალები. ეს მასალები მინიმალურად ან საერთოდ არ არის დაცული. ხასიათდება მოძალადეთა ქსელში დაბალი ჩართულობით.

- **კოლექციონერი, რომელიც არ იყენებს უსაფრთხოების ზომებს:** მონაწილეობს მოძალადეთა ქსელებში, CSAM მასალების გაზიარების, გაყიდვის, შესყიდვის ან ჩამოტვირთვის მიზნით. არ იყენებს უსაფრთხოების ფართომასშტაბიან ზომებს ამ მასალების დათვალიერების პროცესში.

- **კოლექციონერი, რომელიც იყენებს უსაფრთხოების ზომებს:** მონაწილეობს მოძალადეთა ქსელებში, CSAM მასალების გაზიარების, გაყიდვის, შესყიდვის ან ჩამოტვირთვის მიზნით. იყენებს უსაფრთხოების ფართომასშტაბიან ზომებს ამ მასალების დათვალიერების პროცესში.

- **ონლაინ გრუმერი:** ამყარებს სქესობრივ ურთიერთობებს ბავშვებთან, დროთა განმავლობაში, სექსუალური ძალადობისა და მათი სქესობრივი აქტივობისადმი დესენსიბილიზაციის მიზნით. ონლაინ გრუმერი სჩადის კონტაქტურ ან კიბერ ძალადობას.

- **ფიზიკური მოძალადე:** სჩადის კონტაქტურ ძალადობას. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური მოძალადე, შესაძლოა, ახდენდეს მის მიერ ჩადენილი ძალადობის დოკუმენტირებას, აღნიშნულს ახორციელებს მხოლოდ პირადი სექსუალური მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნებისთვის და არა სხვა მომხმარებლებთან გასაზიარებლად.

- **პროდიუსერი:** სჩადის კონტაქტურ ძალადობას და ახდენს ძალადობის დოკუმენტირებას, CSAM მასალების სხვებთან გაზიარების მიზნით.

- **დისტრიბუტორი:** მოიპოვებს/ფლობს CSAM მასალებს დისტრიბუციისთვის და შესაძლოა არ ჰქონდეს სექსუალური ინტერესი ბავშვების მიმართ.

მოძალადეთა ტიპოლოგიისა და პროფილების გააზრება მნიშვნელოვანია საგამოძიებო სტრატეგიისთვის, განსაკუთრებით, მოძალადის დაკითხვის მიდგომის ასარჩევად. აღნიშნული ასევე რელევანტურია პროცესზე ბრალდებულის გამოცხადების უზრუნველსაყოფად სათანადო ზომის არჩევისას - ე.ი. როდესაც არჩევანი უნდა გაკეთდეს წინასწარ პატიმრობასა და არასაპატიმრო ღონისძიების (მაგ. გირაო) გამოყენებას შორის. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ გამომძიებელი თავს იკავებეს მოძალადეთა ერთ რომელიმე კატეგორიაში მოქცევისგან (“pigeonholing”), რადგან დანაშაულის ჩადენა ყოველთვის დინამიური პროცესია და მხოლოდ ერთი კონკრეტულ ტიპოლოგიისთვის მკაცრად მიდევნება გამოიწვევს მოძალადის მნიშვნელოვანი ტაქტიკების უგულებელყოფას.

5.3. ბავშვზე სექსუალური ძალადობის გამოვლენასა და მსხვერპლის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული გამოწვევები. ვიქტიმიზაციის ფიზიკური და ქცევითი ნიშნები სექსუალური ძალადობის შემთხვევებში

ბავშვზე სექსუალური ძალადობის (CSA) შემთხვევების გამოვლენასა და იდენტიფიცირებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის:

a) CSA ინციდენტებს ადგილი აქვს კერძო გარემოში, იდუმალების ატმოსფეროში;

b) მაღალია ბავშვის მიერ ინციდენტის გაუმჟღავნებლობის ან დაგვიანებით გამჟღავნების შესაძლებლობა, რაც განსაკუთრებით მაღალია ისეთ შემთხვევებში, სადაც სავარაუდო მოძალადე არის ოჯახის წევრი ან სასტიკი ძალადობის შემთხვევებში (ასევე, იხ. სექცია 5.6 *ბავშვზე სექსუალური ძალადობის შემთხვევების გაუმჟღავნებლობა ან დაგვიანებით გამჟღავნება. მერყევ მოწმეებთან მუშაობა)*

c) მათ, ვისაც ევალებათ CSA შემთხვევების შეტყობინება, არ აქვთ საკმარისი შესაძლებლობები, რათა ამოიცნონ ბავშვზე სექსუალური ძალადობის ნიშნები, ჩამოაყალიბონ გონივრული ეჭვი და მოახდინონ შემთხვევის შეტყობინება.

მაშინაც კი, როდესაც ბავშვზე ძალადობის სავარაუდო შემთხვევას ატყობინებენ სამართალდამცავ ორგანოებს, დაბალია ალბათობა იმისა, რომ მოძალადემ დატოვა სასამართლო სამედიცინო მტკიცებულება, ხოლო მართლმსაჯულების სექტორში მომუშავე პრაქტიკოსი სპეციალისტები, როგორც წესი, ბავშვის ჩვენებას მტკიცებულების სანდო წყაროდ არ განიხილავენ - რასაც კიდევ უფრო ამწვავებს გამოძიების ფარგლებში ბავშვის გამოკითხვის ჩატარების შესაძლებლობების ნაკლებობა. ყოველივე აღნიშნული დაბრკოლებას უქმნის სამართლებრივი დევნის წარმოებას.

ბავშვზე სექსუალური ძალადობა ონლაინ სივრცეში, ლაივ რეჟიმში[6] არის დანაშაულებრივი ქცევის სპეციფიური ტიპი, რომლის გამოვლენა და მსხვერპლის იდენტიფიცირება სერიოზულ გამოწვევებთანაა დაკავშირებული. ლაივსტრიმის სიჩქარისა და ინციდენტის რეალურ დროში მიმდინარეობის გათვალისწინებით, სამართალდამცავი ორგანოებისათვის უაღრესად რთულია ლაივსტრიმერსა და მიმღებს შორის მიმდინარე ინტერაქციების პროაქტიული კონტროლი. პრაქტიკაში გამოწვევებთანაა დაკავშირებული ისეთი ტექნოლოგიის გამოყენება, რომელიც გამოავლენს, მოდერირებას გაუწევს ან უზრუნველყოფს ლაივ რეჟიმში CSAM მასალის გადაცემის პრევენციას. ECPAT International-ისა და Interpol-ის თანახმად: „ონლაინ

[6] ლუქსემბურგის სახელმძღვანელო პრინციპების (2016) თანახმად, ონლაინ სივრცეში ჩადენილი CSA შემთხვევა, რომელიც ლაივ რეჟიმში გადაიცემა, გულისხმობს „ბავშვის სექსუალური ძალადობის ლაივ რეჟიმში გადაცემას, მაყურებლებისთვის ჩვენებას ინტერნეტ სტრიმინგის საშუალებით [ხშირად უწოდებენ 'ლაივ სტრიმინგს']. სტრიმინგი ნიშნავს იმას, რომ მაყურებელს მონაცემები მისდის მომენტალურად და შეუძლია უყუროს და ჩაერთოს ძალადობის მიმდინარეობის პროცესში. ლაივ სტრიმინგს, ასევე, უწოდებენ 'ბავშვის სექსუალური ძალადობის ლაივ სტრიმინგს' ან 'ბავშვზე სექსუალური ძალადობა მოთხოვნით'.

სივრცეში, ბავშვზე სექსუალური ძალადობის შემთხვევის ლაივ რეჟიმში გადაცემა მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის მსხვერპლის იდენტიფიცირებისკენ მიმართულ ინტერვენციებს და ზრდის დამოკიდებულებას მოძალადეებისა და მსხვერპლების მასპინძელ იურისდიქციებში, მსხვერპლის იდენტიფიცირების მიზნით სამართლდამცავი ორგანოების მიერ ერთობლივად წარმოებული ოპერაციების ხარისხზე."[7] ამავე წყაროს თანახმად, ბავშვზე სექსუალური ძალადობის შემთხვევა, რომელიც ონლაინ სივრცეში ლაივ რეჟიმში გადაიცემა, „ძალიან ჰგავს კონტაქტურ სექსუალურ ძალადობას; მოძალადე, შესაძლოა, ბავშვს ფიზიკურად არ ეხებოდეს, თუმცა, ლაივ რეჟიმში გადაცემულ კონტაქტურ სექსუალურ ძალადობას ხშირად ადგილი აქვს მოძალადის მითითების საფუძველზე, რითაც იშლება ზღვარი, რომელიც ტრადიციულად არსებობს კონტაქტურ სქესობრივ დანაშაულსა და CSAM დანაშაულს შორის." შესაბამისად, ონლაინ სივრცეში, ლაივ რეჟიმში გადაცემული CSA დანაშაულის კრიმინალიზაციის არ არსებობის პირობებში, პრობლემის გადაჭრის შუალედური გზა შეიძლება იყოს სექსუალური ძალადობის ფართო სამართლებრივი ინტერპრეტაცია (მაგ., გაუპატიურების ან სხვა სახის კონტაქტური CSA დანაშაულის გათვალისწინება სისხლის სამართლის ეროვნულ კანონმდებლობაში), რომელიც მოიცავს ბავშვზე სექსუალურ ძალადობას ონლაინ სივრცეში, რომელიც ლაივ რეჟიმში გადაიცემა.

5.3. სექსუალური ვიქტიზაციის ფიზიკური და ქცევითი ნიშნები

ბავშვზე შესაძლო სექსუალური ძალადობის ამოცნობა გარკვეული მეთოდებით სარგებლობას ითვალისწინებს, რომელთა კომპლექსური გამოყენება ძალადობის ფაქტის შესახებ არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა.

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ არ არსებობს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ყველა ბავშვისთვის დამახასიათებელი ერთნაირი ნიშნების ნაკრები, რომელთა გამოვლენით ჩვენ შეიძლებოდა სრული დამაჯერებლობით გვეთქვა, რომ ბავშვის მიმართ სექსუალურ ძალადობას ნამდვილად ჰქონდა ადგილი. შესაბამისად, ერთი ცალკე აღებული ნიშანი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გავაკეთოთ დასკვნა სექსუალური ძალადობის შესახებ.

სექსუალური ძალადობის აღმოსაჩენად აუცილებელია ისტორიის, ბავშვის ქცევის, ემოციური მდგომარეობის და ფიზიკური ნიშნების ერთმანეთთან დაკავშირება.

მარკერები და საფრთხის სიგნალები

ფიზიკური სიმპტომები

- ორალური სიმპტომები: ეგზემა, დერმატიტი, ჰერპესი სახეზე, ტუჩებზე, პირის ღრუში; ამას გარდა, საკვებზე უარის თქმა (ანორექსია); ჭარბი კვება (ბულიმია);
- ანალური სიმპტომები: დაზიანებები სწორ ნაწლავში, ანუსის შეწითლება, ვარიკოზული ცვლილებები, სფინქტერის შესუსტება, ყაბზობა.
- ვაგინალური სიმპტომები: საქალწულე აპკის დარღვევა, საშოს გაფართოება, ახალი დაზიანებები (ჭრილობები, ნაკაწრები), თანმდევი ინფექციები.

[7] ECPAT International and Interpol (2018), Towards a Global Indicator on Unidentified Victims in Child Sexual Exploitation Material: Technical Report.

- დახეული, დასვრილი ან სისხლიანი ქვედა საცვალი;
- ჰემატომები (ჩალურჯებები) სასქესო ორგანოების მიდამოებში;
- ჰემატომები და ნაკბენები მკერდზე, დუნდულებზე, ფეხებზე, მუცლის ქვედა ნაწილზე, თეძოებზე;
- სისხლდენები, აუხსნელი გამონადენები სასქესო ორგანოებიდან;
- შარდსასქესო გზები განმეორებადი ანთებები;
- ტკივილი მუცელში;
- ენურეზი, ენკოპრეზი;
- სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები;
- ორსულობა

შენიშვნა: რეალურად, სექსუალური ძალადობის ფიზიკური კვალი და შესაბამისი ნიშნები ბავშვის სხეულზე ძალზე იშვიათად გვხვდება. თუმცა, შეიძლება შეიცვალოს ბავშვის ქცევა. ამიტომ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მის ქცევაში ახალი და უჩვეულო მახასიათებლების გაჩენას.

ქცევითი ნიშნები

ცვლილებები ბავშვის სექსუალურობის გამოხატვაში

- სექსუალური შინაარსის თამაშების მიმართ განსაკუთრებული ინტერესი;
- ასაკისთვის შეუფერებელი ცოდნა სექსუალური ცხოვრების შესახებ;
- გამომწვევი, „მაცდუნებელი“ ქცევა საპირისპირო სქესთან და მოზრდილებთან მიმართებაში; სექსუალური ქმედებები სხვა ბავშვებთან (დაწყებული უმცროსი სასკოლო ასაკიდან);
- უჩვეულო სექსუალური აქტიურობა: უმცროსი ბავშვების სექსუალური გამოყენება; მასტურბაცია (დაწყებული სკოლამდელი ასაკიდან), სასქესო ორგანოების ხახუნი მოზრდილის სხეულზე, პროსტიტუცია.
- ბავშვი სხვა ბავშვებს სთხოვს, მოიქცნენ სექსუალურად

- ბავშვი ახდენს სექსუალური კავშირის იმიტაციას

ცვლილებები ბავშვის ემოციურ მდგომარეობასა და ურთიერთობაში

- ჩაკეტილობა, იზოლაცია, განმარტოება;
- დეპრესიულობა, მოწყენილი გუნება-განწყობილება;
- ზიზღი, სირცხვილი,ბრალეულობა, უნდობლობა, „გაფუჭებულობის“ გრძნობა;
- ხშირი ჩაფიქრება, გაუცხოება (გვხვდება ბავშვებთან და მოზარდებთან, დაწყებული სკოლამდელი ასაკიდან);
- ისტერიული ქცევა,თვითკონტროლის სწრაფი დაკარგვა;
- თანატოლებთან ურთიერთობის სიძნელეები, მათთან ურთიერთობისთვის თავის არიდება, მისი ასაკის მეგობრების არყოლა ან უარის თქმა ძველ მეგობრებთან ურთიერთობაზე;
- ძმების და დებისგან გაუცხოება;
- უმცროსების და თანატოლი ბავშვების ტერორიზება;
- სისასტიკე სათამაშოების მიმართ (მცირეწლოვან ბავშვებთან);
- ამბივალენტური გრძნობები მოზრდილების მიმართ (დაწყებული უმცროსი სასკოლო ასაკიდან).
- კონკრეტული სქესის მოზრდილების მიმართ შიში / გარიდება, მაგალითად მხოლოდ კაცების ან მხოლოდ ქალების;

- ქცევის რეგრესია ბავშვს, რომელსაც უკვე ათვისებული აქვს ტუალეტის ჩვევა, ეწყება შარდის შეუკავებლობა, ან ბავმვს, ელსაც უკვე ნასწავლი აქვს ტანსაცმელზე ღილების შეკვრა, ეს ქცევა „ავიწყდება“, ბავშვი, რომელიც უკვე გამართულად მეტყველებდა, იწყებს „ენის მოჩლექით“ ლაპარაკს და სხვა.
- ბავშვი უარს ამბობს საჭირო დროს გახდაზე (ბანაობისას, ტუალეტში შესვლილას, ძილისას)

ბავშვის პიროვნების და მოტივაციის ცვლილებები, სოციალური ნიშნები

- თავის დაცვის, ძალადობისთვის წინააღმდეგობის გაწევის უუნარობა, შემგუებლობა;
- სასკოლო მოსწრების მკვეთრი ცვლილება (უარესობისკენ ან გაცილებით უკეთესობისკენ);
- სკოლის გაცდენები, სწავლაზე უარის თქმა ან თავის არიდება;
- მშობლის როლის საკუთარ თავზე აღება ოჯახში (საკვების დამზადება, რეცხვა, დალაგება, უმცროსების მოვლა და მათი აღზრდა);
- მისი ოჯახის ტრადიციების უარყოფა სოციალური როლების და მასში საკუთარი როლის ჩამოუყალიბებლობის გამო, სახლიდან წასვლის ჩათვლით (დამახასიათებელია მოზარდებისთვის).

ბავშვის თვითცნობიერების შეცვლა

- თვითშეფასების მკვეთრი დაქვეითება;
- აზრები თვითმკვლელობაზე, თვითმკვლელობის მცდელობები.

ფსიქოსომატური სიმპტომების გაჩენა

- თავის ტკივილი
- მუცლის ტკივილი, ტკივილები კუჭის არეში
- ლოგონევროზი
- ბრონქული ასთმა
- ნეიროდერმიტი

ცვლილებები თამაშში

- თამაშის თემატიკის, შინაარსის შეცვლა და სექსუალური თემატიკით შეზღუდვა;
- მხოლოდ ერთ თამაშზე ფიქსირება, ბევრი განმეორებადი კომპონენტით;
- თააშში სექსუალური ძალადობის ატრიბუტიკის შეტანა
- სექსუალური ქმედებების იმიტირება: თოჯინებისთვის ტანსაცმლის გახდა, ფეხებს შორის შეხება თითით ან საგნით
- სექსუალური შინაარსის რეპლიკები სათამაშოებთან „საუბრისას“;
- სექსუალური როლების გადათამაშება მათი გამოცდილების შესატყვისად;

ცვლილებები ხატვაში

- ნახატში ცხადად ჩანს ყოველდღიური ინტერესი სექსუალური თემებისადმი და სექსუალურობის მძაფრად აღქმა (მაგალითად, მკერდი საკუთარ გამოსახულებაში, პენისი ცხოველებში);
- გამოსახულია ადამიანები სექსუალური ქმედებების დროს;
- განსაკუთრებული ყურადღება სხეულის ქვედა ნაწილზე (მაგალითად, ძალიან დეტალურად ხატავს ელვას შარვალზე,);
- ხატვის შემდგომი კომენტარები ადასტურებს ნახატის სექსუალურ მიმართულებას.
- სქესის მაიდენტიფიცირებელი სხეულის ნაწილები გამოტოვება

შენიშვნა: *ეს გამოვლინებები არ წარმოადგენენ აბსოლუტურ დიაგნოსტიკურ კრიტერიუმებს, არამედ განიხილება, როგორც ტენდენცია, საყურადღებო ნიშნები, საფრთხის სიგნალები.*

ცვლილებები კოგნიტურ სფეროში

- ყურადღების კონცენტრაციის დარღვევა
- დასწავლის უნარის გაძნელება
- აზროვნების ტემპის, გაგება-გააზრების შენელება
- დახსომების უნარის დაქვეითება

5.4. ბავშვთა ჩვენების სანდოობა. ეფექტური ინტერვიუირების (გამოკითხვის) მნიშვნელობა ისეთ შემთხვევებში, როდესაც სექსუალური ძალადობის ფიზიკური მტკიცებულება არ არსებობს

დამაჯერებელი სასამართლო-სამედიცინო მტკიცებულება მხოლოდ CSA შემთხვევების მცირე ნაწილში არსებობს.[8] ამ თემის შესახებ ჩატარებული მასშტაბური კვლევების თანახმად, ბავშვზე სექსუალური ძალადობის დამადასტურებელი სასამართლო-სამედიცინო მტკიცებულებები იშვიათია, მაშინაც კი, როდესაც ძალადობის ისტორია დასტურდება მოძალადის აღიარებით.[9] ბოუენისა და ალდუსის კვლევა (Bowen and Aldous) ადასტურებს, რომ „ყველაზე ხშირად, სექსუალური ძალადობის შემთხვევებში ჩატარებული არაგადაუდებელი სამედიცინო შემოწმების ფიზიკური შედეგი არის ნორმასთან შესაბამისი, რასაც მოსდევს არასპეციფიური ნორმასთან შეუსაბამო შედეგი.“[10]

აღნიშნული მინიმუმ 3 ფაქტორით არის განპირობებული: ა) ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის არაერთი შემთხვევა არის არაკონტაქტური და არაინვაზიური; ბ) ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის ხანგრძლივი და ესკალირებადი ბუნება; და გ) ხშირად შემთხვევის შეტყობინება ხდება დაგვიანებით.

როგორც აღინიშნა, ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობა შესაძლოა იყოს კონტაქტური ან არაკონტაქტური. კონტაქტური სექსუალური ძალადობა შესაძლოა იყოს პენეტრაციული ან არა-პენეტრაციული. პენეტრაციული კონტაქტური სექსუალური ძალადობა მოიცავს ვაგინაში ან ანუსში შეღწევას სხეულის ნაწილის ან საგნის გამოყენებით, ან პენისით შეღწევას სხეულის ნებისმიერ ღრუში, პირის ჩათვლით.

ამას გარდა, ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევების დიდი ნაწილი მხოლოდ ერთი ინციდენტით არ შემოიფარგლება, არამედ, ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვს დროის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, ხოლო დროთა განმავლობაში იზრდება ძალადობის ინტენსივობა და ინვაზიურობა. ის, რაც სექსუალური შეხებით იწყება, შესაძლოა

[8] აშშ-ს წყაროების თანახმად, “სამედიცინო მტკიცებულება ხელმისაწვდომია შეტყობინებული CSA შემთხვევების 5%-ზე ნაკლებში, ხოლო პროკურატურა ხშირად უწევს, მხოლოდ ბავშვის ჩვენებას დაეყრნდოს.“ (Block, S.D. and Williams, L.M., The Prosecution of Child Sexual Abuse: A Partnership to Improve Outcomes (2019), იხილეთ სტრული ტექსტი: https://www.ojp.gov/pdffiles1/nij/grants/252768.pdf).

[9] Adams JA, Harper K, Knudson S, Revilla J Examination findings in legally confirmed child sexual abuse: it's normal to be normal. Pediatrics. 1994;94310- 317.

[10] Bowen K, Aldous MB. Medical Evaluation of Sexual Abuse in Children Without Disclosed or Witnessed Abuse. Arch Pediatr Adolesc Med. 1999;153(11):1160–1164.

გადაიზარდოს ძალადობაში, რომელიც სავარაუდოდ დატოვებს სასამართლო-სამედიცინო მტკიცებულებას. ამავდროულად, სასამართლო-სამედიცინო მტკიცებულების მოპოვება არ წარმოადგენს სავალდებული მოთხოვნას იმისათვის, რომ დადასტურდეს დანაშაულის ჩადენა. უფრო მეტიც, არასრულწლოვანი მსხვერპლის საუკეთესო ინტერესში და ფართო საზოგადოების ინტერესშია CSA შემთხვევის გამოძიება და სამართლებრივი დევნის წარმოება ადრეულ, არა-ინვაზიურ ეტაპზე, რათა თავიდან იქნას აცილებული ზიანი, რომელიც შესაძლოა მიადგეს მსხვერპლ ბავშვებს, დაცულნი იყვნენ ბავშვები და უზრუნველყოფილი იქნას მართლმსაჯულების განხორციელება.

და ბოლოს, ბავშვზე სექსუალური ძალადობის შემთხვევების (და ზოგადად CSEA შემთხვევების) დაგვიანებით გამჟღავნების ალბათობა საკმაოდ მაღალია იმ სხვადასხვა ბარიერის გამო, რომელთაც აწყდებიან მსხვერპლი ბავშვები. ბავშვებს, განსაკუთრებით უმცროსი ასაკის ბავშვებს, ხშირად არ აქვთ ცოდნა იმისათვის, რომ გაიაზრონ, რომ რასაც ისინი განიცდიან არის ბავშვზე სექსუალური ძალადობა და ექსპლუატაცია; მათ შესაძლოა, ასევე არ ჰქონდეთ შესაძლებლობა, თავიანთი წუხილები ზრდასრულებს გაუზიარონ. ხშირად ბავშვებს, განსაკუთრებით (მაგრამ არა მხოლოდ) მათ, ვინც ძალადობას განიცდიან ნდობის წრეში, არ ჰყავთ ზრდასრული, რომელსაც შეუძლიათ ენდონ და გაუმჟღავნონ ძალადობის შესახებ. და ბოლოს, ბავშვებს რომლებიც გადაწყვეტენ სექსუალური ძალადობის შემთხვევის გამჟღავნებას, შესაძლოა არ დაუჯერონ, რაც მათ დამატებით უზღუდავს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბავშვზე სექსუალური ძალადობის ფიზიკური სამედიცინო მტკიცებულება დასაწყისში იყო ხელმისაწვდომი, შემთხვევის დაგვიანებით გამჟღავნების გამო იგი სავარაუდოდ დაიკარგება. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ სამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანო დაეყრდნოს ბავშვის ჩვენებას, როგორც მტკიცებულების ძირითად წყაროს. აღნიშნული ხაზს უსვამს ბავშვის გამოკითხვის მნიშვნელობას მყარი, მტკიცებულებაზე დაფუძნებული პროტოკოლის გამოყენებით.

კითხვა, რომელსაც ხშირად სვამენ პროცესის მიმდინარეობისას დაცვისა და ბრალდების მხარე, ისეთ შემთხვევებში, სადაც დამაჯერებელი სამედიცინო მტკიცებულება არ არსებობს, შეეხება ბავშვის, როგორც მოწმის სანდოობას. აღსანიშნავია, რომ სანდობა არსებითად არ წარმოადგენს ობიექტურ მახასიათებელს, არამედ სუბიექტური კონსტრუქტია.[11] როგორც ასეთი, მისი შეფასება ხდება სხვადასხვა ქვეკონსტრუქტების გამოყენებით: დამაჯერებლობა, პატიოსნება, სარწმუნობა, შთაგონებადობა, სიზუსტე და საიმედოობა. კვლევების თანახმად, მნიშვნელოვანია სანდოობის უფრო თანმიმდევრული განმარტების დადგენა.[12] მსხვერპლი ბავშვის სანდოობის შესაფასებლად, ობიექტური მეთოდოლოგიის არ არსებობის პირობებში, რეკომენდირებულია, რომ გამომძიებლებმა და პროკურორებმა ძალისხმევა მიმართონ გამოკითხვის სათანადოდ ჩატარებისკენ (ე.ი. გამოკითხვა შთამაგონებელი ტიპის კითხვების გამოყენების გარეშე და მაქსიმალურად დეტალური ინფორმაციის მოპოვება, რაც გააქარწყლებს ეჭვებს ბავშვის შთაგონებადობასთან დაკავშირებით და დაადასტურებს, რომ მისი ჩვენება არის ზუსტი)

[11] Voogt A, Klettke B, Crossman A. Measurement of Victim Credibility in Child Sexual Assault Cases: A Systematic Review. Trauma Violence Abuse. 2019 Jan; 20(1):51-66.
[12] Id.

და ჩვენების უკან წაღების რისკებს მინიმუმამდე ამცირებს (იხ. სექცია 5.7. *ჩვენების უარყოფისა და გადათქმის რისკების გააზრება. ჩვენების გადათქმის პრევენცია ტრავმა-ინფორმირებული გამოკითხვის გზით. გამოკითხვა, როგორც ფართო, ბავშვზე მორგებული და ტრავმა-ინფორმირებული მიდგომის ნაწილი; მულტიდისციპლინური სერვისების როლი ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფაში),* რაც ხელს უწყობს ბავშვის სანდო მოწმედ წარმოჩენას.

5.5 შესავალი ბავშვის განვითარებაში

გამოკითხვის პროცესში, არასრულწლოვანი მსხვერპლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის რაოდენობა, ხარისხი, შინაარსი და შესაბამისად, სანდოობა დამოკიდებულია არასრულწლოვნის ფსიქოლოგიურ შესაძლებლობებზე, განვითარების დონეზე. ერთი და იგივე ასაკის ბავშვები ფსიქიკური განვითარების დონით ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდებიან.

თუმცა, ბავშვის განვითარების საერთო კანონზომიერებებზე დაყრდნობით, შესაძლებელია გამოიყოს გასაშუალოებული სახით განვითარების მნიშვნელოვანი თავისებურებები, რომლებიც დამახასიათებელია ერთი და იგივე ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებისთვის. გამომძიებელმა, ბავშვის გამოკითხვის ჩატარებისას, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მისი ასაკი და განვითარების სტატუსი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვმა შეიძლება ვერ გაიგოს, სათანადოდ ვერ გაიაზროს დამკითხველის/გამომკითხველის ნათქვამი, რაც მას გაურკვევლობის, გაუგებარი სიტუაციის განცდას გაუჩენს და მის დაძაბულობას, შებოჭილობას კიდევ უფრო გაზრდის.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ გამომძიებლებს ესმოდეთ ადამიანის მეხსიერების სირთულე, როცა გამოძიებისთვის ასე მნიშვნელოვანია მსხვერპლი არასრულწლოვნის ჩვენება, და ბავშვის განვითარების დონიდან, მეხსიერების თავისებურებებიდან გამომდინარე შეეძლოთ განსაზღვრონ მოლოდინები ბავშვისადმი გამოკითხვასთან მიმართებით. გამომძიებლებმა, ბავშვის გამოკითხვისას, უნდა გაითვალისწინონ ბავშვის მიერ თავისი გამოცდილების დახსომების განვითარებადი უნარი და გაიაზრონ, თუ ბავშვის მეხსიერების ძირითადი პროცესების ცოდნა რის გაკეთებას მოითხოვს მათგან, რატომ უნდა მოიქცნენ ასე და არა სხვაგვარად. ეს დაეხმარება გამმომძიებელს იმაშიც, რომ მის მიერ გამოყენებული გამოკითხვის მეთოდები დაიცვას.

ბავშვის განვითარების დონის მიხედვით, გამომძიებელს შეუძლია ცვლილებები შეიტანოს გამოკითხვის მეთოდებში. მაგალითად, მომხდარის დათარიღების უნარი (თვის, წლის, დღის დასახელება) მხოლოდ ათი წლის ასაკის შემდეგ ვითარდება, მცირეწლოვან ბავშვებს კი დათარიღება (როდის მოხდა) ნაკლებად შეუძლიათ. იმის მიუხედავად, ფორმალურად იცის თუ არა ბავშმა თვეების, კვირის დღეების სახელწოდებები.

თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ასაკი და განვითარების დონე არ განსაზღვრავს მსხვერპლი ბავშვის მიერ პირადი გამოცდილების გადმოცემის უნარს. ბავშვის ჩვენების როგორც მოცულობა, ასევე სიზუსტე, განვითარების დონის გარდა, რიგ ურთიერთდაკავშირებულ ფაქტორებზეა დამოკიდებული, როგორიცაა გამომძიებლის მიერ დასმული შეკითხვების ტიპი, გადატანილი ძალადობის თავისებურები, ძალადობით გამოწვეული სტრესული და ტრავმული ფაქტორები, გამოკითხვისას გამომძიებლის მიერ გამოყენებული მიდგომები. ამდენად, ინფორმაცია ბავშვის განვითარების ზოგად მახასიათებლებთან დაკავშირებით, გამომძიებლისთვის შეიძლება იყოს მხოლოდ პირველადი

ორიენტირების საფუძველი, მაგრამ არა პირდაპირი მითითება, თუ როგორ უნდა შეფასდეს ამა თუ იმ კონკრეტული ბავშვის ჩვენება.

ბავშვის და მოზარდის განვითარების დონის, მეხსიერების თავისებურებების ცოდნა და გათვალისწინება ყოველთვის დადებითად აისახება ბავშვის მდგომარეობაზე, მასთან კომუნიკაციის ხარისხზე და შედეგად, სამართალდამცავ და მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის საქმესთან დაკავშირებით რეაგირების და ჩარევის შედეგებზე.

5.5.1 ბავშვების ბაზისური ასაკობრივი თავისებურებები და შესაძლებლობები ასაკების მიხედვით

ჩამონათვალში მოყვანილია ფსიქოლოგიის მიერ დადგენილი მონაცემები ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ ბავშვების ჩვენების ფორმირებაზე და მნიშვნელოვანია გამომძიებლისთვის ჩვენების მიღების პროცესში გასათვალისწინებლად. მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ ჩამოთვლილი მახასიათებლები განხილული უნდა იყოს ბავშვების ინდივიდუალურ თავისებურებებთან კონტექსტში.

2 წლამდე

ინტერვიუირება / გამოკითხვა უმეტესად არ არის შესაძლებელი ბავშვებთან დაბადებიდან დაახლოებით 24 თვემდე. ამ ასაკის ბავშვებს იშვიათად აქვთ მეტყველება განვითარებული იმ დონეზე, რომ შეძლონ გასაგები ინფორმაციის მოწოდება. თუმცა, შესაძლებელია დაკვირვების წარმოება ბავშვის ქცევაზე, მშობელთან/მზრუნველთან ურთიერთობაზე.

2-4 წელი

- განვითარების ამ ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჭირდებათ დახმარება, ბავშვები ცდილობენ დამოუკიდებლობას. ეს კარგად ჩანს თვითმომსახურების სფეროში (ჭამა, ჩაცმა, პირადი ჰიგიენა).
- ბავშვი გამოყოფს თავის თავს სხვებისგან, ხშირად ამბობს - "მე", "ჩემი".
- ამ ეტაპზე მეტყველების განვითარება ხელს უწყობს კომუნიკაციის განვითარებასაც.
- ამ ასაკში ბავშვები მიდრეკილნი არიან მოახდინონ საგნების მნიშვნელობის ზე-გენერალიზება. ანუ, მათთვის ნაცნობ სიტყვაში გააერთიანონ ყველა საგანი, რომელიც რაღაცით ამ სიტყვის მსგავსია. მაგალითად, ბავშვს, რომელსაც ყავს კატა სახლში და ამბობს სიტყვას "ფისო" შესაძლებელია რომ ყველა ოთხფეხა ცხოველს დაუძახოს „ფისო".
- ამ ეტაპზე ბავშვები საუბრობენ მოკლე წინადადებებით - 2-3 სიტყვიანი წინადადებები და ამგვარადვე უნდა მივმართოთ.
- ამ ეტაპზე ბავშვის ემოციები ძირითადად, მისი მშობლებთან ურთიერთობას უკავშირდება.
- ბავშვები სწავლობენ საკუთარი ემოციების გამოხატვას და შეუძლიათ გაარჩიონ სხვათა ემოციები.
- ბავშვის სწორი სოციალური და ემოციური განვითარებისათვის აუცილებელი, ფუნდამენტური მექანიზმი ამ ასაკში არის მიჯაჭვულობა - ძლიერი და მყარი კავშირი დედასთან/მზრუნველთან.

- ბავშვის გამოკითხვის ამ ეტაპზე, კარგად უნდა დარწმუნდეთ იმაში, რომ ბავშვს კარგად ესმის ყველა სიტყვა და კითხვა, რომელსაც მოზრდილი სვამს.
- გამოკითხვა უნდა განხორციელდეს უმეტესწილად თამაშის ფორმატში.
- ამ ასაკში ბავშვები უსაფრთხოდ თავს მხოლოდ მაშინ გრძნობენ, თუ მათთან ახლოს მათი მშობელი ან მზრუნველია.
- უცხო ადამიანთან მშობლის გარეშე ნებისმიერი ურთიერთობა შეიძლება არა მარტო შიშის მომგვრელი იყოს ბავშვისათვის, არამედ მან ტირილით მოინდომოს გაერიდოს სიტუაციას.

4-6 წელი

- ბავშვის განვითარების ამ ეტაპზე მიმდინარე ფსიქოლოგიური და ქცევითი ცვლილებები არის ძალიან დინამიური და ფართო.
- ეს ეტაპი ხასიათდება კოგნიტური და მოტორული სფეროების სწრაფი განვითარებით. ბავშვებს უვითარდებათ ისეთი უნარები, რომელთა დახმარებით შეუძლიათ თავისუფლად მოძრაობა და სხვადასხვა ფიზიკური ამოცანების შესრულება თამაშის პროცესში.
- ამავე დროს, ბავშვის კოგნიტური სფერო არ არის იმდენად მომწიფებული, რომ დიდხანს შეძლოს ერთ აქტივობაზე კონცენტრირება. ადვილად იღლება და ჭირდება ხშირ-ხშირი შესვენებები აქტივობებს შორის.
- ბავშვის კოგნიტური განვითარება იმ ეტაპზეა, რომ მას უკვე შეუძლია გაარჩიოს რეალობა და ზღაპარი. ისინი ამჩნევენ უკვე, რომ ადამიანებს შესაძლოა ერთი და იგივე საგნებზე განსხვავებული აზრი ჰქონდეთ. აცნობიერებენ, რომ მარტივი მსჯელობები შეიძლება იყოს მცდარი ან მართალი.
- ბავშვებს დროსთან დაკავშირებული საკითხები ცუდად ესმით, თუმცა მათ მეტ-ნაკლებად შეუძლიათ გარკვეული დროითი ფარგლების განსაზღვრა, თუკი მათთვის ჩვეულ აქტივობებს დაეყრდნობით ორიენტირად („ტელევიზორის ყურების დროს“, „ჭამის დროს“)
- მეტ-ნაკლებად ყალიბდება სივრცეში ორიენტაციის უნარიც. ბავშვმა შესაძლოა ზუსტად ვერ დაასახელოს მარჯვნივ-მარცხნივ, თუმცა, მას შეუძლია განალაგოს ნივთები და ისაუბროს მოვლენებზე, რომლებიც მოხდა მათთვის ნაცნობ ადგილებში. მაგ. “ჩვენი სახლის დიდი ოთახი,” “სახლის უკან, სოფელში”.
- კოგნიტური სფეროს განვითარება ასევე გულისხმობს თვალსაჩინო-კონკრეტული მიმართებების ჩამოყალიბებას - დიდი-პატარა, ასევე საგნების დაჯგუფებას სხვადასხვა ნიშნებით.
- ბავშვებს შეუძლიათ ისაუბრონ საკუთარი ემოციების შესახებ, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ემოციები გარედან არის შესამჩნევი და მათ ამის შესახებ ვკითხავთ.
- ბავშვები ამ ეტაპზე იწყებენ საკუთარი ემოციების კონტროლის სწავლას.
- ამ ეტაპზე ბავშვების დამოკიდებულებები სხვა ბავშვების მიმართ იცვლება და ხდება უფრო თანამშრომლობითი. ამ ასაკობრივი საფეხურის ბოლოს, ბავშვებს უკვე შეუძლიათ ჩაერთონ სხვადასხვა თამაშებში, სხვა ბავშვებთან ერთად.

- გამომძიებელმა უნდა აარიდოს თავი, რომ ბავშვს დაუსვას კითხვა, თუ რამდენჯერ მოხდა ესა თუ ის მოვლენა. მიუხედავად იმისა, ბავშვმა იცის თუ არა თვლა, ამ ასაკში არ შეუძლიათ მოვლენების ზუსტი სიხშირის განსაზღვრა.

6-11 წელი

- ბავშვის კოგნიტური შესაძლებლობები ამ ასაკში ხდება უფრო სისტემური და ნებელობითი, რაც ეხმარება მას სასკოლო და სოციალური უნარების ათვისებაში.
- უმჯობესდება მეხსიერების შესაძლებლობები - ბავშვს სულ უფრო კარგად შეუძლია მოვლენების და ფაქტების დამახსოვრება, შენახვა და აღდგენა.
- ამ ასაკში ბავშვებს შეუძლიათ შეაფასონ ქცევა მორალის ტერმინებში. თუმცა, გამოირჩევნიან რადიკალური შეფასებებით და მეტ-ნაკლები ეგოცენტრულობით. ამ ასაკობრივი ეტაპის ბოლოს, ბავშვებს უკვე შეუძლიათ საკუთარი საქციელის შეფასება სხვა ადამიანების პერსპექტივიდან.
- ამ ასაკში ძალიან მნიშვნელოვანია მიკუთვნებულობის განცდა - ოჯახთან, თანატოლთა ჯგუფთან.
- ამ ეტაპზე ბავშვის თვითაღქმის განმსაზღვრელი სწორედ ოჯახის წევრებთან, სხვა მოზრდილ ადამიანებთან, თანატოლებთან ურთიერთობის გამოცდილება, სასკოლო წარმატება/წარუმატებლობაა.
- ამ ეტაპზე ინტერვიუერს შეუძლია გამოიყენოს ღია მიმართვები „მომიყევი ამის შესახებ“, მისცეს ბავშვსთავისუფალი თხრობის საშუალება.
- კვლევების თანახმად, მართებულად დასმული კითხვების შემთხვევაში, ამ ასაკის ბავშვებს ისევე აკურატულად შეუძლიათ ინფორმაციის გადმოცემა, როგორც მოზრდილებს.
- მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს უკვე შეუძლიათ დატვირთული შინაარსის კითხვებზე პასუხის გაცემა, გამომძიებელი უნდა ერიდოს პროფესიული ტერმინების გამოყენებას და აუცილებლობის შემთხვევაში დეტალურად განუმარტოს ბავშვს მათი მნიშვნელობა.
- ასევე გასათვალისწინებელია, რომ საუბრისას გამომძიებელმა ნაკლებად იხმაროს ნაცვალსახელები და ხშირად გამოიყენოს სახელწოდებები (გეოგრაფიული, პიროვნებების, მოვლენების)

11-18 წელი

- ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, ეს ეტაპი არის ერთ-ერთი ყველაზე რთული განვითარების ფაზა ბავშვებისთვის.
- ბავშვის ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესები (ფიზიკური და სქესობრივი მომწიფება, ჰორმონალრი „რევოლუცია“) გავლენას ახდენენ მოზარდის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, თვითაღქმასა და ემოციურ რეაქციებზე.
- სქესობრივი მომწიფების ნიშნების გაჩენა იწვევს ფსიქოლოგიურ დისკომფორტს, განცდებსა და შეცბუნება-დაბნეულობას;
- თვითშეფასება არასტაბილური ან არაადეკვატურია;

- გამოხატულია დამოუკიდებლობისკენ და აღიარებისკენ სწრაფვა, მოზრდილთა მხრიდან ზრუნვის და სიყვარულის მოთხოვნილებასთან ერთად;
- ემოციები რთულდება (შფოთვა, აგზნება, გაღიზიანება, თავდაჯერებულობის ნაკლებობა, უსამართლობის განცდა);
- ამ დროს ბავშვი კოგნიტურად ბევრად უფრო განვითარებულია, ვიდრე ემოციურად და სოციალურად.
- ვითარდება დასკვნების გაკეთების და განზოგადების უნარები, ვარაუდების საფუძველზე;
- ბავშვები უკომპრომისოები ხდებიან, აქტიურად მოქმედებენ თავიანთი სურვილების შესასრულებლად;
- საკუთარ თავს უპირისპირებენ მოზრდილთა სამყაროს;
- საკუთარ პრობლემებს, ემოციებს, გამოცდილებას აღიქვამენ, როგორც განსაკუთრებულს, უნიკალურს;
- იდენტობის ჩამოყალიბება, მშობლებისგან დამოუკიდებლობის ძლიერი სურვილი, თვითდამკვიდრების მოთხოვნილება, თანატოლების წრე ხდება ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური წრე - ესენია ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური მახასიათებლები ამ ასაკში.
- იქიდან გამომდინარე რომ კოგნიტური სფერო კარგად არის განვითარებული, კითხვების გაგების და აზრის ჩამოყალიბების პრობლემა ამ ასაკობრივ ჯგუფში ნაკლებია.
- გასათვალისწინებელია, რომ ამ ასაკში, შესაძლოა მოზარდის მსოფლმხედველობა ეწინააღმდეგებოდეს საიდუმლოდ ვინმეზე/რამეზე ინფორმაციის გაცემას.

5.5.2 მეხსიერების განვითარება ბავშვობის პერიოდში

მეხსიერების განვითარების მახასიათებლები გავლენას ახდენენ იმაზე, თუ რისი დახსომება და მოყოლა შეუძლია ბავშვს. შეიძლება გამოიყოს მეხსიერების 3 ძირითადი სტადია: აღბეჭდვა (კოდირება), შენახვა და გახსენება.

აღბეჭდვა (კოდირება) გულისხმობს ჩვენი გამოცდილების მეხსიერებაში გადატანას, რასაც ზოგჯერ „მოკლევადიან მეხსიერებას“ უწოდებენ. მეხსიერებაში აღბეჭდილი ინფორმაციის რაოდენობაზე გავლენას ახდენს ის, თუ რამდენად დაკვირვებულია ადამიანი საკუთარი გამოცდილების და გარემოს მიმართ. ჩვენი გამოცდილებებისა და გარემოს გარკვეული თავისებურებანი ყურადღებას იპყრობს და ჩვენ ვიაზრებთ, რომ რაღაცები მნიშვნელოვანია.

შემდეგ ხდება მეხსიერებაში აღბეჭდილის გაცნობიერებული მენტალური გადამუშავება, რომელიც მოგონებების **გრძელვადიან მეხსიერებაში შენახვის** საშუალებას იძლევა. ამ სტადიაზე ძირითადად აზრობრივად დაკავშირებული გამოცდილების შენახვა ხდება. პატარა ბავშვები ზოგჯერ რაღაცებს ვერ იხსომებენ, რადგან მათთვის ბევრი რამ გაურკვეველია. გასათვალისწინებელია, რომ მოვლენათა შესახებ მოგონებები მაშინ უფრო კარგად ინახება, როცა სხვა უკვე შენახულ მოგონებასთან არსებობს რაიმე კავშირი (რაიმეთი ჰგავს ან პირიქით - სრულიად საპირისპიროა). მეხსიერებაში შენახვის, დახსომების თვალსაზრისით, ეს ბავშვებისათვის კიდევ ერთი შემაფერხებელი ფაქტორია, რადგან მათ ცხოვრებაში ცოტა რამ უნახავთ და თავიანთი მწირი გამოცდილების ასოციაციურად დაკავშირებას ვერ ახერხებენ.

მომდევნო სტადია მოიცავს გრძელვადიან მეხსიერებაში უკვე **შენახული ინფორმაციის ცნობიერში გადმოტანას**, რაც სწორედ წარსული გამოცდილების გახსენებას წარმოადგენს.

აღბეჭდვის (კოდირების), შენახვისა და გახსენების პროცესები რთულია, და შესაძლოა, დამოუკიდებლადაც ამოქმედდნენ. მაგალითად, ინფორმაცია შეიძლება „დავიწყებულ“ იქნას (დაიკარგოს მეხსიერებიდან) და შემდეგ მოხდეს მისი გახსენება. აგრეთვე, შესაძლებელია ძველი მოგონებების ახლებში აღრევა; ხოლო ზოგიერთი რამის გახსნება მხოლოდ გარკვეულ პირობებში ხდება, სხვა შემთხვევებში კი - არა.

როდის იწყება მეხსიერების ჩამოყალიბება და როგორ ვითარდება ის ცხოვრების განმავლობაში? დიდი ხნის მანძილზე არსებობდა მოსაზრება, რომ დახსომების უნარი კავშირში იყო ენის განვითარებასთან. ეს შეხედულება დამაჯერებელი ჩანდა. მართლაც, როცა ბავშვები ლაპარაკს იწყებენ, მათ შეუძლიათ დაასახელონ და აღწერონ საკუთარი გამოცდილება. მეტყველების დაუფლებასთან ერთად, ისინი ამასთანავე იწყებენ მოგონებების შენახვას სიტყვების დახმარებით, აგრეთვე მოგონებების დროში განთავსებას, საკუთარი გამოცდილების დაკავშირებას სხვა მოვლენებთან და სხვა ადამიანებისათვის გადაცემას.

ენა აუცილებელია ჩვენი გამოცდილების სწორად დასამახსოვრებლად და მათ შესახებ სხვებთან საკომუნიკაციოდ. ამ შეხედულებას ისიც ამყარებს, რომ ჩვენ, ზრდასრულებს, თითქმის არაფერი გვახსოვს ცხოვრების ადრეული პერიოდიდან. ჩვენ მოგონებები იმ დროიდან გვაქვს, როცა უკვე მეტყველება ვისწავლეთ. ეს მოვლენა საბავშვო ამნეზიის პარადოქსად მოიხსენიება; ეს პარადოქსულია, რადგან ჩვენ არ გვახსოვს ჩვენი ადრეული განცდები, მოვლენები და მხოლოდ უფრო გვიანდელი მოვლენების გახსენება შეგვიძლია; ძალიან პატარა ბავშვებს კი შეუძლიათ თავიანთი გამოცდილების გახსენება. მაგალითად, სამი წლის ბავშვს შეუძლია ერთ წლის წინანდელი ამბის დეტალების გახსენება, თუმცა მოზრდილ ასაკში ის ავიწყდება.

რა მნიშვნელობა აქვს მეხსიერების განვითარების აღნიშნული თავისებურებების ცოდნას დამკითხველთათვის/გამომკითხველთათვის? მოზრდილ ბავშვებს ან ზრდასრულებს თუ ჰკითხავენ, თუ რა მოხდა, როცა 3-4 წლისანი იყვნენ (ანუ საბავშვო ამნეზიის პერიოდში), მაშინ მათი მონაყოლი, სავარაუდოდ, უშუალოდ მოგონებებზე კი არ იქნება დაფუძნებული, არამედ - სხვების (მაგალითად, მშობლების) მონათხრობზე, დამკითხველის/ გამომკითხველისა თუ თერაპევტის მინიშნებებზე, ფოტოებზე ან ბუნდოვან მოგონებებზე, რომელთა ინტერპრეტაციაც წლების განმავლობაში შეძენილი ცოდნითა და შეხედულებებით ხდება.

რა თქმა უნდა, 2-3 წლის ბავშვებს ახსოვთ საკუთარი გამოცდილებანი. ჩვილებსაც კი ახსოვთ თავიანთი გამოცდილებები, მაგრამ მათი სიტყვიერად გადმოცემა არ ძალუძთ. კვლევებმა გამოავლინა, რომ მოგონებების ჩამოყალიბება ძალიან ადრე, ლაპარაკის დაწყებამდე იწყება. მაგალითად, ერთ-ერთ ექსპერიმენტში, სათამაშოს ჰკიდებენ ბავშვის საწოლის ზემოთ და მის ასამოძრავებელ მოწყობილობას თოკით აკავშირებენ ბავშვის ფეხთან. ბავშვი მალე სწავლობს, რომ სათამაშოს გამოძრავება შესაძლებელია ფეხის გაქნევით. რადგანაც პატარებს მოსწონთ მოძრავი სათამაშოს ყურება, ისინი ფეხს იქნევენ და იქნევენ. მეხსიერების ტესტი ამ პირობების გარკვეული ხნის შემდეგ განმეორებასა და იმაზე დაკვირვებაში მდგომარეობს, თუ რამდენად კარგად ახსოვთ პატარებს, რა უნდა გააკეთონ და რამდენად მოწადინებულნი არიან ფეხის ქნევაში.

ამ მეთოდით ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენეს, რომ 2 თვის ბავშვებს - 1-დან 3 დღემდე, 3 თვისებს - 6-8 დღე, ხოლო 6 თვისებს 15-16 დღის განმავლობაში ახსოვთ ფეხის ქნევის

„მნიშვნელობა“. აღსანიშნავია, რომ როცა 3 თვის ბავშვებს მოგვიანებით უჩვენეს, თუ რა უნდა გაეკეთებინათ, მათ სწრაფად გაიხსენეს. ეს იმის ნიშნავს, რომ ასოციაციურმა მეხსიერებამ, შესაძლოა, 45 დღემდეც კი გაძლოს. შედარებით წამოზრდილ ბავშვებს (რომლებსაც ამ ტიპის სათამაშოები აღარ აინტერესებთ), სხვა მეთოდით უმოწმებენ მეხსიერების შესაძლებლობებს. მათ სთავაზობენ სათამაშო მატარებელს, რომლის ამოძრავებაც ღილაკის დაჭერითაა შესაძლებელი. ამ შემთხვევაში დადგინდა, რომ 18 თვის ბავშვებს ასოციაციურად 12-ზე მეტი კვირის განმავლობაში ახსოვთ შეძენილი გამოცდილება.

უფრო ადვილია იმ ბავშვების მეხსიერების შემოწმება, რომლებიც უკვე მეტყველებენ. მკვლევარები დგამენ კონკრეტულ სიტუაციებს და გარკვეული ხნის შემდეგ ბავშვებს მის შესახებ კითხვებს უსვამენ. რადგანაც ასეთ შემთხვევებში ყოველივეს აღწერა ხდება, შესაძლებელია გახსენებულის შედარება რეალურად მომხდართან და ამგვარად მეხსიერების სიზუსტის დადგენა. ეს კვლევები ჩატარდა სხვადასხვა სიტუაციების გამოყენებით, რომელთა შორის იყო ემოციურად დაძაბული/სტრესული შემთხვევები (სასწრაფო სამედიცინო დახმარება, ვაქცინაცია, მტკივნეული სამედიცინო პროცედურები), უმტკივნეულო სამედიცინო გამოკვლევები (რომლის დროსაც ექიმი ბავშვს ეხება სამედიცინო გამოკვლევის ფარგლებში) და ინტერაქტიული სიტუაციები, რომლებშიც ბავშვები მოწმის როლში მონაწილეობენ (ილუზიონისტების შოუ, მეკობრეების სცენა, მეცნიერული დემონსტრირებები). სხვა კვლევებში კი ბავშვებს ფილმებს უჩვენებენ და მოგვიანებით სწორედ მათ შესახებ უსვამენ კითხვებს. ყველა ამ კვლევამ მნიშვნელოვან დასკვნებამდე მიგვიყვანა: ყველაზე მეტად ასაკზე დამოკიდებულია ბავშვის მეხსიერების მოცულობა. რაც შეეხება დახსომების ხანგრძლივობას, განვითარებასთან ერთად, ბავშვებს სულ უფრო და უფრო დიდხანს ახსოვთ: თავიდან - რამდენიმე დღით დაწყებული, ხოლო 5 წლისათვის - უკვე რამდენიმე წლით დამთავრებული.

ის, თუ რამდენად კარგად იმახსოვრებენ ბავშვები მიღებულ შთაბეჭდილებებს და გამოცდილებას, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად ესმით მათ ეს გამოცდილება და როგორ აკავშირებენ მას მეხსიერებაში უკვე არსებულ სხვა გამოცდილებასთან.

მოგონებების განხილვა, მათ შესახებ საუბარი და გამეორებითი შეხსენებები იმისა, რაც მოხდა, დახსომებულის სიმტკიცეს ზრდის და შესაბამისად, დავიწყების შანსებიც მცირდება. მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ გამეორებასთან დაკავშირებულმა ქმედებებმა, შესაძლოა, მეხსიერების „დაბინძურებაც“ გამოიწვიონ. მაგალითად, თუ მომხდარის განხილვის შემდგომ, ბავშვებთან საუბრისას დეზინფორმაციის მიწოდებას აქვს ადგილი, მაშინ ის მომავალი არასწორი გახსენების ნაწილიც გახდება.

5.5.3 დრო და მეხსიერების ცვლილებები

რამდენად მდგრადია ჩვენი მოგონებები? რა ცვლილებები შეიძლება მოხდეს დროის დინებასთან ერთად? როგორც ზემოთ ვნახეთ, ჩვენ მიღებული გამოცდილების მცირე ნაწილს ვიხსომებთ; ხოლო რასაც შემდგომ ვიხსენებთ, ის ან იგივე რჩება, ან დროის სვლასთან ერთად მცირდება. მნიშვნელოვანია იმის თქმაც, რომ როცა პირველად გვეკითხებიან, ჩვენ სინამდვილეში ყველაფერს არ ვამბობთ, რაც მეხსიერებაში გვაქვს შენახული. მეხსიერებაში უფრო მეტი რამაა აღბეჭდილი, ვიდრე ვაცნობიერებთ და ვიაზრებთ. მოვლენათა შესახებ სწორი ახალი დეტალები კი ზოგჯერ დღეების, კვირების ან წლების შემდეგაც კი შეიძლება გაგვახსენდეს. შესაბამისად, ჩვენი მეხსიერება დინამიურია, ის დროსთან ერთად იცვლება.

მეხსიერების ეს თავისებურებები გარკვეული პრობლემების შემქმნელი შეიძლება იყოს სამართლის სფეროში. ახალ, მანამდე არნახსენებ ინფორმაციას სპეციალისტები ეჭვის თვალით ხვდებიან - ხომ არ არის ეს გამოგონილი? ან არაზუსტი? ჩვენების ცვალებადობა და ახალი დეტალების დამატება ჩვენებას ნაკლებად სანდოს ხდის. სამართლის კონტექსტში, დაზარალებულებს/მოწმეებს, მათ შორის ბავშვებს, სანდოობის შესამოწმებლად, ხშირად ჯვარედინ დაკითხვას უწყობენ ადრე მიცემულ ჩვენებებთან დაკავშირებით, რომლებიც შეუსაბამოა მათ მიერვე უფრო გვიან მიცემულ ჩვენებებთან მიმართებაში.

5.5.4. მეხსიერების რეკონსტრუქციული ბუნება და ჩაგონებადობა

მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ გარკვეულ შემთხვევებში, კონკრეტული ტიპის კითხვებზე პასუხის გაცემისას, ბავშვები უსიტყვოდ დათანხმებისკენ არიან მიდრეკილნი. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როცა ბავშვებს კითხვებს ისეთი ობიექტების ან მოვლენების შესახებ უსვამენ, რომელთა შესახებ მათ ცოტა რამ ან არაფერი იციან, ხოლო სოციალური წნეხი კი დათანხმებას აიძულებს. უსიტყვო დათანხმება ხშირია, როცა კითხვების დამსმელი და მოპასუხე არათანაბარ პოზიციებში არიან. ამიტომაც, ბავშვის დაკითხვისას/გამოკითხვისას მნიშვნელოვანია, რომ დამკითხველმა/გამომკითხველმა არ ახსენოს ინფორმაცია, რომლის შესახებ თავად ბავშვს მანამდე არაფერი უთქვამს.

ბავშვისთვის ჩამაგონებელია კითხვების გამეორებაც, რადგან ამ შემთხვევაში ბავშვს ყურადღება გადააქვს არა უშუალოდ მოგონებაზე, არამედ წინა პასუხებზე. როდესაც ბავშვს კითხვას უმეორებენ, ხშირ შემთხვევაში ის პასუხებს ცვლის. ერთ-ერთ კვლევაში, 4-დან 8 წლამდე ბავშვებს ერთი და იგივე კითხვები დაუსვეს უშუალოდ შემთხვევის შემდეგ და აგრეთვე ერთი კვირის შემდეგაც. როცა ღია ტიპის კითხვები იქნა გამოყენებული, ბავშვებმა მონათხრობი ზუსტი დეტალებით შეავსეს, ხოლო დახურული (კი/არა) კითხვების დასმისას პასუხების 25% არათანმიმდევრული იყო. შეუსაბამო კითხვების დასმისას ბავშვების უმრავლესობამ გაურკვევლობა გამოხატა, თუმცა ნაწილმა ლოგიკური გამოცნობა სცადა. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ბავშვების დაახლოებით 88% ცვლის პასუხებს კითხვების განმეორების შემთხვევაში.

გამომძიებლის წინაშე არსებული ერთ-ერთი სირთულე არის ბავშვისგან ინფორმაციის მოპოვების პროცესში ჩაგონების/მინიშნების გამორიცხვა. ჩამაგონებელ/მიმანიშნებელ კითხვებში გამოიყენება ინფორმაცია, რომელიც ბავშვს არ უხსენებია და/ან შეკითხვა იმგვარადაა დასმული, რომ უპირატესობა რომელიმე პასუხს ან პასუხის ტიპს ენიჭება. ჩამაგონებელი/მიმანიშნებელი კითხვები ბავშვს არმომხდარი მოვლენის ან არარსებული დეტალების მოყოლისაკენ უბიძგებს. ჩამაგონებელი/მიმანიშნებელი მიმართვა, შესაძლოა, ეფუძნებოდეს დამკითხველის/გამომკითხველის ინტერპრეტაციას ან სხვა წყაროებიდან მოპოვებულ ცოდნას. ამგვარი მიმართვა შეიძლება იყოს შეკითხვაც და ჩვეულებრივი წინადადებაც: „მესმის, რომ მან ამის საიდუმლოდ შენახვა გთხოვა (საიდუმლო ბავშვს არ უხსენებია)“; „გეტკინა, როცა გეხებოდა?“ (ბავშვს შეხება არ უხსენებია); „ის შეგეხო, ხო?“. ჩამაგონებელ მიმართვად ითვლება ერთი და იგივე შეკითხვის ბევრჯერ დასმაც, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეჭვი გამოიხატება: „მართლა ასე მოხდა?“; „დარწმუნებული ხარ?“ და ასე შემდეგ.

სახელმძღვანელოების უმრავლესობაში ჩამაგონებელი/მიმანიშნებელი მიმართვების გამოყენება რეკომენდირებული არ არის. თუმცა, ბავშვის მიერ არხსენებული მნიშვნელოვანი დეტალის (ეჭვმიტანილის სახელი, ადგილი თუ სხვა დეტალები) და დამკითხველის/გამომკითხველის ხელთ არსებული სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის

ან ინტერპრეტაციის (მაგალითად, სხვა მოწმეები, ეჭვმიტანილი, სოციალური მუშაკი, მშობლები) გამო ჩამაგონებელი/მიმანიშნებელი მიმართვა ზოგჯერ მაინც გამოიყენება ხოლმე.

5.5.5. თავისუფალი გახსენება და ცნობა

თავისუფალი გახსენება და ცნობა მეხსიერების ურთიერთსაპირისპირო ნაწილებად შეგვიძლია განვიხილოთ. თავისუფალი გახსენება ხდება მაშინ, როდესაც გამოიყენება ღია კითხვა, რომელიც მინიშნებას არ შეიცავს; მაგალითად, როცა დამკითხველი/გამომკითხველი ამბობს: „მომიყევი ყველაფერი, რაც მოხდა“. ასეთ შემთხვევებში, თუ რა იქნება გახსენებული, მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, ვინც იხსენებს; მაშინ როცა, ცნობის მეხსიერებას ააქტიურებს კითხვები, რომლებიც რამდენიმე ვარიანტს შორის არჩევანის გაკეთებას მოითხოვენ („ის ტანსაცმლის ზემოდან შეგეხო თუ ტანსაცმლის შიგნიდან?“). ამ ტიპის შეკითხვები ზღუდავს პასუხებს და უზუსტობის ალბათობას ზრდის, რადგან გამოკითხულმა, შესაძლოა, გასცეს პასუხი მაშინაც კი, როცა ზუსტად არ ახსოვს. ამ კონტექსტში, „რა, სად, როდის და როგორ“ ტიპის პირდაპირ/მიმართულ შეკითხვებზე პასუხები თავისუფალ გახსენებასა და ცნობას შორისაა. ასეთი შეკითხვები არ შეიცავს დამკითხველის/გამომკითხველის მიერ მოწოდებულ ვარიანტებს და შეეხება იმას, რაც უკვე იყო ნახსენები დაკითხულის/გამოკითხულის მიერ. თუმცა, ასეთ კითხვებზე მოკლე პასუხების გაცემა ხდება ობიექტის ან მოვლენის იმ ასპექტების შესახებ, რომლებიც, შესაძლოა, მეხსიერებაში კარგად აღბეჭდილი ან დამახსოვრებული არ იყოს.

პირდაპირი/მიმართული შეკითხვები ერთმანეთისაგან სირთულის მიხედვით განსხვავდებიან. მაგალითად, შეკითხვა დროის შესახებ („როდის მოხდა ეს?“) ხშირად ძალიან მნიშვნელოვანია გამომძიებელთათვის, მაგრამ დაკითხულისთვის/გამოკითხულისთვის (განსაკუთრებით ბავშვისთვის) რთულია ზუსტი დროის გახსენება. ასეთ დროს ბავშვები ხშირად ცდილობენ გამოცნობას, გახსენების ნაცვლად. ხოლო სხვაგვარ პირდაპირ/მიმართულ შეკითხვებზე (მაგალითად,“ რა ჰქვია შენს ძმას?“) პასუხის გაცემა უფრო ადვილია, რადგან, ასეთ შემთხვევებში, პასუხის გასაცემად საჭიროა მხოლოდ ის, თუ რამდენად ახსოვს მას კონკრეტული მოვლენა. ისეთი კითხვები, როგორიცაა „ამდენი ხანი როგორ შერჩა(მოძალადეს) ეს ყველაფერი?“, შესაძლოა, ლოგიკურად მოგვეჩვენოს, თუმცა, სამწუხაროდ, ისინი ბავშვს სპეკულაციისკენ უბიძგებენ და არა გამოცდილების გახსენებისკენ. ზოგიერთი შეკითხვაზე (მაგალითად, „რატომ გააკეთა მან ეს“?) ბავშვის მიერ პასუხის გაცემა, საუკეთესო მეხსიერების პირობებშიც კი, შეუძლებელია და შესაბამისად, არ უნდა იქნეს გამოყენებული.

მკვლევარებმა შეისწავლეს ბავშვების პასუხების სიზუსტე სხვადასხვა ტიპის შეკითხვებზე. მაგალითად, 10-11 წლის ბავშვებს უჩვენეს მოკლემეტრაჟიანი ფილმი ბოროტმოქმედთა მიერ ჩადენილ ძარცვაზე, მათი დაჭერის მცდელობაზე, მათ გაქცევაზე და დადევნებაზე. ფილმის ჩვენების შემდეგ ბავშვებს დაუსვეს სხვადასხვა ტიპის კითხვები. შედარებისას აღმოჩნდა, რომ ღია კითხვებზე პასუხების 91% იყო სწორი, ხოლო დახურულ/პირდაპირ კითხვებზე - 81%. კვლევაში, კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით დასმული კითხვებით მიღებული ინფორმაციის შესწავლის შესახებ, აღმოაჩინეს, რომ 5 წლის გოგონას პასუხების 90% ურთიერთგამომრიცხავი იყო დახურული, პირდაპირი/ მიმართული და ჩამაგონებელი/მიმანიშნებელი შეკითხვების დასმისას, ხოლო ღია შეკითხვებისას წინააღმდეგობრიობა საერთოდ არ ფიქსირდებოდა.

ამდენად, სხვადასხვა ტიპის შეკითხვებით მოპოვებული ინფორმაციის ხარისხი მეტად განსხვავებულია და ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია დაკითხვის/გამოკითხვის ძირითადი პრინციპების დაცვა და ინფორმაციის მოპოვება ძირითადად ღია ტიპის კითხვებით.

5.5.6. ტრავმული სტრესის გავლენა მეხსიერებაზე

რა ფაქტორები მოქმედებენ სტრესული გამოცდილების შემთხვევაში? შესაძლებელია თუ არა, რომ სექსუალური ძალადობის ტრავმამ გავლენა მოადინოს ბავშვის მეხსიერებაზე? ტრავმულ მოვლენებზე მსხვერპლის რეაქციის შესახებ მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნის წყალობით, შესაძლებელი გახდა პრაქტიკის გაუმჯობესება და სექსუალური ძალადობის შემთხვევების ეფექტური გამოძიება.

როგორც უკვე აღინიშნა, მეხსიერების ძირითადი ფუნქციია ინფორმაციის შენახვა და აღდგენა. თავდაპირველად ადამიანი იღებს ინფორმაციას (მაგალითად, რასაც ხედავს, ისმენს, ეხება) შემდეგ ამ ინფორმაციას თავის ტვინი გარდაქმნის და ინახავს. ამასთან, ადამიანის მეხსიერება „ჩამწერივით“ არ მუშაობს. დროთა განმავლობაში მეხსიერება ახდენს ინფორმაციის რედაქტირებას ახდენს. ზოგიერთი შენახული ინფორმაცია იკარგება, მოგონებების გარკვეული დეტალების დავიწყება ან შეცვლა ხდება. ეს ბუნებრივი პროცესია.

სტრესული, მატრავმირებელი სიტუაცია უარყოფით ზეგავლენას ახდენს მეხსიერებაში აღდგენის უნარზე თუ სტრესი ძალიან ძლიერია ან მართლაც ძალიან მცირეა, მან შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მეხსიერებაში აღდგენის უნარზე. ტრავმული მოვლენები, როგორიცაა სექსუალური ძალადობა, ადამიანის მეხსიერებაში სხვაგვარად ფიქსირდება, ვიდრე ცხოვრების უფრო ჩვეულებრივი, ყოველდღიური გამოცდილება. შესაბამისად, რუტინულ, ყოველდღიურ მოვლენებთან შედარებით, მსხვერპლი ტრავმულ მოვლენებს სხვაგვარად იხსენებს და ყვება, მისი მოგონებები ზოგჯერ არასწორი და შეუსაბამოა, მან შეიძლება გააკეთოს არათანმიმდევრული და არასრული განაცხადები, მის მონათხრობში შეიძლება აღმოჩნდეს ბევრი ფაქტობრივი „შეუსაბამობა“.

ნერვული სისტემის ძლიერი აღგზნების მდგომარეობაში, რაც დაკავშირებულია ტრავმულ გამოცდილებასთან, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ყურადღების “შევიწროებას“. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დროს სენსორული ინფორმაციის აღქმა იზღუდება და აღიქმება მხოლოდ უშუალო საფრთხე. შესაბამისად, ბავშვი უფრო ადვილად გაიხსენებს მხოლოდ ერთ, ცენტრალურ ობიექტს ან მისთვის შიშისმომგვრელ დეტალს და მის მეხსიერებაში ნაკლებად იქნება ინფორმაცია სხვა, გარეშე დეტალებთან დაკავშირებით.

ცნობილია ტრავმული მეხსიერების შემდეგი ფორმები:

- **ფრაგმენტული** - სწრაფად შემოდის ინფორმაცია გამოცდილების შესახებ, თუმცა ტრავმის ბუნებიდან გამომდინარე ხდება „მტკივნეული დეტალებით“ გადაფარვა და სექსუალური ძალადობის მრავალი დეტალების სრული გახსენება ვეღარ ხერხდება.

- **ამნეზია** - გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოგონებების, ან კონკრეტული მოვლენის შესახებ მოგონებების სპეციფიური, მნიშვნელოვანი დანაკარგი, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი დავიწყება; ამნეზია შესაძლოა იყოს ნაწილობრივი ან სრული. ნაწილობრივი ამნეზია შეიძლება შეეხებოდეს მოგონების ცენტრალურ ან პერიფერიულ დეტალებს.

- **ცრუ მოგონება** - არის მოგონების ტიპი, რომელსაც პიროვნება როგორც რეალურს აღიქვამს, მაგრამ იგი ნაწილობრივ ან მთლიანად არ შეესაბამება სინამდვილეს. ცრუ მოგონების არსებობის დროს დაზარალებულის მიზანი არ არის ტყუილის თქმა და გამოძიების შეცდომაში შეყვანა, არამედ მისი ტრავმით გამოწვეული ზიანის პროდუქტია.

გონება ცდილობს „დავიწყებული“ ფრაგმენტირებული მოგონება შეავსოს და ნებიმიერი მასალა შესაძლოა გახდეს „ცრუ მოგონების“ წარმოქმნის მიზეზი. მაგალითად, გამომძიებლის შეკითხვა - „ეცვა თუ არა წითელი მაისური მოძალადეს?“ (მაშინ, როცა ბავშვს ამის შესახებ არაფერი უხსენებია) - შესაძლოა, მსხვერპლის „დავიწყებული“მასალის სწრაფი შემავსებელი გახდეს.

ასევე, სექსუალური ძალადობის შემთხვევების შესწავლისას, მკვლევარებმა დაადგინეს, რომ გახსენების (მოკლევადიანი მოგონებების გრძელვადიან პერსპექტივაში გარდაქმნა) პროცესებზე უდიდეს გავლენას ახდენს ძილის ფაქტორი. ამ დროს ტვინი რეორგანიზებას ახდენს და ნედლი მასალის გრძელვადიან მეხსიერებად შენახვას განაპირობებს (McGaugh, 2000). ამდენად, მსხვერპლმა, რომელსაც გამოკითხვა ძალადობის შემდეგ უტარდება, შესაძლოა, ვერ აღიდგინოს ყველაფერი, რაც მის ტვინში ახალ მოგონებად არის გარდაქმნილი. გასათვალისწინებელია, რომ მსხვერპლი ბავშვის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სიმწირე პირველი გამოკითხვისას და მაგალითად, 2 დღის შემდეგ ბევრი დეტალის დამატება არ გახდეს ბავშვის ჩვენების სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველი. მეხსიერების სქემებისთვის შეიძლება საჭირო იყოს დრო და საშუალება გამოძინებისთვის, რომ გაერთიანდეს ინფორმაცია, რომელიც ტრავმის დროს მიიღო ბავშვმა.

ბავშვის მეხსიერებაზე ტრავმის და სტრესის ზემოქმედების განხილვისას, ფსიქოლოგიური ფაქტორების გარდა, ფიზიოლოგიური ფაქტორებიც გასათვალისწინებელია. მაგალითად, ქრონიკულმა სტრესმა ბავშვებში შეიძლება გავლენა მოახდინოს თავის ტვინის განვითარებაზე და მისი სტრუქტურის შეცვლა გამოიწვიოს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე ეხება დროში გახანგრძლივებული სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს.

ტრავმული მეხსიერების შესახებ ცოდნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბავშვზე სექსუალური ძალადობის გამოძიებისთვის: თუ ბავშვი სტრესულ პირობებში გამოიკითხება, მაგალითად, გამომძიებლის მხრიდან ემპათიის გამოხატვის, თხრობის ხელშემწყობი მეთოდების გამოყენების გარეშე - ბის ვერ შეძლებს გამოძიებისტვის სასარგებლო ინფორმაციის გახსენებას, რომელიც მის ტრავმირებულ ტვინში ინახება.

5.6. ბავშვზე სექსუალური ძალადობის შემთხვევების გაუმჟღავნებლობა ან დაგვიანებით გამჟღავნება. მერყევ მოწმეებთან მუშაობა

ბავშვზე სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს შემთხვევების გაუმჟღავნებლობა ან დაგვიანებით გამჟღავნება. კვლევები, რომლებიც ეხება სექსუალურ ვიქტიმიზაციის ეჭვების არსებობის შემთხვევაში ბავშვების გამოკითხვას მიუთითებს გამჟღავნების დაბალ მაჩვენებლებზე, მაშინაც კი, მტკიცებულებათა ერთობლიობის არსებობის შემთხვევაშიც კი (როგორიცაა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის შედეგები[13] და/ან ეჭვმიტანილის აღიარება[14]), რომელიც ადასტურებს ბავშვზე სექსუალური ძალადობის ფაქტს. კვლევებით დასტურდება, რომ გამჟღავნების დაგვიანება ძირითადად ხდება ისეთ

[13] Lyon TD. 2007. False denials: Overcoming methodological biases in abuse disclosure research. In Child sexual abuse: Disclosure, delay and denial, M Pipe, M Lamb, Y Orbach, AC Cederborg (eds). Lawrence Erlbaum Associates: London; 41–62.

[14] Sjoberg RL, Lindblad F. 2002. Limited disclosure of sexual abuse in children whose experiences were documented by videotape. The American Journal of Psychiatry 159: 312–314.

შემთხვევებში, სადაც მსხვერპლს ახლო ურთიერთობა აქვს მოძალადესთან ან ძალადობა პირველად ახალგაზრდა ასაკში განიცადა, ხოლო გამოკითხვის დროს კომუნიკაციის შეფერხებას, ძირითადად, ადგილი აქვს ნაკლებად ძალადობრივ შემთხვევებში.[15]

გამოკითხვის (ინტერვიუირების) დროს ინფორმაციის გამჟღავნების ხელშეწყობის მიზნით, ინტერვიუერმა უნდა გაითვალისწინოს ბავშვის მოტივაცია, არ მისცეს ჩვენება. Malloy et al.[16] უთითებს, რომ „ბავშვების ურთიერთობამ მოძალადეებთან და სხვა მზრუნველებთან (რომელთაც ახლო ურთიერთობა აქვთ მოძალადეებთან), შესაძლოა ხელი შეუწყოს ერთგულებისა და დამოკიდებულების შეგრძნებების ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ იწვევს ბავშვის მიერ დანაშაულის დაგვიანებით გამჟღავნებას, რადგან მას სურს, რომ მისი ნაცნობი ზრდასრულები, რომელსაც იგი ენდობა, დაიცვას მოულოდნელი შედეგებისგან. ამრიგად, ბავშვზე სექსუალური ძალადობის სავარაუდო მსხვერპლები მოელიან უარყოფით შედეგებს (მაგ., ოჯახის დანგრევა, ნეგატიური ემოციები, დასჯა), თუ მათ ახლო ურთიერთობები აკავშირებთ ეჭვმიტანილებთან [...] და მათ აქვთ ნაკლები მზაობა, დროულად გაამჟღავნონ ბავშვზე სექსუალური ძალადობის შემთხვევა და ასეთ ვითარებაში უფრო მეტად არიან მიდრეკილები ბრალდებების გადათქმისკენ.“ ბავშვები, განსაკუთრებით უფროსი ასაკის ბავშვები, შესაძლოა ყოყმანობდნენ შემთხვევის გამჟღავნებასთან დაკავშირებით, სირცხვილის გრძნობის გამო ან ძალადობასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობის გრძნობის გამო.[17] ეს ფაქტორები განსაკუთრებით გამოხატულია ისეთ შემთხვევებში, სადაც ადგილი აქვს მზარდი ინტენსივობის ძალადობას, ვინაიდან შედეგად ბავშვს უჩნდება შეგრძნება, რომ იგი ამ ყოველივეს თანამონაწილეა.[18]

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ინტერვიუერმა გამოკითხვის დაგეგმვის ეტაპზე გაითვალისწინოს გამჟღავნებასთან დაკავშირებული პოტენციური ბარიერები, რათა ბავშვს უფრო კომფორტულად აგრძნობინოს თავი და მასთან დაამყაროს ეფექტური კომუნიკაცია. კერძოდ, ბავშვსა და ეჭვმიტანილს შორის არსებული ურთიერთობა, ძალადობის ხანგრძლივობა და მისი ესკალაცია დროთა განმავლობაში გათვალისწინებული უნდა იქნას გამოკითხვის სტრატეგიაში.

[15] Sjöberg RL, Lindblad F. Delayed disclosure and disrupted communication during forensic investigation of child sexual abuse: a study of 47 corroborated cases. Acta Paediatr. 2002;91(12):1391-6.

[16] Malloy, Lindsay C. , Brubacher, Sonja P. and Lamb, Michael E.(2011) 'Expected Consequences of Disclosure Revealed in Investigative Interviews with Suspected Victims of Child Sexual Abuse', Applied Developmental Science, 15: 1, 8 — 19.

[17] Browne, A., & Finkelhor, D. (1986). Impact of child sexual abuse: A review of the research. Psychological Bulletin, 99, 66–77.

[18] Arata, C. M. (1998). To tell or not to tell: Current functioning of child sexual abuse survivors who disclosed their victimization. Child Maltreatment, 3, 63–71.

5.7. ჩვენების უარყოფისა და გადათქმის რისკების გააზრება. ჩვენების გადათქმის პრევენცია ტრავმა-ინფორმირებული გამოკითხვის გზით. გამოკითხვა, როგორც ფართო, ბავშვზე მორგებული და ტრავმა-ინფორმირებული მიდგომის ნაწილი; მულტიდისციპლინური სერვისების როლი ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფაში

ბავშვზე სექსუალური ძალადობის შესახებ დასაბუთებული ბრალდებების გადათქმა მნიშვნელოვანი გამოწვევაა ასეთ დანაშაულებზე სამართლებრივი დევნისთვის, რადგან აღნიშნულ პოტენციურ მოწყვლადობას სავარაუდოდ გამოიყენებს დაცვის მხარე და სადავოდ გახდის ბავშვის მიერ თავდაპირველად მიცემული ჩვენების სანდოობას. ამავდროულად, კვლევებით დადასტურებული ჰიპოთეზის თანახმად, ჩვენების გადათქმა ხდება გარე გავლენების შედეგად და არა იმის გამო, რომ ბრალდებები არის ცრუ.[19]

კერძოდ, კვლევებით გამოვლინდა, რომ ახალგაზრდა ბავშვი, რომელზეც ძალადობას ახორციელებს მშობელი/მზრუნველი და რომელიც ვერ იღებს მხარდაჭერას მეორე მშობლისგან/მზრუნველისგან, სავარაუდოდ, თავდაპირველად მიცემულ ჩვენებას გადათქვამს.[20] აღნიშნული ხაზს უსვამს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ჯგუფში შემავალმა ბავშვებმა (ე.ი. ახალგაზრდა ბავშვები და/ან ისინი, ვისზეც ძალადობას ახორციელებს მშობელი/მზრუნველი) მიიღონ სათანადო მხარდაჭერა გამოძიების და სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას და საჭიროების შემთხვევაში, პროცესის შემდგომ. მეორე მშობლის/მზრუნველის გაძლიერება, რათა მან შეძლოს ბავშვისთვის სათანადო მხარდაჭერის გაწევა არასრულწლოვანი მსხვერპლისთვის მხარდამჭერი გარემოს უზრუნველყოფის ერთ-ერთი კომპონენტია.

კიდევ ერთ კვლევაში, რომელმაც დაადასტურა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ჩვენების გადათქმაზე, წარმოდგენილია მტკიცებულება იმისა, რომ ბავშვის რამდენჯერმე გამოკითხვა ზრდის თავდაპირველად მიცემული ჩვენების გადათქმის რისკებს.[21] აღნიშნული კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ საჭიროა, ბავშვის გამოკითხვა ჩატარდეს ერთხელ ან მაქსიმუმ, ორჯერ.

ბარნაჰუსის მოდელში წარმოდგენილია მოწყვლადი მსხვერპლი და მოწმე ბავშვების გამოკითხვასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრის კომპლექსური საშუალება. ზოგადად, ბავშვისთვის მხარდამჭერი გარემოს უზრუნველყოფასთან ერთად ბარნაჰუსის ზოგიერთი სერვისები, ასევე, ითვალისწინებს კრიზისულ ინტერვნეციას და კონსულტაციას ოჯახის სხვა წევრებისთვის (რომლებიც არ სჩადიან ძალადობას), რაც თავის მხრივ ზრდის მათ შესაძლებლობას, სათანადო მხარდაჭერა აღმოუჩინონ მსხვერპლ ბავშვს. ბარნაჰუსის სერვისები ითვალისწინებს ბავშვის გასაუბრების ჩაწერის შესაძლებლობას, რათა მოგვიანებით ჩანაწერი წარდგენილი იქნას სასამართლოში,

[19] Malloy LC, Lyon TD, Quas JA. Filial dependency and recantation of child sexual abuse allegations. J Am Acad Child Adolesc Psychiatry. 2007 Feb; 46(2):162-70.
[20] Id.
[21] Baía PAD, Alberto IMM, Dell'Aglio DD. Predictors of recantation after child sexual abuse disclosure among a Brazilian sample. Child Abuse Negl. 2021 May; 115:105006.

მტკიცებულების სახით. აღნიშნული მინიმუმამდე ამცირებს გამოკითხვის რაოდენობას და ჩვენების გადათქმის რისკებისგან დასაცავად დამატებით გარანტიას უზრუნველყოფს.

5.8. ტრავმა-ინფორმირებული გამოკითხვა ბავშვზე სექსუალური ძალადობის შემთხვევებში

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოკითხვა, პროფესიული ცოდნისა და შესაბამისი ტექნიკის, მეთოდოლოგიის ათვისების გარდა, განსაკუთრებით ფაქიზ მიდგომებს საჭიროებს, რაც მოიცავს ბავშვთან ურთიერთობის უნარებს, ემპათიას, ბავშვის და მშობლის ცალკეულ რეაქციებსა და წუხილებზე რეაგირებას, იმგვარი მიდგომების გამოყენებას, რომლებიც ძალადობის მსხვერპლ ბავშვს დამშვიდებასა და სტრესის შემცირებაში დაეხმარება. მსხვერპლთან კომუნიკაციისას, არაკორექტულად დასმული კითხვებით და მიმართვებით იზრდება ბავშვის ხელახალი ტრავმირების / რეტრავმატიზაციის და მის მიმართ არასწორი სტერეოტიპული წარმოდგენების და დამოკიდებულების გავრცელების რისკი.

ტრავმა-ინფორმირებული გამოკითხვა გულისხმობს ორიენტირებას შემდეგ საკითხებზე:

1. **გაცნობიერებულობა** - ფსიქოლოგიური ტრავმის, როგორც სტრესული სიტუაციების თანმდევი მდგომარეობის შესახებ - რამდენად გავრცელებულია და რამდენად ხშირად გვხვდება.

2. **ამოცნობა** - ტრავმული ზემოქმედების ნიშნების ამოცნობა; თუ როგორ შეიძლება გამოვლინდეს პოსტტრავმული რეაქციები ტრავმაგადატანილ ადამიანებთან ნეიტრალურ და კეთილგანწყობილ სიტუაციებშიც კი.

3. **ქმედებების შესრულება** -, რომლებიც მიმართულია ძალადობაგადატანილი ადამიანისთვის ხელახალი ტრავმის არიდებაზე და წარსული ტრავმული გამოცდილებისგან გათავისუფლებაზე.

ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ გამომძიებლებს გაცნობიერებული ჰქონდეთ სტრესის და ტრავმის ნიშნები, ამოიცნონ ისინი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და იმოქმედონ ამ ნიშნების გათვალისწინებით.

მაგალითები

9 წლის ბარბარე უხეშად გეპასუხებათ, როცა თქვენ ცდილობთ დაეხმაროთ სკამიდან წამოდგომაში. მის ამგვარსავე ქცევას ადასტურებს სოციალური მუშაკი: „დაბარბაცდა და მიხმარება რომ ვცადე, ყვირილი დამიწყო“. *ეს შეიძლება იყოს შებრძოლების რეაქცია, რომელიც მომდინარეობს ბარბარეს მიერ გადატანილი სექსუალური ძალადობისგან.*

7 წლის სანდრო მოულოდნელად გარბის ოთახიდან მას შემდეგ, რაც გამომძიებელი სთხოვს მას, მოუყვეს მომხდარის შესახებ. სანდროს დედის თქმით, „როგორც კი ერთ სიტყვას ვიტყვით მომხდარის შესახებ, სანდრო თავის ოთახში გარბის ყვირილით: „არაფერი არ მინდა!“ -*ეს შეიძლება იყოს გაქცევის ტრავმული რეაქცია*

5 წლის მარიამს სთავაზობთ ჭიქით წყალს და ის პასუხად შეშდება, მზერა „ეყინება“. მისი მშობლების გადმოცემით, მარიამს დაეწყო „გათიშვები“ და ეპილეფსიაზე აქვთ ეჭვი. - *ეს შეიძლება იყოს გაყინვის დისოციაციური რეაქცია გადატანილი ტრავმის პასუხად.*

ბავშვი, რომელმაც სექსუალური ძალადობა გადაიტანა, მეტად მგრძნობიარე, სენზიტიურია, ზე-სიფხიზლის მდგომარეობაშია. იმ შემთხვევაში, თუ გამოკითხვის პროცესში მისი რეაქციების არასწორი ინტერპრეტაცია ხდება გამომძიებლის მხრიდან, ამან შეიძლება გამოიწვიოს განმეორებითი ტრავმირება. მაგალითად, უწყინარი შეკითხვა „რა გჭირს? რა მოგივიდა?“ - ტრავმირებულმა ბავშვმა შეიძლება მიიღოს, როგორც გაკიცხვა, იძულება და არა როგორც თანაგრძნობა და გაგება. შედეგად, ის კიდევ უფრო დაუცველად და მარტოდ იგრძნობს თავს და თავის განცდებში ჩაიკეტება.

ტრავმა-ინფორმირებული მიდგომისას, გამომძიებელმა უნდა გადართოს თავისი აზრები ინტერპრეტაციებიდან და საკუთარ თავს დაუსვას კითხვა: „რა შეემთხვა ამ ბავშვს?“, რაც იმის დანახვის საშუალებას იძლევა, რომ ბავშვის ერთი შეხედვით გაუგებარი, უჩვეულო რეაქციები - ეს ნორმალური რეაქციებია არანორმალურ გარემოებებზე, კონკრეტულად - სექსუალურ ძალადობაზე. ამგვარი მიდგომა გაზრდის ბავშვის ნდობას.

ტრავმა-ინფორმირებული მიდგომა არ მიიღწევა რაიმე ცალკეული ტექნიკის ან სახელმძღვანელო ჩამონათვლების მეშვეობით. ის გამომძიებლისგან მოითხოვს მსხვერპლი ბავშვის მიმართ ყურადღებას, გაცნობიერებას, სიფრთხილეს, მგრძნობელობას, ემპათიას.

იმის მიუხედავად, ვიცით თუ არა ჩვენ, ტრავმირებულია თუ არა ბავშვი, არსებობს ბაზისური პრინციპები, რომელთა დაცვა უზრუნველყოფს ტრავმა-ინფორმირებულ მიდგომას.

ტრავმა-ინფორმირებული მიდგომის პრინციპები

- **უსაფრთხოება და ნდობა.** უსაფრთხოება უმნიშვნელოვანესია მეორეული ვიქტიმიზაციის არიდების უზრუნველყოფისთვის. ბავშვისთვის უსაფრთხო გარემო ნიშნავს: ფიზიკური გარემო უსაფრთხოა, ხოლო პიროვნებათშორისი ურთიერთობები უსაფრთხოების განცდას აძლიერებენ. შესთავაზეთ თქვენი მხარდაჭერა, გამოიყენეთ ამისთვის სწორად შერჩეული სიტყვები, სხეულის ენა, რომლებიც გამოხატავენ პატივისცემას, სიმშვიდეს და ადამიანის ღია მიღებას. აჩვენეთ ბავშვს, რომ ერკვევით მის კულტურალურ, ისტორიულ, გენდერულ თავისებურებებში და ითვალისწინებთ მათ. ჰკითხეთ საკუთარ თავს: რამდენად შეიძლება იყოს ამგვარი ქცევა დაკავშირებული გადატანილ ტრავმასთან?“ და „რა შეიძლება დასჭირდეს ამ ბავშვს განმეორებითი ტრავმირების ასარიდებლად?“

- **არჩევანის და ხმის უფლება.** ბავშვები ინფორმირებულები უნდა იყვნენ გამოკითხვის პროცედურის შესახებ, ეს ამცირებს მათ შიშს და შფოთვას. ბავშვები, რომლებსაც გამოკითხვის დაწყებამდე განუმარტავენ პროცესის მნიშვნელობას, მიზანს, ხანგრძლივობას და რომლებსაც გამოკითხვის განმავლობაში აძლევენ საჭირო განმარტებებს, მაქსიმალურად ინარჩუნებენ სიმშვიდეს და შფოთვის დაბალ მაჩვენებლებს ავლენენ. დარწმუნდით, რომ ბავშვს ყველა აუცილებელი ინფორმაცია აქვს იმის შესახებ, თუ რა სამართლებრივი პროცესი მიმდინარეობს, როგორია პირადად მისი როლი, რა არის მისი ინტერვიურების მიზანი. რამდენადაც ეს შესაძლებელია, მიეცით არჩევანის გაკეთების საშუალება. ჰკითხეთ აზრი და შეეცადეთ უპასუხოთ მის ყველა კითხვას. წაახალისეთ, დასვას კითხვები.

- **ძლიერი მხარეები და მედეგობა.** გამოავლინეთ და აღიარეთ ადამიანის ძლიერი მხარეები

და მისი მედეგობა. შეეცადეთ დაინახოთ, რომ ნებისმიერი ქცევა არის ადაპტური ქცევა. მაგალითად, „გაყინვა“, „გაქცევა“ ან „შებრძოლება“ - ეს სტრესული რეაქციებია. ამასთან ეს რეაქციები ზოგჯერ საუკეთესო რეაქციებია გადარჩენისთვის რეალური საფრთხის დროს. მიაქცევინეთ ყურადღება, რომ ადამიანმა გადაიტანა მძიმე ტრავმა, გაუძლო ამას და ამიტომ მას აქვს ძალები, რომლებიც საჭიროა გამოიყენოს. ჰკითხეთ მისი ბიოგრაფიის, ყოველდღიური ცხოვრების შესახებ, რის კეთება უყვარს და გაამახვილეთ ყურადღება მის ძლიერ მხარეებზე.

პარადიგმის ცვლილება - როგორ ვაქციოთ საგამოძიებო გამოკითხვა ტრავმა-ინფორმირებულ ინტერვიუდ? სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის რეაქციების, ტრავმული მეხსიერების ფორმირების და ტრავმის ნეირობიოლოგიური მექანიზმების შესწავლამ საგამოძიებო სისტემას საშუალება მისცა გაეუმჯობესებინა მგრძნობელობა ბავშვის ტრავმაზე რეაგირების დიაპაზონისა და მრავალფეროვნების მიმართ. მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში არსებობს ტრავმა-ინფორმირებული დაკითხვისა და გამოძიების პროტოკოლები, მეთოდოლოგიები, რომლებსაც რეალური პოტენციალი აქვს, დაეხმაროს სისხლის სამართლის სისტემას ბავშვზე სექსუალური ძალადობის საქმეების ეფექტურ წარმოებასა და მართვაში.

მსგავს მეთოდოლოგიათა ზოგადი პრინციპები მოიცავს: ა) მნიშვნელოვანია, მივცეთ მსხვერპლს ინციდენტის უწყვეტი თხრობის საშუალება, რათა მან შეძლოს საკუთარი სიტყვებით მოყვეს რა მოხდა. ბ) ბავშვის გამოკითხვისას კითხვები უნდა იყოს ღია ტიპის, სასურველია, რომ ფოკუსირება მოხდეს მსხვერპლის სენსორული, ყნოსვითი და ბგერებით ინფორმაციაზე. ამგვარმა თხრობამ შეიძლება გამოიწვიოს უფრო მეტი მოგონების იდენტიფიცირება, რაც მტკიცებულებების შეგროვების და შემდგომი ინფორმაციის დამუშავების შესაძლებლობას იძლევა. გ) თავიდან უნდა იყოს აცილებული ნებისმიერი რისკი, რაც მსხვერპლ ბავშვს დამნაშავედ აგრძნობინებს თავს / მაგ: კითხვები ”რატომ გააკეთე?”, „რატომ წახვედი იმ გზით სიბნელეში?“ და ა.შ. (აქვე აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში განხილული და რეკომენდირებული NICHD პროტოკოლი ასევე ითვალისწინებს ტრავმა-ინფორმირებული მიდგომის ბაზისურ პრინციპებს).

მაგალითები

ა)

არამართებული მიმართვა

"რატომ არ წამოხვედი?“ „რატომ არ დაიყვირე?“

ტრავმა-ინფორმირებული რეფრეიმინგი

„«მომიყევი ყველაფერი, როდესაც (კონკრეტული ეპიზოდი ხდებოდა). „მეტი მომიყევით იმის შესახებ, რა მოხდა როდესაც...?“ „მომიყევი რა მოხდა, როცა იყავით (ოთახში, მანქანაში, სკვერში...), „ იქ ყოფნის დროს შენი ფიქრების და განცდების შესახებ მომიყევი“ და სხვა.

რატომ?

არამართებულ კითხვას მსხვერპლი დადანაშაულებად მიიღებს იმასთან დაკავშირებით, რომ ის არ წამოვიდა სიტუაციიდან; რომ მას ამის გაკეთების შესაძლებლობა ჰქონდა და რაც მოხდა, ეს მისი არჩევანი იყო. მწვავე სტრესულ სიტუაციებში მსხვერპლი გაცნობიერებულად არ ირჩევს მომხდარზე საკუთარ რეაქციას. ლოგიკური, რაციონალური, ცნობიერი აზროვნება დათრგუნულია. წამყვანი ხდება „გადარჩენაზე პასუხისმგებელი ტვინი“, ის მუშაობას იწყებს თვითგადარჩენის რეჟიმში, ირთვება გაყინვის, გაქცევის და შებრძოლების რეაქციები.

ფრაზის „მეტი მომიყევი...“-ს გამოყენება ამცირებს მსხვერპლზე ზეწოლას და საშუალებას აძლევს, რომ თავად გაიაზროს, რა და რატომ მოიმოქმედა ან არ მოიმოქმედა სტრესულ სიტუაციაში. საყურადღებოა, რომ როდესაც განცდებზე ვეკითხებით, კითხვა დაკავშირებული უნდა იყოს

კონკრეტულ ქმედებასთან, რომელიც მსხვერპლმა თავისუფალი თხრობისას ახსენა. მაგალითად, „როცა მან კარი ჩაკეტა, მომიყევი შენი განცდების შესახებ ამ დროს“

ბ)
არამართებული მიმართვა

- „რა გეცვათ?’

ტრავმა-ინფორმირებული რეფრეიმინგი

- „ზოგჯერ შეიძლება ღირებული სამხილები იმ ტანსაცმლისგანაც მოვიპოვოთ, რომელიც გეცვათ, თუნდაც ის გარეცხილი იყოს. ვისურვებდით, რომ სამხილის სახით გამოგართვათ ის ტანსაცმელი. შეგვიძლია წავიღოთ ის თვენთვის ხელსაყრელ დროს?“

რატომ?
მსხვერპლმა კითხვა შეძილება მიიღოს, როგორც დადანაშაულება მისი ჩაცმულობის გამო ძალადობის დროს., ანუ კითხვა მან შეიძლება მიიღოს ისე, თითქოს მოძალადემ ის მისი ჩაცმულობის გამო შეარჩია. ამიტომ აუცილებელია ახსნა, რომ ტანსაცმელი, ზეწარი, პირსახოცი და სხვა სამხილი შეიძლება იყოს.

გ)
არამართებული მიმართვა
„ალკოჰოლი ან რაიმე ნარკოტიკი მიიღეთ?“
„თქვენ ფხიზელი იყავით?“
ტრავმა-ინფორმირებული რეფრეიმინგი
„შეგიძლიათ მითხრათ, თავდასხმის დროს ნასვამი ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ ხომ არ იყავით? ჩვენ არ ვიძიებთ თქვენ მიერ ალკოჰოლის/ნარკოტიკის მიღებას. ჩვენ ვზრუნავთ თქვენს უსაფრთხოებაზე და იმის გარკვევაზე, რაც შეგემთხვათ. ეს დაგვეხმარება დანაშაულის შემადგენლობის განსაზღვრაში და უფრო ზუსტ წარმოდგენას შეგვიქმნის იმაზე, რაც თავდასხმის დროს ხდებოდა და ასე შევძლებთ თქვენს დამატებით მხარდაჭერას“.

რატომ?
არამართებულმა კითხვამ მსხვერპლს შეიძლება აფიქრებინოს, რომ რაც მას შეემთხვა, ეს იმიტომ მოხდა, რომ ის ალკოჰოლის ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. ამას გარდა, მსხვერპლს ეშინია, რომ ამგვარ აღიარებას შეიძლება რეაგირება მოჰყვეს სამართალდამცავთა მხრიდან, განსაკუთრებით თუ მსხვერპლი არასრულწლოვანია და/ან ნარკოტიკის მიღება იყო არაკანონიერი. ნარკოტიკის ან ალკოჰოლის მიღების აღიარებამ შეიძლება გაზარდოს მსხვერპლის ბრალეულობის და სირცხვილის განცდები. ამის შესამცირებლად, მსხვერპლს უნდა განემარტოს, რომ ალკოჰოლის ან ნარკოტიკის ნებაყოფლობითი მიღება არანაირად არ ამართლებს ძალადობას.

ემოციური მხარდაჭერა - ნდობის 4 ნაბიჯი

1) **ბავშვის ტყავში შედით“** - გვერდზე გადადეთ თქვენი საკუთარი ხედვები და შეეცადეთ, სიტუაციას მისი თვალებით შეხედოთ.
2) **არ განიკითხოთ.** - ეს ბარიერს ქმნის ურთიერთობაში, აუფასურებს გამოცდილებას და ხშირად ეს არის ხოლმე მცდელობა, რომ საკუთარი თავი დავიცვათ მტკივნეული სიტუაციისგან.
3) **იყავით კავშირზე თქვენს საკუთარ ემოციებთან** - მხოლოდ ასე შეძლებთ სხვისი ემოციების ობიექტურად დანახვას და გაგებას.
4) **გამოხატეთ, რომ გესმით ბავშვის განცდები.** არ უთხრათ: კარგი რა, რაც მთავარია, შენ...“ ან „უარესიც შეიძლებოდა მომხდარიყო...“, უთხარით: „მე მესმის, რომ ამის

მოყოლა გიმძიმს“, „მვხედავ, რომ ნერვიულობ, შფოთავ. მომიყევი ამის შესახებ“...

გამოკითხვის პროცესში არაჩამაგონებელი მხარდამჭერი მიდგომები ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნებით

დაკითხვა/გამოკითხვის პროცესში ბავშვის ემოციური მხარდაჭერა არის ძალიან მნიშვნელოვანი და ხელს უწყობს ძალადობის შესახებ ბავშვის მიერ ზუსტი და სანდო ინფორმაციის მოწოდებას. ამასთანავე, ეს მხარდაჭერა არ უნდა იყოს ზეგავლენის მომხდენი, მიმანიშნებელი და ამან ბავშვს არ უნდა გაუჩინოს სურვილი, ჩვენთვის თავის მოსაწონებლად ან „მადლიერების ნიშნად“, დაგვეთანხმოს და ისეთი ინფორმაცია გადმოგვცეს, რომელიც, მისი აზრით, ჩვენ მოგვეწონებოდა.

მხარდამჭერი ტექნიკების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ბავშვი ჩაკეტილია, დისტანციას იჭერს, შეშინებულია , მოუსვენრადაა. კარგად მოქმედებს მადლობის გადახდა, მადლიერების გამოხატვა და დაფასება: „მადლობა მინდა გადაგიხადო იმისთვის, რომ მეხმარები“. ვაფასებ, რომ მელაპარაკები“, „.მადლობა, რომ ასე ცდილობ გაიხსენო და მიყვები იმას, რაც მოხდა“ და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვს მიმართოთ პერსონალურად, სახელით და არ მიმართოთ მოფერებითი ტერმინებით: „ტკბილო“, „საყვარელო“. „ვაჟკაც“, „ლამაზუნა“ და სხვა. ასევე, მოერიდეთ “შეფასებას”, მაგალითად, არ უთხრათ: „ამის შესახებ ძალიან კარგად მითხარი” და გარკვეული შინაარსის განმტკიცებას, მაგალითად, “მადლობა რომ მამაშენის შესახებ ეს მითხარი”). ასეთ შემთხვევებში, მხარდასაჭერად გამოიყენეთ, მაგალითად, ასეთი ფრაზები: „გასაგებად ყვები და ეს მნიშვნელოვანია“, „ნამდვილად მეხმარები, რომ გავიგო, მადლობა“ და სხვა.

გვახსოვდეს, რომ მსხვერლ და მოწმე ბავშვებს ხშირად აქვს ბრალეულობის განცდა მომხდარის გამო. ამიტომ მასთან კომუნიკაციისას ვიზრუნოთ ბავშვისგან პასუხისმგებლობის მოხსნაზე: „ ეს შენი ბრალი არ არის“, „შენ არ ხარ ამაზე პასუხისმგებელი“ და სხვა.

6. ადგილზე კომუნიკაცია, პირველადი რეაგირების პერსონალის მიერ

6.1. ოპერაციული სახელმძღვანელო ინსტრუქციები პოლიციის დისპეჩერებისთვის

პოლიციის დისპეჩერები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, როგორც წინა ხაზზე მომუშავე პრაქტიკოსები. ისინი ქმნიან კრიტიკულ კავშირს საზოგადოებას (მათ შორის, საზოგადოების ყველაზე ახალგაზრდა წევრებს) და პოლიციასა და გადაუდებელი დახმარების სამსახურებს შორის. სწორედ დისპეჩერის პასუხისმგებლობაა, დაადგინოს მაქსიმალური ინფორმაცია სატელეფონო ზარის მიმდინარეობისას, რათა ადგილზე გამოცხადებულმა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელმა შეძლოს ეფექტური და ეფექტიანი რეაგირების განხორციელება. იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი ზარი შესაძლოა ეხებოდეს კრიტიკულ ინციდენტებს, რომლებიც საჭიროებს რეაგირებას მაქსიმალურად მოკლე დროში, პოლიციის დისპეჩერის უნარი, მაქსიმალურად სწრაფად მოიპოვოს რელევანტური ინფორმაცია და ამავდროულად, უზრუნველყოს ზარის ავტორის უსაფრთხოება, უაღრესად მნიშვნელოვანი როლს ასრულებს ზარების პრიორიტეტულობის განსაზღვრასა და პოლიციის რეაგირების ინიცირებაში, რაც თავის მხრივ გულისხმობს ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენას.

ზოგ შემთხვევაში, ზარის ავტორი არასრულწლოვანია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ პოლიციის დისპეჩერებმა გაიარონ მომზადება სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებთან, მათ შორის, ბავშვებთან მკომუნიკაციაში, რათა მათ შეძლონ ბავშვისათვის ინფორმაციის სწორად მიწოდება, მისი სავარაუდო ასაკისა და განვითარების დონის გათვალისწინებით, ბავშვის პასუხის სათანადოდ ინტერპრეტირება და ადგილზე არსებული სიტუაციის ადეკვატურად შეფასება.

დისპეჩერი სერიოზულად უნდა მოეკიდოს არასრულწლოვნის მიერ განხორციელებულ ზარს. დისპეჩერმა არ უნდა ჩათვალოს, რომ ბავშვი უბრალოდ „ტელეფონით თამაშობს“.

ბავშვთან კომუნიკაციისას, დისპეჩერი ვალდებულია:

- გაეცნოს ბავშვს, უთხრას თავისი სახელი და სატელეფონო საუბრისას ბავშვს მიმართოს სახელით;
- ბავშვს ესაუბროს მისთვის გასაგები ენით და არ ელაპარაკოს ქედმაღლურად;
- ბავშვს ესაუბროს წყნარად;
- თუ ბავშვი იყენებს ბუნდოვან გამონათქვამებს, როგორიცაა: „რაღაც ცუდი მოხდა“, სთხოვოს დაზუსტება დაძალების, მოუთმენლობისა და ინტრუზიულობის გარეშე;
- იმ შემთხვევაში, თუ ბავშვმა არ იცის სად იმყოფება, სიტუაცია შეაფასოს, რათა დაადგინოს, თუ რამდენად უსაფრთხოა, რომ ბავშვმა გარშემო მიმოიხედოს. თუ უსაფრთხოა, ბავშვს სთხოვოს, ისეთი ნივთების მოძებნა, რომელზეც შესაძლოა მისამართი იყოს დატანილი (კონვერტი, ყუთი და ა.შ.).

დისპეჩერი უნდა შეეცადოს, ხაზზე დარჩეს ზარის ავტორთან, ზარის გადამისამართების პროცესის მანძილზე, თუ ზარის ავტორი არის ბავშვი და

a) იგი თანახმაა, დარჩეს ტელეფონზე; და

b) ტელეფონზე დარჩენა არ უქმნის რისკს ზარის ავტორის უსაფრთხოებას.

დისპეჩერს შეუძლია, ტელეფონი დაკიდოს იმ შემთხვევაში, თუ:

a) ბავშვს აღარ სურს ხაზზე დარჩენა; ან

b) ადგილზე გამოცხადებულმა ოფიცერმა დაამყარა კონტაქტი ზარის ავტორთან; ან

c) ადგილზე გამოცხადებულმა ოფიცერმა დისპეჩერს შეატყობინა, რომ ტელეფონზე დარჩენა აღარ არის საჭირო.

მოთმინება უაღრესად მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე ეხება ზარის არასრულწლოვან ავტორებთან კომუნიკაციას, განსაკუთრებით უაღრესად მატრამვირებელი ინციდენტების დროს. როდესაც ახალგაზრდა ბავშვი ახდენს მატრამვირებელი ინციდენტის შეტყობინებას (ძალადობა ოჯახის წევრზე), შესაძლებელია, რომ მისი ნათქვამი გაუგებრად ჟღერდეს. ასეთ შემთხვევაში, დისპეჩერმა უნდა გამოიჩინოს მოთმინება და მეთოდურად მოახდინოს ძირითადი ინფორმაციის მოპოვება ბავშვისგან. ამავდროულად, მან ბავშვი უნდა გაამხნევოს და მოახდინოს სიტუაციის უწყვეტი შეფასება, რათა დარწმუნდეს, რომ ბავშვის უსაფრთხოება არ დგას რისკის წინაშე.

როგორც აღინიშნა, ზარის არასრულწლოვან ავტორთან საუბრის დროს, დისპეჩერმა ბავშვი უნდა გაამხნევოს. ამავდროულად, იგი ბავშვს არ უნდა დაჰპირდეს ისეთ რამეს, რასაც პოლიცია ვერ შეასრულებს.

> ***კარგი პრაქტიკის მაგალითი:*** ჩვენ მალე მოვალთ და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ შენი დედიკო იყოს უსაფრთხოდ.
>
> ***ცუდი პრაქტიკის მაგალითი:*** ჩვენ მალე მოვალთ და შენს დედიკოს გადავარჩენთ.

როდესაც ოჯახში ძალადობის შემთხვევასთან დაკავშირებით რეკავს სრულწლოვანი, დისპეჩერმა უნდა სცადოს იმის დადგენა, იმყოფებიან თუ არა ადგილზე ბავშვები. თუ ზარის ავტორი ამბობს, რომ ადგილზე იმყოფებიან ბავშვები, დისპეჩერმა უნდა გაარკვიოს ბავშვების რაოდენობა და მათი ასაკი.

6.2. ოპერაციული სახელმძღვანელო ინსტრუქციები პირველადი რეაგირების პერსონალისთვის. კომუნიკაცია მტკიცებულების გაფუჭების პრევენციის მიზნით

პირველადი რეაგირების პერსონალს, მათ შორის, პოლიციას და გადაუდებელი დახმარების სამსახურს, ევალება ბავშვების ზიანიგან დაცვა. თანამშრომლები, რომლებიც ახორციელებენ პირველად რეაგირებას, უნდა მოქმედებდნენ იმ პრინციპის მიხედვით, რომ ბავშვის კეთილდღეობა ინციდენტზე რეაგირებისა და შემდგომი ქმედებების განხორციელების პროცესში არის უაღრესად მნიშვნელოვანი.

6.2.1. ინციდენტზე რეაგირების ჯგუფის გაგზავნა

იმ შემთხვევაში, თუ განხორციელებულ ზარზე დაყრდნობით ნათელია, რომ:

a) ინციდენტი არის შესაძლოა დანაშაული, და

b) ბავშვი სავარაუდოდ ადგილზე იმყოფებოდა ინციდენტის დროს, იმის მიუხედავად, შეესწრო თუ არა იგი ინციდენტს ან მიადგა თუ არა მას პირდაპირი ზიანი ინციდენტის შედეგად,

შესაბამისი უწყება ვალდებულია, გასწიოს ძალისხმევა იმისათვის, რომ ინციდენტზე რეაგირების ჯგუფის ერთ-ერთ წევრს მაინც გავლილი ჰქონდეს მომზადება ბავშვის

უსაფრთხოების შესახებ. თუ შესაძლებელია, რეაგირების განმახორციელებელი ოფიცრები უნდა იყვნე განსხვავებული სქესის.

თუ განხორციელებული ზარი შეიცავს მინიშნებებს, რომ:

a) ინციდენტის დროს ადგილზე იმყოფებოდა ბავშვი, და

b) ინციდენტის შედეგად მას პირდაპირ მიადგა ზიანი ან იგი შეესწრო მძიმე ძალადობას,

შესაბამისი უწყება ვალდებულია, გასწიოს ძალისხმევა იმისათვის, რომ ინციდენტზე რეაგირების ჯგუფში შედიოდეს მორიგე ფსიქოლოგი ან უზრუნველყოს ფსიქოლოგის ხელმისაწვდომობა ინტერვენციისთვის, საჭიროების შესაბამისად, ინციდენტზე რეაგირების განხორციელებისთანავე.

6.2.2. პროცედურა ადგილზე

ოჯახში ძალადობის შეტყობინებაზე რეაგირების პროცესში, იმის მიუხედავად, თუ ვინ განახორციელა ზარი ან აღინიშნა თუ არა მსხვერპლი ბავშვების შესახებ, რეაგირების განმახორციელებელმა ოფიცერმა უნდა დაადგინოს შემდეგი:

a) იმყოფებოდა თუ არა ბავშვი ადგილზე, ინციდენტის დროს;

b) ბავშვი ცხოვრობს თუ არა მისამართზე, სადაც ინციდენტი მოხდა.

ამ გარემოებების დადგენის პროცესში, რეაგირების განმახორციელებელმა ოფიცერმა უნდა იკითხოს, მისამართზე ცხოვრობენ თუ არა ბავშვები და იქაურობა დაათვალიეროს, რათა დარწმუნდეს, ხომ არ არის რაიმე ნიშანი, რომელიც ბავშვების ყოფნაზე მიუთითებს - მაგალითად, ბავშვის ტანსაცმელი ან სათამაშოები. თუ რეაგირების განმახორციელებელ თანამშრომლებს შეატყობინებენ ადგილზე ბავშვების ყოფნის შესახებ, ისინი ვალდებულები არიან, პირადად შეამოწმონ და დარწმუნდნენ, რომ ბავშვები არიან უსაფრთხოდ და უვნებლად.

ადგილზე გამოცხადებულმა ოფიცრებმა თითოეული ბავშვის შესახებ უნდა ჩაინიშნონ შემდეგი დეტალური მონაცემები:

a) იმყოფებოდა თუ არა ადგილზე ინციდენტის დროს

b) ცხოვრობს თუ არა მისამართზე, იმის მიუხედავად, იმყოფებოდა თუ არა ადგილზე ინციდენტის დროს

c) სრული სახელი

d) დაბადების თარიღი

e) სქესი

f) ძირითადი მზრუნველის სრული სახელი და მისამართი

g) რომელ სკოლაში ან ბაღში დადის ბავშვი

h) დეტალები ბავშვის მდგომარეობის და გარემოების შესახებ, მათ შორის: პირადი ჰიგიენა, ნუტრიციული სტატუსი, კომუნიკაციის შესაძლებლობა, დაზიანებები და ქცევა.

გადაწყვეტილება ბავშვთან გასაუბრების შესახებ დამოკიდებულია არსებულ გარემოებებზე. თუ ბავშვი არ არის ინფორმირებული ინციდენტის შესახებ (ე.ი., თუ ინციდენტი მოხდა ორ ზრდასრულს შორის მაშინ, როდესაც ბავშვს ეძინა), ზოგადად, მიზანშეწონილია რომ ოფიცრები ბავშვს ადგილზე არ გაესაუბრონ.

თუ ბავშვი ინფორმირებულია ან ერთი შეხედვით ჩანს, რომ ინფორმირებულია ინციდენტის შესახებ, მიზანშეწონილია, რომ ოფიცრები ადგილზე გაესაუბრონ ბავშვს და დარწმუნდნენ, რომ იგი უსაფრთხოდ არის. შესაძლებელია დამატებითი კითხვების დასმა, თუმცა, ეს კითხვები უნდა ეხებოდეს მხოლოდ დანაშაულის ადგილის, ეჭვმიტანილის ვინაობის და მისი სამყოფელი ადგილის განსაზღვრას. დამატებითი, უფრო კონკრეტული კითხვები არ უნდა იქნას დასმული. ბავშვთან საუბრის დროს, მნიშვნელოვანია, ბავშვს მიეცეს შესაძლებლობა, რომ ისაუბროს შეწყვეტინების გარეშე.

ოფიცრები ბავშვს უნდა გაესაუბრონ, თუ არსებობს ეჭვები ბავშვის უსაფრთხოებასთან და კეთილდღეობასთან დაკავშირებით. ამ პროცესში, ოფიცრებმა თავი უნდა შეიკავონ პირდაპირი კითხვების დასმისგან, ხოლო საუბარი უნდა შემოიფარგლებოდეს ბავშვის კეთილდღეობის შესახებ ზოგადი კითხვებით და ბავშვის გამხნევებით. თუ ოფიცერს გაუჩნდება გონივრული ეჭვი ბავშვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ზოგადი საუბრის დროს, მან რეფერირების პროტოკოლის თანახმად უნდა გააგრძელოს მოქმედება.

ოფიცრებს არ მოეთხოვებათ ბავშვის მშობლის ან კანონიერი მეურვის ნებართვის აღება იმისათვის, რომ ბავშვს გაესაუბრონ. ამავდროულად, თუ მშობელი ან სხვა ზრდასრული ბავშვს არ აძლევს უფლებას, ოფიცერს გაესაუბროს, ოპერაციული პრაქტიკა არ უნდა ითვალისწინებდეს გასაუბრების დაჟინებით მოთხოვნას, არამედ, აღნიშნულის შესახებ ინციდენტზე რეაგირების ოქმში შესაბამისი ჩანაწერის გაკეთებას. ასეთ შემთხვევაში, ოფიცერმა საქმე უნდა გადაამისამართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან, რათა ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს ბავშვის კეთილდღეობის მონიტორინგი.

თუ ოჯახში ძალადობის ინციდენტთან დაკავშირებით, საჭიროა პირის დაკავება, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი ვალდებულია, სიფრთხილით იმოქმედოს, რათა ტრავმა არ მიადგეს ბავშვს იმის გამო, რომ იგი შეესწრო მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის დაპატიმრებას. თუ ორივე მშობლის დაკავებაა აუცილებელი, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ზედამხედველს კონსულტაციისთვის და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ რა იქნება საუკეთესო გამოსავალი, რათა ბავშვი არ დარჩეს მზრუნველის გარეშე, დროის არც ერთ მონაკვეთში და არ შეესწროს ორივე მშობლის ერთდროულად დაკავებას. ზედამხედველმა, შესაძლოა, კონსულტაციისთვის მიმართოს ფსიქოლოგს და ისე მიიღოს გადაწყვეტილება განსახორციელებელი ღონისძიების შესახებ. შესაძლო სტრატეგიები მოიცავს მხოლოდ

მთავარი მოძალადის დაკავებას, ან დაკავების იმგვარი თანმიმდევრულობის უზრუნველყოფას, რომ ორივე მშობელი ერთდროულად არ იქნას დაკავებული.

6.2.3. ბავშვის უსაფრთხოების ან კეთილდღეობის რისკების იდენტიფიცირების შემთხვევაში გამოსაყენებელი პროცედურა

თუ რეაგირების განმახორციელებელი ოფიცერი გამოავლენს ბავშვის უსაფრთხოების ან კეთილდღეობის რისკებს, იგი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს პოლიციის განყოფილებას, რომელსაც ევალება ბავშვის მიმართ ძალადობის ინციდენტების გამოძიება.

თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ბავშვის ოჯახში დატოვების შემთხვევაში მას დაემუქრება ზიანის გარდაუვალი საფრთხე ან უწყვეტი ზიანი, რეაგირების განმახორციელებელმა ოფიცერმა უნდა განახორციელოს პოლიციელის უფლებამოსილება და უზრუნველყოს ბავშვის გადაყვანა, გადაუდებელი აუცილებლობის გამო.

6.2.4. გადაუდებელი კრიზისული ინტერვენცია და მსხვერპლის სტაბილიზაცია

დანაშაულის ჩადენისთანავე განხორციელებული ინტერვენცია შედგება ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ეტაპისგან:

a) გადაუდებელი რეაგირება, და

b) მსხვერპლის სტაბილიზაცია

მსხვერპლის სტაბილიზაციის ეტაპი ხშირად მჭიდროდ არის დაკავშირებული გადაუდებელ რეაგირებასთან და ზოგჯერ რთულია ამ ორი ეტაპის ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯვნა.

პირველადი რეაგირების პერსონალმა, მათ შორის, პოლიციამ და გადაუდებელი დახმარების სამსახურმა, უნდა გაიაროს მომზადება დანაშაულის ადგილზე მსხვერპლი ბავშვის სტაბილიზაციის შესახებ. კარგი პრაქტიკა ითვალისწინებს პოლიციის დეპარტამენტების მჭიდრო თანამშრომლობას ადგილობრივ კრიზისულ ან ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ცენტრებთან, სქემის შექმნას (შესაძლებელია ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე), რომლის თანახმადაც ინციდენტზე რეაგირების გუნდი შეძლებს, სწრაფადვე დაუკავშირდეს მორიგე ფსიქოლოგს ან კრიზისული ინტერვენციის მუშაკს, რათა ისინი ერთად გავიდნენ შემთხვევის ადგილზე, თუ მოსალოდნელია, რომ დანაშაულს მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური გავლენა ექნება.

დაიმახსოვრეთ, რომ პოლიციის მიერ გამოკითხვის ჩატარებამდე მსხვერპლის სტაბილიზაციამ, შესაძლოა, გაზარდოს გამოკითხვის მეშვეობით მოპოვებული სასარგებლო ინფორმაციის მოცულობა.

მსხვერპლის სტაბილიზაცია იწყება მას შემდეგ, რაც დაკმაყოფილდება მისი საბაზისო გადაუდებელი საჭიროებები, როგორიცაა, მსხვერპლი ბავშვის სახიფათო სიტუაციიდან განრიდება ან მისი გადაყვანა საავადმყოფოში.

ამ ეტაპზე საჭირო რეაგირება ყურადღებას უნდა ამახვილებდეს შემდეგზე:

a) შიშის შემცირება და მსხვერპლის დახმარება, თავი იგრძნოს უსაფრთხოდ

b) ბავშვის დარწმუნება, რომ საბოლოოდ იგი შეძლებს სიტუაციასთან ადაპტაციას

c) ბავშვისთვის გადაუდებელი დახმარების გაწევა, მათ შორის, რეფერირების სახით

d) ბავშვისთვის, მისი ასაკის და განვითარების დონის შესაფერის ენაზე განმარტება, თუ რისი მოლოდინი უნდა ჰქონდეს მას შემდგომი გამოძიების ფარგლებში.

7. ბავშვის საგამოძიებო ინტერვიუირების (გამოკითხვის) მეთოდოლოგია

7.1. ბავშვზე მორგებული გამოკითხვის ოთახი: ბარნაჰუსის მოდელი. ოთახში და/ან ოთახის გარეთ მესამე მხარეების ყოფნის პროტოკოლი. დოკუმენტირების პროტოკოლი

7.1.1. გამოკითხვის ოთახი

ბავშვის გამოკითხვის ოთახი მაქსიმალურად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

a) ოთახი უნდ აიყოს ფართო, თუმცა, არ უნდა იყოს ზედმეტად დიდი, რათა ბავშვმა არ განიცადოს აგორაფობია. ჭერი არ უნდა იყოს ზედმეტად მაღალი. თუ ბავშვის გამოკითხვის მიზნით გამოიყენება ოთახი, რომლის ჭერიც 3 მეტრს აღემატება, მიზანშეწონილია ჭერის დადაბლება დროებითი კონსტრუქციის გამოყენებით.

b) ოთახი უნდა იყოს გაწყობილი ბავშვზე მორგებული ავეჯით, რომელიც ორ სხვადასხვა ზომაში იქნება ხელმისაწვდომი, რათა კომფორტულად იგრძნონ თავი უფროსი და უმცროსი ასაკის ბავშვებმა. ავეჯი წარმოდგენილი უნდა იყოს რბილ ფერებში, რომლებიც საქართველოში გენდერულად ნეიტრალურ ფერებად აღიქმება. ავეჯი ინტერვიუერს და ნებისმიერი ასაკის ბავშვს თვალის დონეზე კომუნიკაციის შესაძლებლობას უნდა აძლევდეს. კუთხოვანი ავეჯის ნაცვლად მიზანშეწონილია ორგანული ფორმის ავეჯი.

c) გარედან შემომავალი ხმაურისგან დასაცავად მიზანშეწონილია, რომ კედლები იყოს ხმაგაუმტარი. თუ ოთახს, რომელსაც იყენებენ გამოკითხვისთვის, არ აქვს ხმაგაუმტარი კედლები, განხილული უნდა იქნას ოთახის გარეთ, შესასვლელში თეთრი ხმაურის გენერატორის განთავსების შესაძლებლობა.

d) ოთახი უნდა იყოს კარგად განათებული და ჰქონდეს ბუნებრივი სინათლის წყარო. განათების ხელოვნური წყაროები თანაბრად უნდა იყოს ერთმანეთისგან დაშორებული და ადეკვატური ინტენსივობა უნდა ჰქონდეს. თავიდან უნდა იქნას აცილებული ზედმეტად სუსტი ან ძლიერი განათება. მიზანშეწონილია, რომ ოთახის განათება იყოს რეგულირებადი.

e) კედლები შეღებილი უნდა იყოს ერთ ფერში, რბილი, ღია პასტელური საღებავით. არ არის მიზანშეწონილი თეთრი კედლები. სასურველია, რომ კედლებზე განთავსდეს ბავშვზე მორგებული სურათები. სურათები უნდა იყოს დეკორატიული ან ასახავდეს ბავშვზე მორგებულ გამოსახულებას. არ უნდა იქნას გამოყენებული ფანტაზიის ან სამეცნიერო ფანტასტიკის თემაზე შექმნილი გამოსახულებები.

f) გამოკითხვის ოთახში განთავსებული უნდა იყოს კომფორტული ნივთები, როგორიცაა საბნები და ბალიშები, რბილ და გაჯერებულ ფერებში, ასაკისათვის შესაფერისი სათამაშოები სხვადასხვა ასაკის ბავშვებისთვის. ოთახში არ უნდა იყოს ბევრი სათამაშო (მაგალითად, რბილი სათამაშოები), რადგან ამან შესაძლოა ბავშვს გაუფანტოს ყურადღება.

g) გამოკითხვის ოთახში განთავსებული ნებისმიერი საგანი უნდა იყოს უსაფრთხო. დაუშვებელია მტვრევადი, ბასრი პირის მქონე ნივთები და საგნები, რომლებიც პატარა ნაწილებისგან შედგება (მაგალითად, სათამაშოები). როზეტები აღჭურვილი უნდა იყოს დამცავებით. კაბელები, ელექტროენერგიის ბლოკები და სხვა საოფისე ნივთები განთავსებული უნდა იყოს ისე, რომ ხელი არ შეუშალოს ბავშვს ან ინტერვიუერს/დამკითხველს. კაბელები და სადენები არ უნდა იყოს მოშიშვლებული და სათანადოდ უნდა იყოს დამაგრებული (კაბელის მართვის სისტემების ან სპეციალური დამცავების გამოყენებით).

h) თუ ოთახში განთავსებულია ვიდეო კამერა, პატარა ბავშვებს მასზე ხელი ადვილად არ უნდა მიუწვდებოდეთ. კამერა შესაძლოა დაფარულ იყოს, თუმცა ასეთ შემთხვევაში, ბავშვს უნდა განემარტოს, რომ ხორციელდება ვიდეო ჩაწერა (იხ. სექცია *7.1.2. დოკუმენტირება. აუდიოჩაწერა/ვიდეოგადაღება)*

ქვემოთ წარმოდგენილია ბარნაჰუსის ბავშვზე მორგებული გამოკითხვის ოთახების მაგალითები.

გამოკითხვის ოთახი ბარნაჰუსში, ისლანდია (წყარო: childcircle.eu).

გამოკითხვის ოთახი ბარნაჰუსში, ტრომსო, ნორვეგია (წყარო: statensbarnehus.no).

ბავშვზე მორგებული გამოკითხვის ოთახი (ე.წ. “Niebieski Pokój” ანუ “ცისფერი ოთახი”), ჰელმნო, კუიავო-პომერანიის სავოევოდო, პოლონეთი. województwo kujawsko-pomorskie, Poland (via kujawsko-pomorska.policja.gov.pl).

7.1.2. დოკუმენტირება. აუდიოჩაწერა/ვიდეოგადაღება

დოკუმენტირების მიზნებისთვის, საჭიროა დანაშაულის მსხვერპლი ან მოწმე ბავშვის გამოკითხვის ჩაწერა. ამავდროულად, ჩანაწერი გამოყენებული უნდა იქნას სასამართლოში, მტკიცებულების სახით (იხ. სექცია *7.8. გამოკითხვის ჩანაწერის გამოყენება სასამართლო პროცესზე*). აუდიოჩაწერის/ვიდეოგადაღების დაწყებამდე, საჭიროა ბავშვის ინფორმირება, ბავშვზე მორგებულ, მისი ასაკის და განვითარების დონის შესაბამისი ენაზე, რომ განხორციელდება აუდიოჩაწერა/ვიდეოგადაღება. ბავშვს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ სურვილის შემთხვევაში დასვას კითხვები, რათა დააზუსტოს ჩაწერის მიზნები და აუდიტორია.

7.1.3. მესამე მხარეების ყოფნა ბავშვზე მორგებულ გამოკითხვის ოთახში

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, „მესამე მხარე“ აღნიშნავს პირს, რომელიც არ არის სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი, ფსიქოლოგი ან ბავშვთა დაცვის ორგანოს წარმომადგენელი. გამოკითხვის ოთახში მესამე მხარეების ყოფნა, მათ შორის, მშობლებისა და სხვა მხარდამჭერი პირების, რომლებიც თან ახლავს ბავშვს, ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი, რადგან აღნიშნულმა შესაძლოა შეაფერხოს გამოკითხვა და ზოგ შემთხვევაში, ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ქვემოთ წარმოდგენილია ზოგადი სახელმძღვანელო ინსტრუქციები გამოკითხვის ოთახში მშობლების და ბავშვის თანმხლები სხვა მხარდამჭერი პირების ყოფნასთან დაკავშირებით:

a) ბავშვს არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ახლდეს თან მშობელი ან კანონიერი მეურვე, თუ სწორედ ეს მშობელი ან კანონიერი მეურვე არის სავარაუდო მოძალადე. ასეთ დროს, იდეალურ შემთხვევაში, მხარდამჭერი პირი უნდა იყოს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენელი.

b) თუ მხარდამჭერი პირი არ არის სავარაუდო მოძალადე, გამოკითხვის ოთახში მისი ყოფნის მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას ბავშვის მდგომარეობის და გამოკითხვაში პოტენციური ჩარევის რისკის გათვალისწინებით. შეფასება უნდა განხორციელდეს გამოკითხვის დაგეგმვის ეტაპზე (იხ. სექცია *7.2. გამოკითხვის დაგეგმვა*).

   i. თუ შეფასების თანახმად, ბავშვმა განიცადა მძიმე ტრავმა და/ან აქვს სპეციალური საჭიროებები, რის გამოც ბავშვის გამოკითხვა მხარდამჭერი პირის დასწრების გარეშე ეწინააღმდეგება მის საუკეთესო ინტერესებს, მაშინ მხარდამჭერ პირს უნდა ჰქონდეს გამოკითხვის ოთახში ყოფნის შესაძლებლობა.

   ii. თუ შეფასების თანახმად, ბავშვის გამოკითხვა მისი მხარდამჭერი პირის დასწრების გარეშე არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, ხოლო მხარდამჭერი პირის ყოფნა გამოკითხვის ოთახში, გონივრული ვარაუდის საფუძველზე, საფრთხეს შეუქმნის გამოკითხვას (მაგ., სქესობრივი დანაშაულის შემთხვევებში, როცა ბავშვი შესაძლოა განიცდიდეს სირცხვის ან თავს არაკომფორტულად გრძნობდეს გარკვეული დეტალების ოჯახის წევრის თანდასწრებით გამჟღავნებასთან დაკავშირბეით; ან სხვა სიტუაციებში, სადაც მხარდამჭერ პირს, რომელიც არ არის დანაშაულის ჩამდენი პირი, შესაძლოა ამოძრავებდეს ბავშვის მიერ ინციდენტის გამჟღავნების პრევენციის სურვილი), მხარდამჭერი პირი უნდა დარჩეს გამოკითხვის ოთახის გარეთ, მოსაცდელ სივრცეში. ასეთ შემთხვევაში, მხარდამჭერი პირი უნდა ჩაანაცვლოს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენელმა.

იმ მხარდამჭერი პირის როლი, რომელიც გამოკითხვის ოთახში იმყოფება, უნდა შემოიფარგლებოდეს ბავშვისათვის ემოციური მხარდაჭერის უზრუნველყოფით. მხარდამჭერ პირს არ უნდა ჰქონდეს უფლება, მიიღოს მონაწილეობა გამოკითხვაში, ე.ი., დასვას კითხვები ან შეეწინააღმდეგოს დასმულ კითხვებს. ეს მოთხოვნა ასევე ვრცელდება იმ პირებზე, რომელთაც ნიშნავს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო.

იმ შემთხვევაში, თუ მხარდამჭერ პირს მისცემენ უფლებას, დარჩეს გამოკითხვის ოთახში, მას გამოკითხვის დაწყებამდე დეტალურად უნდა განემარტოს, თუ რა როლი აქვს მას და რა შეზღუდვები ვრცელდება მასზე გასაუბრების პროცესში.

7.1.4.მესამე მხარეების ყოფნა ბავშვზე მორგებული გასაუბრების ოთახის გარეთ

მიზანშეწონილია, რომ სპეციალისტებს, რომელთაც საგამოძიებო და ბავშვის ზრუნვასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები ენიჭებათ, ჰქონდეთ გასაუბრების

ოთახის გარეთ ყოფნის შესაძლებლობა, რათა დააკვირდნენ გასაუბრებას, იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ამ შემთხვევაში, ბავშვს უნდა განემარტოს მისთვის გასაგებ, მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამის ენაზე, რომ გასაუბრებაზე ახორციელებენ დაკვირვებას. ბავშვს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ სურვილის შემთხვევაში დასვას კითხვები, რათა დააზუსტოს დაკვირვების მიზნები და დამკვირვებლების როლი.

იმ შემთხვევაში, თუ წამყვან გამომძიებელს, რომელიც ატარებს გამოკითხვას, სჭირდება, რომ კონსულტაცია გაიაროს სამართალდამცავი ორგანოს ან სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენელებთან, რომლებიც აკვირდებიან გამოკითხვას, რის გამოც მას უწევს გარკვეული დროით ოთახის დატოვება, ბავშვს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა განემარტოს, თუ რატომ გადის გამომძიებელი და რამდენ ხანში დაბრუნდება. გამომძიებლის არყოფნის პერიოდში, ოთახში უნდა იმყოფებოდეს ფსიქოლოგი. კამერა ჩართული უნდა იყოს გასაუბრების მიმდინარეობის მანძილზე, უწყვეტად, მაშინაც კი, თუ/როცა გამომძიებელი გადის ოთახიდან.

7.2. გამოკითხვის (ინტერვიუს) დაგეგმვა. კოორდინაცია წამყვან გამომძიებელს და ფსიქოლოგს შორის. ფსიქოლოგის შერჩევა. ბავშვის შეფასება გამოკითხვის დაგეგმვისას (მათ შორის, ბავშვის კომუნიკაციის საჭიროებების, გენდერული საჭიროებების, არსებული რისკების და ა.შ. შეფასება). ბავშვის შესაძლებლობის შეფასება, მონაწილეობა მიიღოს გამოკითხვაში, გარკვეული გამოწვევების არსებობის შემთხვევაში (მცირეწლოვანი ბავშვი, კომუნიკაციის უნარის მძიმე დარღვევის მქონე ბავშვი). ენის და ქცევის შეფასება

ენის და ქცევის შეფასება არის შეფასების ერთ-ერთი ტიპი, რომელიც უნდა განხორციელდეს გამოკითხვის ჩატარებამდე, რათა განისაზღვროს ბავშვის ენობრივი კომპეტენცია და განვითარების დონე. ენის და ქცევის შეფასება სტანდარტულ პრაქტიკას უნდა წარმოადგენდეს გასაუბრების დაგეგმვის პროცესში, როდესაც საქმე ეხება მცირეწლოვან ბავშვს (ბაღის ან დაწყებითი სკოლის ასაკის) და უფროსი ასაკის ბავშვებსა და მოზარდებს, რომელთაც სპეციალური საჭიროებები აქვთ კომუნიკაციასთან ან კოგნიტურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ფორმალური დიაგნოზი არ უნდა წარმოადგენდეს უფროსი ასაკის ბავშვების შემთხვევაში ენის და ქცევის შეფასების ჩატარების წინაპირობას, რადგან ნეიროგანვითარების დარღვევის მქონე ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილში ეს დარღვევა არ არის დიაგნოზირებული.

კარგი პრაქტიკის მაგალითი:

Child Achieving Best Evidence Language Screen (ABELS) არის საუბრის და ქცევის შეფასების ეფექტური მეთოდის მაგალითი, რომელიც შექმნილია კონკრეტულად მცირეწლოვანი ბავშვებისთვის და ასევე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე უფროსი ასაკის ბავშვებისა და მოზარდებისთვის. ABELS არის სურათებზე დაფუძნებული ენის შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება ბავშვის დაკითხვამდე/გამოკითხვამდე. კერძოდ, იგი გამომძიებელს საშუალებას აძლევს, ბავშვთან დაამყაროს ეფექტური ორმხრივი კომუნიკაცია, მიხვდეს, თუ რა

ტიპის კითხვები არ უნდა დასვას და შეაფასოს ბავშვის მიერ მოვლენების გადმოცემის უნარი. გამოკითხვამდე ბავშვის მიერ კომუნიკაციის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრის მიზნით გამოიყენება ქულათა მარტივი სისტემა.

მოსახლეობის უმრავლესობისგან განსხვავებული კულტურის წარმომადგენელ ბავშვთან მუშაობისას (მაგ., ეთნიკური უმცირესობები, ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები, იმიგრანტები და ა.შ.), იქნას კულტურული ფაქტორები გათვალისწინებული უნდა გასაუბრებამდე შეფასებაში, კერძოდ, ენისა და ქცევის შეფასების დროს. Tishelman and Geffner (2010)[22] თანახმად, კულტურულ ფაქტორებს ბავშვზე სექსუალური ძალადობის შემთხვევებში დამატებითი შესწავლა სჭირდება. Fontes and Plummer (2010)[23] მიუთითებს, რომ კულტურული ფაქტორები, შესაძლოა, რელევანტური იყოს ბავშვთან გასაუბრებისთვის, სხვადასხვა მიზეზების გამო, მათ შორის, იმის გამო რომ აღნიშნული გავლენას ახდენს ენის გამოყენებასა და თავისუფლად ფლობაზე, არავერბალურ კომუნიკაციაზე, სტრესის განცდასა და გამოხატვაზე და ბავშვებისა და მათი ოჯახის წევრების ძირითად საზრუნავ საკითხებზე.

7.2.1. ინფორმაციის შეგროვება საწყის ეტაპზე

გასაუბრებამდე, გამომძიებელი უნდა შეეცადოს მაქსიმალური ინფორმაციის შეგროვებას ბავშვის მიერ გამჟღავნებული დეტალების შესახებ და მოიპოვოს მხარდამჭერი ინფორმაცია ბავშვის გარემოს, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და იმ სხვა ფაქტორების შესახებ, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ინტერვიუს სტრატეგიის შემუშავებაზე.

ინფორმაციის შესაძლო წყაროებია ქვემოთ ჩამოთვლილი მოხელეები, რომელთაც აქვთ პირდაპირი ცოდნა ბავშვის მდგომარეობის ან მისი გარკვეული ასპექტების შესახებ:

a) პირველადი რეაგირების პერსონალი;

b) სოციალური სამსახურის წარმომადგენლები;

c) ჯანდაცვის პროვაიდერები;

d) სკოლის და ბაღის მასწავლებლები და ადმინისტრაცია.

ამას გარდა, გამოკითხვის დაგეგმვისთვის საჭირო დოკუმენტური ინფორმაციის შესაძლო წყაროებია:

a) პოლიციის რეაგირების ოქმები;

b) სოციალურ სამსახურში არსებული პირადი საქმე;

[22] Tishelman, A. C., & Geffner, R. (2010). Forensic, cultural, and systems Issues in child sexual abuse cases: An introduction. Journal of Child Sexual Abuse, 19(5), 485–490.
[23] Fontes, L. A., & Plummer, C. (2010). Cultural issues in disclosures of child sexual abuse. Journal of Child Sexual Abuse, 19, 491–518.

c) სამედიცინო დასკვნები;

d) სკოლაში/სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში არსებული ჩანაწერები.

გასაუბრების დაგეგმვის ეტაპზე, იმ მსხვერპლი ბავშვის შესახებ, რომელმაც თავად გაამჟღავნა სექსუალური ძალადობის შემთხვევა, შეგროვებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგს, საჭიროების შესაბამისად:

a) ინციდენტის გამჟღავნებამდე ბავშვის მიერ ინფორმაციის წყაროსთვის გაგზავნილი შეტყობინებები, რომლებიც რელევანტურია გამჟღავნებისთვის, მათ შორის, ბავშვის მიერ გამოყენებული ზუსტი ფორმულირება (თუ შესაძლებელია);

b) ფაქტორები, რომელთაც გამოიწვიეს გამჟღავნება;

c) ბავშვის მშობლების / კანონიერი მეურვეების / სხვა მზრუნველების რეაქცია გამჟღავნების მიმართ;

d) გამჟღავნების შემდეგ, ბავშვის ფიზიკურ გარეგნობაში, ქცევაში და ჯანმრთელობის მდგომარეობაში განხორციელებული ცვლილება.

გასაუბრების დაგეგმვის ეტაპზე, იმ მსხვერპლი ბავშვის შესახებ, რომელსაც თავად არ გაუმჟღავნებია სექსუალური ძალადობის შემთხვევა, შეგროვებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგს, საჭიროების შესაბამისად:

a) ვინ გაამჟღავნა სექსუალური ძალადობის შემთხვევა ან როგორ გამოვლინდა სავარაუდო დანაშაული;

b) ფაქტორები, რომლებმაც ბავშვს ხელი შეუშალა გამჟღავნებაში;

e) ბავშვის მშობლების / კანონიერი მეურვეების / სხვა მზრუნველების რეაქცია გამჟღავნების/დანაშაულის გამოვლენის მიმართ;

f) დანაშაულის გამჟღავნების/გამოვლენის შემდეგ, ბავშვის ფიზიკურ გარეგნობაში, ქცევაში და ჯანმრთელობის მდგომარეობაში განხორციელებული ცვლილება.

ყველა მსხვერპლ ბავშვთან დაკავშირებით, გამოკითხვის დაგეგმვის ეტაპზე შესაგროვებელი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს, საჭიროების შესაბამისად:

a) ბავშვის მშობლების/კანონიერი მეურვეების/სხვა მზრუნველების ვინაობა და საკონტაქტო მონაცემები;

b) ბავშვის საცხოვრებელი გარემო, მათ შორის, ოჯახის სტრუქტურა და ზომა; დეპრივაციის ისტორია; მშობლებს შორის უთანხმოების ისტორია (მათ შორის, მეურვეობის შესახებ დავა, ოჯახში ძალადობა და ა.შ.);

c) ტრავმის ისტორია, მათ შორის, ბავშვზე ძალადობის შემთხვევები წარსულში, ოჯახში ან მის გარეთ;

d) ოჯახში ძალადობის ისტორია ბავშვის და-ძმების მიმართ;

e) ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების ისტორია ბავშვის ოჯახში და/ან უშუალო გარემოში;

f) ნივთიერებაზე დამოკიდებულების ისტორია (მათ შორის, ალკოჰოლზე და ფსიქოაქტიურ ნითიერებებზე) ბავშვის ოჯახში და/ან უშუალო გარემოში;

g) ბავშვის ოჯახის რომელიმე წევრის კრიმინალური წარსული;

h) მხარდაჭერა, რომელსაც ბავშვი იღებს მშობლებისგან/კანონიერი მეურვეებისგან/სხვა მზრუნველებისგან (უგულებელყოფის შემთხვევების ჩათვლით);

i) აქვს თუ არა სავარაუდო მოძალადეს ბავშვთან კონტაქტის შესაძლებლობა;

j) ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა და ფუნქციონირების სტატუსი, მათ შორის: ქრონიკული დაავადებები, ნეიროგანვითარების დარღვევა და/ან შეზღუდული შესაძლებლობები. ეს ინფორმაცია არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ფორმალური დიაგნოზებით, არამედ, უნდა მოიცავდეს ნებისმიერ ინფორმაციას სავარაუდო მაგრამ არადიაგნოზირებული ნეიროგანვითარების დარღვევების შესახებ.

7.2.2. გამოკითხვის წინა კოორდინაცია წამყვან გამომძიებელსა და ფსიქოლოგს შორის

გასაუბრების დაგეგმვის ეტაპზე, წამყვანმა გამომძიებელმა და ფსიქოლოგმა, რომელიც ასრულებს მრჩევლის ფუნქციას გამოკითხვის პროცესში, უნდა უზრუნველყონ საფუძვლიანი კოორდინაგია. ამავდროულად, გამოკითხვა უნდა დაიგეგმოს გარკვეული მოქნილობით, რათა შესაძლებელი იყოს ბავშვის ქცევისა და ვერბალური/არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად დინამიური ადაპტაცია, III-3 სექციაში წარმოდგენილი საგამოძიებო ინტერვიუირების (გამოკითხვის) პროტოკოლის შესაბამისად.

გამოკითხვის პროცესზე თავიდან ბოლომდე პასუხისმგებელია წამყვანი გამომძიებელი და იგი უნდა ჩაითვალოს წამყვან ინტერვიუერად, იმის მიუხედავად, თუ ვინ სვამს კითხვებს.

წამყვანმა გამომძიებელმა და ფსიქოლოგმა გამოკითხვის დაგეგმვის ეტაპზე, მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა გადაწყვიტონ, თუ ვინ უნდა დასვას კითხვები გამოკითხვის პროცესში: წამყვანმა გამომძიებელმა თუ ფსიქოლოგმა. გადაწყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ბავშვის ასაკი, სქესი და ძალადობის ტიპი; წამყვანი გამომძიებლის და ფსიქოლოგის

სქესი; წამყვანი გამომძიებლის გამოცდილება და მომზადება ბავშვის გამოკითხვის კუთხით.

ფსიქოლოგმა, რომელიც ასრულებს მრჩევლის ფუნქციას გამოკითხვის პროცესში, დაგეგმვის ეტაპზე გამომძიებელს უნდა გაუწიოს კონსულტაცია კითხვების ტიპის და ფორმულირების შესახებ. ამავდროულად, გამოყენებული ფორმულირებისდა მიუხედავად, ფსიქოლოგმა განზრახ ან გაუფრთხილებლობით არ უნდა დაამახინჯოს კითხვები ან დასვას ისეთი კითხვები, რომლებიც დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული არ ყოფილა.

7.2. სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოკითხვის დაგეგმვის და მომზადების ფსიქოლოგიური ასპექტები

დამკითხველები/გამომკითხველები. დაკითხვები/გამოკითხვები უნდა ჩაატარონ ამისთვის მომზადებულმა, კომპეტენტურმა პროფესიონალებმა. სამართლებრივ სისტემასთან დაკავშირებულ მოთხოვნათა გარდა, მათ უნდა გააჩნდეთ ცოდნა ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების, განვითარების დონის, ენობრივი თავისებურებების და საჭიროებების შესახებ. ამას გარდა, სასურველია იმის ცოდნაც, თუ რა ზეგავლენა მოახდინა გადატანილმა ძალადობამ ბავშვის კოგნიტურ, ემოციურ და სოციალურ განვითარებაზე.

საერთაშორისო პრაქტიკაში, თუ ბავშვის გამოკითხვა მართებული მეთოდოლოგიით ტარდება (როგორიცაა, მაგალითად, NICHD პროტოკოლი), გამომკითხველის სქესს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა, ზოგჯერ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვები საუბარს არ იწყებენ გამომკითხველის სქესის გამო. ზოგიერთი მათგანი ამბობს ამის შესახებ და რა თქმა უნდა, საჭიროა მისი სურვილის გათვალისწიება. იმ შემთხვევაში, როდესაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოკითხვისას, ყველა რეკომენდირებული წესის დაცვის და ბავშვის მდგომარეობის შეფასების ფონზე, ის მაინც შებოჭილია, დაძაბულია და ძნელად საუბრობს, შესაძლებელია, ამის მიზეზი გამომკითხველის სქესი იყოს. ასეთ დროს გამომძიებელს შეუძლია ჰკითხოს ბავშვს, ხომ არ ურჩევნია საუბარი ქალ/მამაკაც გამომძიებელთან.

დაკითხვის/გამოკითხვის დრო. დაკითხვის/გამოკითხვის დროის დაგეგმვისას, გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის დღის რეჟიმი (ჭამის დრო, ძილის დრო, ბანაობა და სხვა). სასურველია, დაკითხვის/გამოკითხვის ჩასატარებლად დრო ისე შეირჩეს, რომ საჭირო არ გახდეს ბავშვის გამოყვანა სკოლიდან ან სხვა ადგილებიდან (მაგალითად, სხვადასხვა წრეები, სპორტული სექციები), სადაც მათი არყოფნა შესამჩნევი იქნება და/ან დაეჭვებას, უხერხულობას გამოიწვევს. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, როცა საქმე შეიძლება ეხებოდეს ბავშვის კეთილდღეობასა და უსაფრთხოებას, დაკითხვა/გამოკითხვა დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს.

ფსიქოლოგის როლი. ბავშვზე სექსუალური ძალადობის გამოძიების პროცესის სპეციფიკა, პირველ რიგში, დაკავშირებულია იმასთან, რომ ძალიან ხშირად ბავშვი მომხდარის შესახებ ინფორმაციის მოწოდების ერთადერთი მისაწვდომი წყაროა. სამართალდამცავებისთვის განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს არასრულწლოვანი მსხვერპლისგან, მით უფრო მცირეწლოვანისგან ჩვენების მიღების და შეფასების პროცესი, რადგან ბავშვის გამოკითხვისას გათვალისწინებული უნდა იყოს რიგი ფაქტორებისა, როგორიცაა, ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებები, სექსუალური ძალადობის

ფსიქომატრავმირებელი ზემოქმედება მსხვერპლის პიროვნებაზე, მომხდარიდან გამოკითხვამდე გასული დროის ხანგრძლივობა და ასე შემდეგ.

გამომძიებელს შეუძლია ფსიქოლოგისგან მიიღოს კონსულტაცია-რეკომენდაციები შემდეგ საკითხებზე:

- რეკომენდირებულია თუ არა ბავშვის გამოკითხვა არსებული ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით;
- კითხვების ფორმულირების პრინციპები ბავშვის განვითარების დონისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით;
- გამოკითხვის ჩატარების დროის შერჩევა
- დაკითხვა/გამოკითხვის სივრცე/ადგილი,
- შესვენების დაწყების დროის და ხანგრძლივობის განსაზღვრა,
- მშობლის, კონკრეტული მონაწილეების დასწრება/არ დასწრების შესახებ, ურთიერთქმედების პროგნოზირება
- სხვა სპეციალისტის ჩართვის საჭიროება,
- ბავშვის „გახსნის“ სირთულეები გამომკითხველის სქესთან დაკავშირებით
- ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვის პროცესში ფსიქოლოგსა და გამომძიებელს შორის კომუნიკაციის წესები.

ზოგიერთ შემთხვევაში, მიზანშეწონილია ჩატარდეს მოკლე ფსიქოლოგიური გამოკვლევა სპეციალური ტექნიკის გამოყენებით, რომელიც არ საჭიროებს დროის მნიშვნელოვან ინვესტიციას, რის შემდეგაც ფსიქოლოგმა უნდა აცნობოს გამომძიებელს მიღებული შედეგების შესახებ, მიაპყროს მისი ყურადღება გამოსაკითხი ბავშვის ფსიქოლოგიურ მახასიათებლებზე. რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჩვენების მიღების სირთულეები.

გამოკითხვის დაწყებამდე, ერთჯერადი ფსიქოლოგიური კონსულტაციების გამოყენება ასევე შეიძლება მიმართული იყოს გამომძიებლის მიერ გარკვეული ასაკის ბავშვების აღქმის, მეხსიერების, წარმოსახვის, აზროვნების ტიპური მახასიათებლების შესახებ, რომლებმაც შეიძლება განაპირობოს სიძნელეები ჩვენების მიღებაში.

გამოსაკითხი / დასაკითხი ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება, მათ შორის, მეტყველების განვითარების დონის, კომუნიკაციის უნარის, ჩაგონებადობის, მეხსიერების შესახებ - ხელს უწყობს გამომძიებლის მიერ დაკითხვის ტაქტიკური მეთოდების დაგეგმვას: ბავშვისთვის ღია, დამაზუსტებელი, პირდაპირი ან დახურული კითხვების ფორმულირება და კითხვების დასმის თანმიმდევრობა; ვიზუალური მასალის გამოყენება, ჩვენების წერილობით მიღების მიზანშეწონილობა, ხატვის გამოყენება გამოკითხვის პროცესში და ა.შ.

7.3. ბავშვის საგამოძიებო ინტერვიუირების/გამოკითხვის პროტოკოლი: NICHD

არასრულწლოვნებს, 3 წლამდე ასაკის ბავშვებსაც კი, შეუძლიათ ზუსტად და დეტალურად აღწერონ თავიანთი პირადი გამოცდილება. არსებობს ისეთი საქმეების მაგალითები, სადაც ბავშვზე სექსუალური ძალადობასთან დაკავშირებით დაწყებული სამართლებრივი დევნა წარმატებით დასრულდა მცირეწლოვანი ბავშვის მიერ მიცემული ჩვენების საფუძველზე. ამავდროულად, ბავშვისგან მომხდარის შესახებ ზუსტი და დეტალური ინფორმაციის მოპოვება შესაბამის უნარებს მოითხოვს; თუ გამოკითხვის

დროს არ ხდება ბავშვის განვითარების დონის და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მისი შთაგონებადობის გათვალისწინება, მაღალია რისკის იმისა, რომ ინტერვიუერი ვერ შეძლებს მტკიცებულებითი ღირებულების მქონე ინფორმაციის მოპოვებას, არამედ, მოპოვებული ინფორმაცია იქნება შეცდომაში შემყვანი, იმის მიუხედავად, რომ იგი შესაძლოა იყოს საკმაოდ დეტალური.

NICHD-ის საგამოძიებო ინტერვიუირების პროტოკოლი,[24] რომელსაც ეფუძნება ქვემოთ წარმოდგენილი პროტოკოლი, შემუშავდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების გამოკითხვის პროცესში გავრცელებული ხარვეზების გათვალისწინებით. პროტოკოლის ვებგვერდზე აღნიშნულია, რომ პროტოკოლი ითვალისწინებს ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის, ლინგვისტურ შესაძლებლობებს, მახსოვრობას, შთაგონებადობას, სასამართლო-სამედიცინო საჭიროებებს, ინტერვიუერის ქცევას და სტრესისა და ტრავმის გავლენას. პროტოკოლი შექმნილია ინტერდისციპლინური ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ მკვლევარები, სასამართლო-სამედიცინო ინტერვიუერები, პოლიციელები და იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები, რომელთა მიზანიც იყო მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომის შემუშავება საგამოძიებო ინტერვიუირებასთან დაკავშირებით. პროტოკოლი ეფექტურად გამოიყენება სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან მიმართებით.

7.3.1. ბავშვის საგამოძიებო ინტერვიუირება: მიზანი და ზოგადი მახასიათებლები

ბავშვის საგამოძიებო ინტერვიუირება არის სავარაუდო დანაშაულის შესახებ ფაქტობრივი ინფორმაციის შეგროვების განვითარებისადმი მგრძნობიარე და სამართლებრივად მყარი მეთოდი. ინტერვიუს ატარებს სათანადოდ მომზადებული, ნეიტრალური პროფესიონალი, რომელიც იყენებს კვლევასა და პრაქტიკაზე დაფუძნებულ ტექნიკას. აღნიშნული ფართო საგამოძიებო პროცესის შემადგენელი ნაწილია.

კლინიკური ინტერვიუსგან განსხვავებით (ე.ი. ინტერვიუ, რომელსაც ატარებს თერაპევტი, სოციალური მუშაკი ან კონსულტანტი, რომელიც მიზნად ისახავს მსხვერპლის ფიზიკური და ფსიქოლოგიური საჭიროებების იდენტიფიცირებას და შეფასებას და შესაბამისი მკურნალობის უზრუნველყოფას), საგამოძიებო ინტერვიუ მიზნად ისახავს ზუსტი ფაქტების მოპოვებას, რომელიც სასამართლოში წარდგენილი იქნება მტკიცებულების სახით. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ ინტერვიუ უნდა ჩატარდეს იმგვარად, რაც უზრუნველყოფს მსხვერპლის მიერ მოვლენების სრულად და ზუსტად გახსენებას.

გამოყენებული პროტოკოლისდა მიუხედავად, კარგი პრაქტიკის ბავშვის საგამოძიებო ინტერვიუს მახასიათებლებია:

a) **ჰიპოთეზის შემოწმება** (ნაცვლად ჰიპოთეზის დადასტურებისა): პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს ნიშნავს, რომ ინტერვიუერის დავალებაა

[24] http://nichdprotocol.com/ (ბოლოს ნანახია 2020 წლის 22 დეკემბერს).

იმ ალტერნატივების გამორიცხვა, რითაც შესაძლოა აიხსნებოდეს ინდივიდუალური ბრალდებები (მაგ., იმ ტერმინის გამოყენება, რომელიც აღნიშნავს განზრახ ფიზიკური ტკივილის მიყენებას შესძლოა აიხსნებოდეს ტკივილით, რომელსაც ადგილი აქვს რუტინული სამედიცინო პროცედურის დროს);

b) **ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა:** ინტერვიუერი წარმართავს საუბრის მიმართულებას, თუმცა, ბავშვი იღებს გადაწყვეტილებას, საუბრის შინაარსისა და ლექსიკის შესახებ. ინტერვიუერმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რათა ბავშვს არ შესთავაზოს ალტერნატიული მოვლენები ან ინტერპრეტაციები (მაგ., კომენტარი, როგორიცაა „ალბათ, შეგეშინდა“ დაუშვებელია, რადგან იწვევს ბავშვის მონათხრობში მესამე მხარის ინტერპრეტაციის შეტანას/პროექტირებას).

7.3.2. ინტერვიუერის ქცევა და კომუნიკაცია: ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები

ინტერვიუერმა უნდა გაითვალისწინოს რამდენიმე სახელმძღვანელო პრინციპი მსხვერპლი და მოწმე ბავშვების ინტერვიუირების პროცესში მათ ქცევასთან და კომუნიკაციასთან დაკავშკირებით, ბავშვის ასაკის და ვიქტიმიზაციის ტიპის მიუხედავად. კერძოდ, ინტერვიუერი ვალდებულია:

a) ესწრაფვოდეს მშვიდი ატმოსფეროს შექმნას და შენარჩუნებას;

b) თავი შეიკავოს ბავშვის განცხადებებზე ემოციური რეაქციის გამოხატვისგან;

c) ბავშვს თავს არ მოახვიოს საკუთარი ინტერპრეტაციები (მაგ., დაუშვებელია თქმა: „ვიცი, შენთვის ეს რამდენად რთული იქნებოდა“). ინტერვიუერს შეუძლია გამოხატოს, რომ ესმის, თუ რას გრძნობს ბავშვი, თუმცა ეს უნდა გააკეთოს საკუთარი ინტერპრეტაციების ან ვრცელი კომენტარების დაფიქსირების გარეშე;

d) არ მოახდინოს ბავშვის მოტივირება თანამშრომლობისთვის (მაგ., დაუშვებელია თქმა: „მოდი, ეს კითხვები გავიაროთ და შემდეგ ჭიქა წვენს მოგიტან“. ისეთი ფამილიარული კომენტარები, როგორიცაა: „ჩვენ კარგი მეგობრები ვართ, არა?“ ხვდება არასათანადოდ მამოტივირებელი კომენტარების კატეგორიის ქვეშ და თავიდან უნდა იქნას აცილებული);

e) ბავშვს არ დაჰპირდეს ისეთ რამეს, რის შესრულებასაც ვერ შეძლებს ან რაც შექმნის ცრუ მოლოდინებს;

f) არ შეეხოს ბავშვს და/ან არ დაარღვიოს მისი პირადი სივრცე;

g) არ მიაშტერდეს ბავშვს;

h) არ გამოიყენოს სიტყვები, რომელიც აღნიშნავს თამაშს ან ამბის გამოგონებას/შეთხზვას (მაგ., დაუშვებელია ისეთი სიტყვების გამოყენება, როგორიცაა „წარმოიდგინე, რომ“ ან „თავი მოიკატუნე, რომ“);

i) არ მოახდინოს ბავშვის ქცევის კორექტირება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს აშკარად აფერხებს ინტერვიუს მიმდინარეობას. ასეთ შემთხვევაში, ინტერვიუერმა უნდა სცადოს, ბავშვის ყურადღება ფრთხილად/თავაზიანად მიმართოს ინტერვიუსკენ (მაგ., „შენი ნათქვამი ვერ გავიგე. დამეხმარები, თუ ცოტა ხმამაღლა ილაპარაკებ“). ამავდროულად, ინტერვიუერმა არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მოახდინოს ისეთი ქცევის კორექტირება, რომელიც გამოწვეულია შფოთვით ან შიშით (მაგ. თუ ბავშვი წრიალებს ან თამაშობს ნივტთან, ამ ქცევის კორექტირება არ უნდა მოხდეს, რადგან იგი წარმოადგენს გამკლავების სტრატეგიას; აღნიშნული განსაკუთრებით ვლინდება აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების შემთხვევაში, რომლებიც იყენებენ ე.წ. „სტიმინგს“, თვითმასტიმულირებელ ქცევას - როგორიცაა, ხელის ქნევა ან სხეულის რწევა/ქანაობა. აღნიშნული სტრესის ან შფოთვის მართვის საშუალებაა; ასევე, იხ. სექცია 7.3 *ნეიროგანვითარების სირთულეების მქონე ბავშვების გამოკითხვის სპეციფიკა*).

7.3.3. კითხვის ტიპები. ვერბალური და არავერბალური ენა

გამოყენებული საგამოძიებო ინტერვიუირების პროტოკოლისდა მიუხედავად, ინტერვიუერი სხვადასხვა ტექნიკებს იყენებს განვითარებული მოვლენების შესახებ ბავშვისგან სრული და ზუსტი ინფორმაციის მოპოვების მიზნით. ამ ტექნიკების გამოყენება საჭიროებს ბავშვის ფსიქოლოგიის ცოდნას, რათა კითხვების დასმა მოხდეს ისე, რომ არ დაიბნეს ან შეშინდეს ბავშვი ან წინასწარ განსაზღვრული პასუხი არ უკარნახოს მას. აღნიშნული, ასევე საჭიროებს ბავშვის მიერ მოწოდებული ვერბალური და არავერბალური ინფორმაციის ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

ზოგადად, საგამოძიებო ინტერვიუირებისას, ბავშვების შემთხვევაში გამოიყენება ე.წ. „ქვიშის საათის კონტინუუმის“ კონცეფცია. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ ღია კითხვებიდან ინტერვიუერი ეტაპობრივად გადადის ფოკუსირებულ კითხვებზე, ხოლო ინტერვიუს ბოლოს ისევ ღია კითხვებს უბრუნდება.

ქვემოთ წარმოდგენილია მოკლე ინფორმაცია კითხვების ტიპოლოგიის შესახებ, მათ შორის, კითხვები, რომელთა გამოყენებაც რეკომენდებულია და კითხვები, რომელთა გამოყენებაც თავიდან უნდა იქნას აცილებული. იქვე მითითებულია შესაბამისი განმარტებები.

ღია კითხვები: ღია კითხვებს უფრო სიტყვიერი შეთავაზების ფორმა აქვს, ვიდრე კითხვის. ისინი ზემოქმედებს **აღდგენის/გახსენების მეხსიერებაზე.**

მაგალითი: თავიდან ბოლომდე მიამბე ყველაფერი, რაც მოხდა.

ღია კითხვებს ხშირად მოსდევს უფრო სპეციფიური დამაზუსტებელი კითხვები:

მაგალითი: შემდეგ რა მოხდა?

ფოკუსირებული კითხვები: ფოკუსირებული კითხვები ყურადღებას ამახვილებს კონკრეტულ ადამიანზე, ნივთზე, ადგილზე ან გარემოებაზე. ისინი ზემოქმედებს **ამოცნობის მეხსიერებაზე.** ეს კითხვები გამოიყენება მაშინ, როდესაც ბავშვმა ამოწურა მოვლენათა აღდგენა/გახსენება. მნიშვნელოვანია, რომ ფოკუსირებული კითხვების დასმა მოხდეს მხოლოდ დეტალების გარკვევის მიზნით, იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც ბავშვმა უკვე მიაწოდ აინტერვიუერს. თუ ფოკუსირებული კითხვების დასმა ხდება ისეთ რაღაცასთან დაკავშირებით, რაზეც ბავშვს ჯერ არ უსაუბრია, ასეთი კითხვა არის შეუფერებელი და შესაძლოა, იყოს მიმართულების მიმცემიც (შთამაგონებელი).

მაგალითი: სად იყავი, როდესაც მამაშენმა დედაშენს დაარტყა?

დახურული კითხვები: დახურული კითხვები მოითხოვს „კი“ ან „არა“ პასუხს, ან ზოგ შემთხვევაში თავად ინტერვიუერი ასახელებს სავარაუდო პასუხებს, საიდანაც რესპონდენტი თავად ირჩევს პასუხს („იძულებითი არჩევანი“).

მაგალითები: თქვენს მასწავლებელს სურდა, რომ სხვა ადამიანებსაც გაეგოთ ამის შესახებ?

რამდენჯერ მოხდა ეს - ერთხელ, ორჯერ თუ მეტჯერ?

დახურული კითხვები სიფრთხილით უნდა იქნას გამოყენებული. ზოგადად, მათი გამოყენება მიზანშეწონილია ბავშვის მიერ უკვე გამჟღავნებული ინფორმაციის დასაზუსტებლად ან იმ კითხვის დასაზუსტებლად, რომელიც ბავშვმა კარგად ვერ გაიგო. ინტერვიუერმა არ უნდა გამოიყენოს კითხვები, რომლებიც მოიაზრებს იძულებით არჩევანს და არ სრულდება ღია კითხვით, რადგან ასეთი კითხვები ბავშვს აიძულებს, გააკეთოს არჩევანი მოცემულ პასუხებს შორის, მაშინაც კი, თუ არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

კარგი პრაქტიკის მაგალითი კითხვისა, რომელიც მოიაზრებს იძულებით არჩევანს: რამდენჯერ მოხდა ეს - ერთხელ, ორჯერ თუ მეტჯერ?

ცუდი პრაქტიკის მაგალითი კითხვისა, რომელიც მოიაზრებს იძულებით არჩევანს: რამდენჯერ მოხდა ეს - ერთხელ, ორჯერ თუ სამჯერ?

დაწყვილებული ღია კითხვები: დაწყვილებული ღია კითხვები მოიცავს მინიშნებებს, რომელიც მოსდევს ფოკუსირებულ ან დახურულ კითხვებს.

მაგალითი:

ფოკუსირებული კითხვა: სად შეგეხო მასწავლებელი?

პასუხი: კაბის ქვეშ.

დაწყვილებული ღია კითხვა: მიამბე ყველაფერი, თუ როგორ შეგეხო იგი კაბის ქვეშ.

მიმანიშნებელი კითხვა: მიმანიშნებელი კითხვები ბავშვებს წინასწარ განსაზღვრული პასუხის გაცემისკენ უბიძგებს. მათი გამოყენება დაუშვებელია.

მაგალითი: დედაშენმა თავში ჩაგარტყა, არა?

არავერბალური კომუნიკაციის ინტერპრეტაცია ინტერვიუერის უნარების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ინტერვიუერმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ბავშვის არავერბალურ გამოხატვას.

არავერბალურ კომუნიკაციის საფუძველზე, შესაძლებელია საგამოძიებო ინტერვიუს არსებით ეტაპამდე განისაზღვროს, გარკვეული სარწმუნოობით, გაამჟღავნებს თუ არა ბავშვი მოგვიანებით, ინტერვიუს არსებით ეტაპზე, სავარაუდო ძალადობას. კვლევების თანახმად, შესავალ და არსებით ეტაპებზე, არავერბალური კომუნიკაციის კუთხით ნაკლებად აქტიურები არიან ბავშვები, რომლებიც არ ამჟღავნებენ სავარაუდო ძალადობას.[25]

შესაბამისად, ბავშვის არავერბალური კომუნიკაციის გაგება მნიშვნელოვანია, რადგან იგი იძლევა ყოყმანის ადრეულ ეტაპზე გამოვლენის შესაძლებლობას, რის მიხედვითაც ინტერივუერი შეცვლის საკუთარ ქცევას და არა-მიმანიშნებელი მხარდაჭერის გაწევის გზით დაეხმარება ბავშვს ყოყმანის დაძლევაში.

აგრეთვე, მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ერთმანეთისაგან განსხვავდება არავერბალური მინიშნებების გამოყენება და ემოციის აშკარად გამოხატვა და ისინი ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს. ინტერვიუერი არ უნდა მოელოდეს, რომ ბავშვი, რომელმაც განიცადა სექსუალური ძალადობა, ინტერვიუს დროს გამოხატავს ემოციას. მართლაც, კვლევებმა დაადასტურა, რომ სექსუალური ძალადობის სმხვერპლი ბავშვები ძირითადად, ემოციური თვალსაზრისით, ნეიტრალურები არიან საგამოძიებო ინტერვიუს დროს. ისინი არ იყენებენ ზედმეტად პოზიტიურ ან ნეგატიურ ემოციური ენას.[26] აღნიშნული ვრცელდება როგორც არავერბალურ, ისე ვერბალურ კომუნიკაციაზე. შესაბამისად, ინტერვიუერმა არ უნდა შეიტანოს ეჭვი ბავშვის მიერ გამჟღავნებული ინფორმაციის სანდოობაში იმის გამო, რომ ბავშვა ნეიტრალური ემოციური ენა გამოიყენა.

ამას გარდა, მსხვერპლის ასაკი და გენდერი და სავარაუდო მოძალადესთან ურთიერთობა გავლენას ახდენს ემოციური ენის, მათ შორის, არავერბალური

[25] Katz C, Hershkowitz I, Malloy LC, Lamb ME, Atabaki A, Spindler S. Non-verbal behavior of children who disclose or do not disclose child abuse in investigative interviews. Child Abuse Negl. 2012 Jan;36(1):12-20. doi: 10.1016/j.chiabu.2011.08.006. Epub 2012 Jan 21. PMID: 22265935.

[26] Wood, B., Orsak, C., Murphy, M., & Cross, H. J. (1996). Semistructured child sexual abuse interviews: Interview and child characteristics related to credibility of disclosure. Child Abuse & Neglect, 20(1), 81–92. doi:10.1016/0145-2134(95)00118-2.

მინიშნებების გამოყენებაზე. უფროსი ასაკის ბავშვები უფრო მეტად იყენებენ ემოციურ ენას, ვიდრე მცირეწლოვანი ბავშვები; გოგონები უფრო მეტად იყენებენ ემოციურ ენას, ვიდრე ბიჭები; ამასთან, ბავშვები, რომელთაც განიცადეს ძალადობა მშობლების ან მზრუნველების მხრიადნ, ნაკლებად იყენებენ ემოციურ ენას იმ ბავშვებთან შედარებით, რომელთაც განიცადეს ძალადობა ისეთი ადამიანის მხრიდან, რომელიც მათი ოჯახის წევრი არ არის.[27]

ბავშვები ინტერვიუს დროს სპონტანურად არ გმაოხატავენ ემოციას, თუმცა, თუ ინტერვიუს დროს წახალისებულია ემოციური გამოხატვა, ამან შესაძლოა ბავშვს მიახვედროს, თუ რა მოლოდინები აქვს ინტერვიუერს მის მიმართ. კვლევების თანახმად, მხარდამჭერი კითხვები, როგორიცაა „როგორ გრძნობდი თავს?“ ხელს უწყობს ინფორმაციის მოპოვებას შიდა პროცესების შესახებ. რამდენიმე კვლევამ დაადასტურა, რომ როდესაც ბავშვი ინტერვიუს დროს გრძნობს მხარდაჭერას, იგი ინტერვიუერს აწვდის უფრო ზუსტ ინფორმაციას, ნეიტრალურ ან ისეთ ინტერვიუებთან შედარებით, სადაც ბავშვი მხარდაჭერას არ გრძნობს. ზოგადად, კვლევებით დადასტურებულია პოზიტიური კავშირი მხარდაჭერასა და ინფორმატიულობას შორის.[28]

არავერბალური მინიშნებები შესაძლოა მოიცავდეს სხეულის ენას, სახის გამომეტყველებას, თვალის მოძრაობას, სივრცის გამოყენებას და ხმის ტონს.

> **ჟესტები:** ჟესტები არავერბალური კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებული სახეა. ჟესტები გულისხმობს სხეულის მოძრაობას, რომელიც აღნიშნავს რაიმე მესიჯს, მათ შორის, ხელისა და მკლავის მოძრაობას, სხეულის პოზას და თავის მოძრაობას. ჟესტები შესაძლოა ინტეგრირებული იყოს გამოთქმებთან ან თან არ ახლდეს ვერბალური გამოხატვა. ხშირად ჟესტები გამოიყენება მაშინ, როდესაც რთულია სათქმელის სიტყვებით გადმოცემა. ზოგიერთი ჟესტი, მაგალითად, დაძაბული მხრები, მომუშტული ხელები და ზოგადად, კუნთების დაძაბულობა ადასტურებს, რომ ადამიანი არ არის ღია.
>
> **სახის გამომეტყველება:** ჟესტების მსგავსად, სახის გამომეტყველება ხშირად გამოიყენება მაშინ, როდესაც რთულია სათქმელის სიტყვებით გადმოცემა. ქვემოთ წარმოდგენილია ემოციების რუკა, რომელიც შექმნილია, რათა ინტერვიუერს დაეხმაროს ბავშვის ემოციის მნიშვნელობის განსაზღვრაში.

[27] Katz, C., Paddon, M.J. & Barnetz, Z. (2016). Emotional Language Used by Victims of Alleged Sexual Abuse During Forensic Investigation. Journal of Child Sexual Abuse, 25:3, 243-261, DOI: 10.1080/10538712.2016.1137666.
[28] Karni-Visel Y, Hershkowitz I, Lamb ME, Blasbalg U. Facilitating the Expression of Emotions by Alleged Victims of Child Abuse During Investigative Interviews Using the Revised NICHD Protocol. Child Maltreat. 2019 Aug;24(3):310-318. doi: 10.1177/1077559519831382. Epub 2019 Mar 17. PMID: 30879346.



ბედნიერი, გაბრაზებული, შეშინებული, მოწყენილი, გაოცებული, ინდიფერენტული, თავმობეზრებული, განიცდის სირცხვილს

კმაყოფილი, შეწუხებული, დამფრთხალი, უკმაყოფილო, გაოცებული, სიძულვილი, გულრგილი, განიცდის სინანულს

ნეიტრალური

ემოციების რუკა (წყარო: Margoudi, M.; Hart, J.; Adams, A. and Oliveira, M. (2016). Exploring Emotion Representation to Support Dialogue in Police Training on Child Interviewing. In: Serious Games JCSG 2016, Lecture Notes in Computer Science 9894, Springer, pp. 73–86.).

თვალის მოძრაობა: თვალის მოძრაობა, კერძოდ, თვალით კონტაქტი შესაძლოა გარკვეულ მინიშნებებს აძლევდეს ინტერვიუერს, თუმცა, ყოველთვის გათვალისწინებული უნდა იყოს კულტურული თავისებურებები თვალით კონტაქტის ინტერპრეტაციის დროს, რადგან ზოგიერთ კულტურაში თვალით კონტაქტი მიუღებელია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ბავშვის კულტურული წარმომავლობის დადგენა ინტერვიუს დაგეგმვის ეტაპზე.

სივრცის გამოყენება: სივრცის გამყენება მნიშვნელოვან მინიშნებებს აძლევს ინტერვიუერს თითოეულ ბავშვთან დაკავშირებით. სივრცის გამოყენების გაანალიზებისას ინტერვიუერმა უნდა გაითვალისწინოს ბავშვის კულტურული წარმომავლობა. ამავდროულად, ინტერვიუერმა სიფრთხილით, თუმცა, თანმიმდევრულად უნდა დააწესოს შესაბამისი საზღვრები ბავშვთან, რომლის გამოკითხვასაც აწარმოებს (მაგ., თუ ბავშვი დაარღვევს პირად სივრცეს შეუფერებელი ქცევით და მაგალითად, ინტერვიუერის კალთაზე დაჯდება, მას რბილად უნდა მიუთითონ თავისი ადგილისკენ).

ხმის ტონი: ხმის ტონი ინტერვიუერს ეხმარება ბავშვის მესიჯის გაშიფრვაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აღინიშნება შეუსაბამობა სიტყვიერ ნათქვამსა და ხმის ტონს შორის (მაგ., ბავშვმა შესაძლოა თქვას, რომ თავს ბედნიერად გრძნობს, მაგრამ მისი ხმის ტონი სხვა რამეს მიუთითებდეს). ასეთი

შეუსაბამობის შემთხვევაში, მიზანშეწონილია, რომ ინტერვიუერმა ბავშვს დაუსვას კითხვები, რათა დაადგინოს შეუსაბამობის მიზეზები.

7.3.4. ინტერვიუს ფაზები

არსებობს საგამოძიებო ინტერვიუს სხვადასხვა მოდელები, თუმცა, თითოეული ეფუძნება ბავშვის საუკეთესო ინტერესის პრინციპს. საგამოძიებო ინტერვიუს კონტექსტში, ბავშვის საუკეთესო ინტერესზე ფოკუსირება აღნიშნავს ინტერვიუირების შედეგად მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებას და მაქსიმალურად ეფექტური მტკიცებულების მოპოვებას მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით. აუცილებელია, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები იყოს საზომი, რომლითაც ინტერვიუერი მთელი ამ პროცესის მანძილზე იხელმძღვანელებს, ინტერვიუს ფაზისდა მიუხედავად.

ყველა საგამოძიებო ინტერვიუს აქვს შემდეგი ფაზები:

- შესავალი, ინსტრუქციები და ურთიერთგაგების დამყარება
- არსებითი ნაწილი / თავისუფალი თხრობა
- დამატებითი კითხვები
- დასასრული.

მსხვერპლი/მოწმე ბავშვის გამოსაკითხად დროისა და ადგილის არჩევის შემდეგ, აუცილებელია დაგეგმილი პროცესის ფაზებად დაყოფა, ხოლო თითოეულ ფაზას უნდა ჰქონდეს თავიზი მიზანი. ინტერვიუ შემდეგი ფაზებისგან შედგება:

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ინტერვიუირების (გამოკითხვის) ფაზები

ინტერვიუს დაწყებამდე

მოსამზადებელი ფაზა	
მიზანი: გამომძიებლისა და ფსიქოლოგის მომზადება, რომლებიც გამოკითხავენ ძალადობის	**დავალებები:** ▪ ინფორმაციის მოპოვება მსხვერპლი/მოწმე ბავშვის კოგნიტური, სოციალური და ემოციური განვითარების შესახებ და ასევე, იმ გარემოს შესახებ, რომელშიც ის ცხოვრობს და მისი ოჯახის შესახებ; ▪ ყველაზე მნიშვნელოვანი თემების განსაზღვრა, რომლებიც ბავშვის გამოკითხვის დროს უნდა იქნას განხილული.

მსხვერპლ/მოწმე ბავშვს.	

ინტერვიუს პროცესში

შესავალი ფაზა	
მიზანი: ბავშვის უკეთ გაცნობა და უზრუნველყოფა, რომ მან კომფორტულად იგრძნოს თავი.	**დავალებები:** ▪ბავშვისათვის შეხვედრის მიზნისა და ინტერვიუერთა როლების განმარტება. ▪ბავშვთან ურთიერთგაგების დამყარება
თავისუფალი თხრობის ფაზა	
მიზანი: ბავშვის დახმარება, თავისუფლად ისაუბროს მოვლენებზე; იმ ტემპით, რა ტემპითაც ზურს; აღწერილი მოვლენების თანმიმდევრობის შესაბამისად.	**დავალებები:** ▪ბავშვის მომზადება იმ კითხვებზე პასუხის გაცემის კუთხით, რომელსაც ინტერვიუს მომდევნო ეტაპზე დაუსვამენ; ▪თავისუფალი თხრობის ინიცირება, რათა ბავშვმა იცოდეს, თუ რას მოელიან მისგან.
დეტალური კითხვების ფაზა	
მიზანი: მოვლენების გახსენების ეტაპზე ბავშვის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შევსება და საქმის	**დავალებები:** ▪ ბავშვის ასაკის და ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება საუბრის დროს ▪ ისეთი კითხვების მოფიქრება, რომელიც ხელს შეუწყობს საქმის გარემოებების დაზუსტებას.

გარემოებების დაზუსტება.	
საბოლოო ფაზა	
მიზანი: მსხვერპლ/მოწმე ბავშვთან ინტერვიუს დასრულება	**დავალებები:** ▪ ბავშვის ემოციების, გრძნობების სტაბილიზება ▪ ბავშვისათვის იმის ახსნა, თუ რა მოხდება შემდგომ

7.3.4.1. შესავალი და ინსტრუქციები. ურთიერთგაგების დამყარება. თავისუფალ თხრობაში გავარჯიშება და ეპიზოდური მახსოვრობის გავარჯიშება

შესავალი ფაზის დროს, ინტერვიუერი საკუთარ თავს წარუდგენს ბავშვს, განმარტავს ბავშვის დავალებებს (კერძოდ, მოვლენების დეტალურად აღწერა და სიმართლის თქმა), საბაზისო წესებსა და მოლოდინებს.

ინტერვიუერმა უნდა დაიწყოს:

- ბავშვის ოთახში ორიენტირებით;
- ბავშვისათვის განმარტებით, რომ მიმდინარეობს ვიდეოგადაღება და ინტერვიუს სხვებიც აკვირდებიან;
- გაცნობა, ინტერვიუს მონაწილეების წარდგენა და მათი როლის განმარტება.

კარგი პრაქტიკის თანახმად, ინტერვიუერმა ბავშვს თავიდანვე უნდა გაუჩინოს კონტროლის შეგრძნება, მისცეს მას ასარჩევი ვარიანტები და წაახალისოს ბავშვის მიერ კითხვების დასმა ინტერვიუს ოთახის ან ინტერვიუს პროცესის შესახებ.

ინტერვიუერმა ბავშვს დასაწყისიდანვე სახელით უნდა მიმართოს; მოზადებს უნდა მიმართოს სახელით, ზრდასრულებისთვის გათვალისწინებული მიმართვის ფორმების გარეშე, რადგან ეს ბავშვისთვის არაბუნებრივია და შესაძლოა გამოიწვიოს სირცხვილის გრძნობა.

ინტერვიუერი ბავშვს განუმარტავს, გასაგები და მისაწვდომი ფორმით, თუ ვინ არის ინტერვიუეერი და რას მოიცავს მისი საქმიანობა.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისა და დაწყებითი სკოლის მოსწავლეებს ინტერვიუერმა შესაძლებელია, მიმართოს შემდეგნაირად:

> “მე ვარ მოსამართლე. ჩემი საქმიანობა გულისხმობს სხვადასხვა საქმეების, წუხილების... მოვლენების... შესახებ ბავშვებთან საუბარს.“ ან „მე ვარ გამომძიებელი/პროკურორი. მე ვესაუბრები ბავშვებს და მათ უსაფრთხოებას უზრუნველვყოფ“, „მე ვარ ფსიქოლოგი. მე ადამიანებს ვეხმარები საკუთარი თავის შესახებ ისტორიების მოყოლაში.“

ინტერვიუერმა ბავშვს შესაძლოა, ასევე, ჰკითხოს, იცის თუ არა, ვინ არის ინტერვიუერი და რა მიზანი აქვს საუბარს. აღნიშნული ბავშვის ორიენტირებას შეუწყობს ხელს და ინტერვიუერს დაეხმარება, დაადგინოს, თუ რამდენად აქვს მას მზაობა თანამშრომლობისთვის.

მაგალითი:

“ჩემი სახელია... იცი, ვინ ვარ მე? იცი, რას ვსაქმიანობ? იცი, დღეს აქ რატომ მოხვედი? იცი, რაზე ვესაუბრები ბავშვებს?”

უფროსი ასაკის ბავშვებთან საუბრისას, ინტერვიუერმა მათ საკუთარი თავი უნდა წარუდგინოს და განმარტოს თავისი როლი, ბავშვებისთვის გასაგები სიტყვების გამოყენებით, რათა ისინი მიხვდნენ ინტერვიუს მიზანს და შედეგების მნიშვნელობას. ინტერვიუერმა უნდა წაახალისოს ბავშვები, რათა მათ დასვან კითხვები და შემდეგ, ამ კითხვებზე გასცეს მაქსიმალურად ამომწურავი პასუხები. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოწმის მზაობას თანამშრომლობისთვის.

შესავალ ეტაპზე, უაღრესად მნიშვნელოვანია ინტერვიუერი დარწმუნდეს, რომ ბავშვს ესმის განსხვავება სიმართლეს და ტყუილს შორის და აცნობიერებს სიმართლის თქმის ფასს და მნიშვნელობას.

ქვემოთ წარმოდგენილია ინსტრუქციები მაგალითებთან ერთად:[29]

1. ინსტრუქცია „არ ვიცი“-ს შესახებ

თუ ჩემს მიერ დასმული კითხვის პასუხი არ იცი, მაშინ თქვი „არ ვიცი“.

ანუ, როცა გკითხავ: „ჩემს ძაღლს რა ქვია?“, რას მიპასუხებ?

სწორია, იმიტომ რომ არ იცი.

თუმცა, როცა შეგეკითხები: „ძაღლი გყავს?“, რას მიპასუხებ?

სწორია, იმიტომ რომ იცი.

2. ინსტრუქცია „ვერ გავიგე“-ს შესახებ

თუ ჩემს მიერ დასმული კითხვის ან ჩემი ნათქვამის მნიშვნელობას ვერ იგებ, მაშინ თქვი: „ვერ გავიგე რას გულისხმობ.“ მე კითხვას სხვანაირად დაგისვამ.

ანუ, როცა გკითხავ: „რომელია შენი გენდერი?“ რას მიპასუხებ?

[29] წყარო: Thomas D. Lyon, Ten Step Investigative Interview (2005) (version 2) (Adaptation of the NICHD Investigative Interview Protocol).

ეს იმიტომ, რომ „გენდერი“ რთული სიტყვაა. შესაბამისად, მე გეტყვი: „ბიჭი ხარ თუ გოგო?“

3. ინსტრუქცია „ცდები“-ს შესახებ

ზოგჯერ მეც ვუშვებ შეცდომას ან არასწორ რამეს ვამბობ. თუ ასე მოხდა, მითხარი, რომ ვცდები.

ანუ, თუ ვიტყვი „შენ ხარ ოცდაათი წლის“, რას მიპასუხებ?

სწორია. რამდენი წლის ხარ?

4. ინსტრუქცია „არმცოდნე ინტერვიუერის“ შესახებ

მე არ ვიცი რა დაგემართა შენ.

მე ჩემს კითხვებზე პასუხს ვერ გავცემ.

5. სიმართლის თქმის დაპირება

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მითხრა სიმართლე.

მპირდები, რომ სიმართლეს მეტყვი?

მეტყვი ტყუილებს?

შესავალ ფაზას მოსდევს **ურთიერთგაგების დამყარების** ფაზა. აღნიშნულის მიზანია, ინტერვიუერმა ორმხრივი კონტაქტი დაამყაროს ბავშვთან, ბავშვს თავი მშვიდად აგრძნობინოს და ამით ხელი შეუწყოს ბავშვის მიერ მომხდარის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას.

თავისუფალ თხრობაში გავარჯიშება, თავის მხრივ, ურთიერთგაგების დამყარებასთან დაკავშირებული ეტაპია. საგამოძიებო ინტერვიუ უპრეცედენტო და რთული გამოცდილებაა ბავშვისთვის, რომელიც უცხო ადამიანთან მომხდარის შესახებ საუბარს არ არის მიჩვეული. არამედ, იგი მიჩვეულია მხოლოდ ოჯახის წევრებთან და სხვა ნაცნობ ზრდასრულებთან საუბარს. ნაცნობ ზრდასრულებთან საუბარი კონცეპტუალურად განსხვავდება ინტერვიუირების პროცესისგან, რადგან ნაცნობი ზრდასრული ნაწილობრივ მაინც არის ინფორმირებული განსახილველი თემის შესახებ და ზოგადად, იცნობენ ბავშვის ცხოვრებას. აღნიშნული იწვევს სიტუაციას, სადაც ნაცნობი ზრდასრული ახდენს „საინფორმაციო ხვრელების“ შევსებას ბავშვის მონათხრობში. მაშინაც კი, თუ ამ „ხვრელების“ შევსება ხდება არასწორად, ამას არ აქვს მნიშვნელობა ფართო კონტექსტში, რადგან ყოველდღიური საუბარი არ ემსახურება იმავე მიზანს, რასაც საგამოძიებო ინტერვიუ, კერძოდ, ფაქტობრივად სწორი ინფორმაციის მოპოვებას.

მეორეს მხრივ, საგამოძიებო ინტერვიუს შემთხვევაში, საჭიროა, რომ ბავშვმა სწორად და მაქსიმალურად დეტალურად გადმოსცეს მოვლენები, ზრდასრულის მნიშვნელოვანი ჩრევის გარეშე. აღნიშნული ბავშვისათვის (განსაკუთრებით, მცირეწლოვანი ბავშვების შემთხვევაში) ნიშნავს უცნობ ტერიტორიაზე შესვლას და მოითხოვს გავარჯიშებას მანამ, სანამ ინტერვიუერი დასვამს კითხვებს ბრალდებების შესახებ.

ინტერვიუერის მიზანია, შექმნას საუბრის ახალი პატერნი, რომელშიც ბავშვი აღიარებული იქნება, როგორც ინფორმაციის მფლობელი. თხრობაში გავარჯიშებისას, ინტერვიუერი ბავშვს უსვამს კითხვას ისეთი თემის შესახებ ზუსტი და დეტალური ინფორმაცის მიღების მიზნით, რომელიც გამოძიებას არ უკავშირდება, ყოველგვარი გარე არსებითი ჩარევის გარეშე. თხრობაში გავარჯიშებისთვის, ინტერვიუერმა წინასწარ უნდა აარჩიოს თემა, სავარაუდოდ, ინტერვიუს მომზადების ეტაპზე ბავშვის მზრუნველისგან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით. თუ, მაგალითად, ბავშვი ფეხბურთს თამაშობს, ინტერვიუერს შეუძლია მას დაუსვას კითხვა ამ აქტივობის შესახებ. შესაძლებელია ისეთი დამხმარე წამახალისებელი ფრაზების გამოყენება, როგორიცაა: „მითხარი მეტი შენს შესახებ“ ან „მითხარი რა გააკეთე [ამ ზაფხულს, გასულ შაბათ-კვირას]“.

თავისუფალ თხრობაში გავარჯიშების შემდეგ, ინტერვიუერი შეუმჩნევლად გადადის **ეპიზოდური მახსოვრობის გავარჯიშებაზე**. ღია კითხვების/წამახალისებელი ფრაზების გამოყენებით, ინტერვიუერი ბავშვს სთხოვს, უამბოს რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ - მაგალითად, ბოლო დაბადების დღის შესახებ - რათა ბავშვს მისცეს თხრობაში გავარჯიშების შესაძლებლობა და წაახალისოს ბავშვის მიერ მოვლენის თავიდან ბოლომდე აღწერა.

მაგალითი:

“მომიყევი შენი ბოლო დაბადების დღის/დასვენების შესახებ.“

“მომიყევი ყველაფერი, რაც მოხდა.”

“თავიდან ბოლომდე მომიყევი, რა მოხდა.“

7.3.4.2. არსებითი ფაზა

არსებითი ფაზა იწყება თავისუფალი თხრობის ფაზით, რომლის დროსაც ბავშვი თავისუფლად საუბრობს მოვლენების შესახებ, იმ ტემპით, რა ტემპითაც სურს და მოვლენების ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიხედვით. ინტერვიუერის როლი მდგომარეობს თავისუფალი თხრობის ხელშეწყობაში, გასათვალისწინებელია, რომ გამოძიებისათვის საჭირო ინფორმაცია, შესაძლოა, არ უკავშირდებოდეს იმ მოვლენებს, რომელმაც ყველაზე მეტი გავლენა იქონია ბავშვზე. შესაბამისად, ბავშვის განცხადებების სანდოობა არ უნდა შეფასდეს მის მიერ გამოხატული ემოციების მიხედვით (იხ. სექცია *7.3.3. კითხვის ტიპები. ვერბალური და არავერბალური ენა*).

თავისუფალი თხრობის ფაზა შედის ინტერვიუს „ბრალდებაზე ფოკუსირებული“ ნაწილის შემადგენლობაში. სწორედ ამ დროს ხდება განსახილველი თემის გაცნობა. ამავდროულად, გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ ინტერვიუს ადრეულ ეტაპზე შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს სპონტანურ გამჟღავნებას (მაგ., თხრობაში გავარჯიშების დროს). ინტერვიუერმა უნდა შეძლოს ამ შესაძლებლობის გამოყენება და ბუნებრივად გადავიდეს განსახილველ თემაზე. მაგალითად, თხრობაში გავარჯიშებისას, შესაძლოა, ბავშვმა აღწეროს პოლიციელთა ვიზიტი ბინაში. ამ დროს, ინტერვიუერმა ბავშვს უნდა სთხოვოს ინციდენტის თხრობა. მას შემდეგ, რაც დასრულდება თავისუფალი თხრობა, ინტერვიუერი შეუმჩნევლად უნდა გადავიდეს დეტალური კითხვების ეტაპზე.

თუ ადგილი არ ექნება სპონტანურ გამჟღავნებას, საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს ქვემოთ მოყვანილი კონტინუუმის მონახაზით ხელმძღვანელობა.

– “მითხარი, დღეს აქ რატომ ხარ.” კვლევების თანხმად, იმ ბავშვების მინიმუმ ნახევარი, რომელიც საგამოძიებო ინტერვიუს დროს ამჟღავნებს ინფორმაციას დანაშაულის შესახებ, ამას დასაწყისში აკეთებს, როდესაც ინტერვიუერი უსვამს კითხვას: „რატომ ხარ აქ?“

– “ვინმე შენზე დარდობს?” დადებითი პასუხის შემთხვევაში, ჰკითხეთ: “მითხარი, რის გამო დარდობს ____ შენზე.“

– “გავიგონე, რომ ესაუბრებოდი____. მითხარი, რის შესახებ საუბრობდით.”

ეს ფაზა შედარებით უსაფრთხოა ბავშვისთვის, რადგან იგი არ ქმნის კითხვებზე პასუხის გაცემასთან დაკავშირებულ სტრესს.

აღსანიშნავია, რომ მცირეწლოვანი ბავშვებისთვის შესაძლოა რთული იყოს ზოგად კითხვებზე ინფორმატიული პასუხის გაცემა (მაგ., „მითხარი, რა მოხდა“ ან „მითხარი მეტი ამის შესახებ“). მათ უფრო უადვილდებათ პასუხის გაცემა ვიწრო, ფოკუსირებულ და მინიშნების შემცველ კითხვებზე (მაგ., „შენ თქვი, რომ მან ტუჩებში გაკოცა. მომიყევი კოცნის შესახებ“).[30] კვლევების თანახმად, მინიშნების შემცველი კითხვები, განსაკუთრებით ისეთი კითხვები, რომლებიც ბავშვებს შეახსენებს მათ მიერ ცოტა ხნის წინ ნახსენებ ქმედებას, ეფექტური გზაა იმისათვის, რომ ბავშვმა ინტერვიუერს მიაწოდოს უფრო ზუსტი ინფორმაცია, ვიდრე მიაწვდიდა სარისკო, იძულებითი არჩევანის შემცველი კითხვების ან ისეთი კითხვების დასმის შემთხვევაში, რომლებიც კი/არა პასუხს მოიაზრებს. აღნიშნული ეხება 4 წლამდე ასაკის სავარაუდო მსხვერპლებს.[31]

ქვემოთ წარმოდგენილია საგამოძიებო ფრაზების ტაქსონომია, Lamb et al-ის მიხედვით[32]:

ფრაზის ტიპი	განმარტება	მაგალითები
ფასილიტაცია	არ შეიცავს რაიმე კონკრეტულ მინიშნებას. ხელს უწყობს თხრობას.	“კარგი” “დიახ” “ჰო” “ესე იგი, დაგარტყა” (როგორც კი ბავშვი ამბობს: „და შემდეგ მან დამარტყა“).
შეთავაზება	ღია თხოვნა, რომ ბავშვმა გაიხსენოს ინფორმაცია ინციდენტის შესახებ. შესაძლოა ჰქონდეს განცხადების, კითხვის ან	“მითხარი ყველაფერი, რაც მოხდა.” “მიამბე უფრო მეტი.”

[30] Lamb ME, Orbach Y, Hershkowitz I, Esplin PW, Horowitz D. A structured forensic interview protocol improves the quality and informativeness of investigative interviews with children: a review of research using the NICHD Investigative Interview Protocol. Child Abuse Negl. 2007 Nov-Dec;31(11-12):1201-31. doi: 10.1016/j.chiabu.2007.03.021. Epub 2007 Nov 19. PMID: 18023872; PMCID: PMC2180422.
[31] Id.
[32] Id.

	იმპერატიული მოთხოვნის ფორმა.	
მინიშნების შემცველი შეთავაზება	ყურადღებას ამახვილებს ბავშვის მიერ მითითებულ დეტალებზე და მათ იყენებს, როგორც მინიშნებას, რათა ბავშვმა გააგრძელოს თავისუფალი თხრობა.	"შენ აღნიშნე [მოვლენა, ქმედება, ნივთი]. მიამბე უფრო მეტი ამის შესახებ." "შენ აღნიშნე [ქმედება]; შემდეგ რა მოხდა?"
დირექტივა	შეიცავს მინიშნებას და ყურადღებას ამახვილებს ბავშვის მიერ უკვე ნახსენებ ინფორმაციაზე; ითხოვს კონკრეტულ დამატებით ინფორმაციას; როგორც წესი, გამოიყენება კითხვები, რომლებიც იწყება შემდეგნაირად: ვინ, რა, როდის, სად, როგორ.	"რა ფერის იყო ის მაისური?" (როგორც კი ბავშვი ახსენებს მაისურს). "სად/როდის მოხდა ეს?" "სად შეგეხო?" (როგორც კი ბავშვი აღწერს, რომ მას შეეხო კაცი).
ვარიანტის შეთავაზება	შეიცავს მინიშნებას და ბავშვის ყურადღებას ამახვილებს ისეთ ასპექტებსა თუ დეტალებზე, რომელზეც მას აქამდე არ უსაუბრია; საჭიროებს დადასტურებას, უარყოფას ან ინტერვიუერის მიერ მიწოდებული ვარიანტის არჩევას.	"გეტკინა?" "შენი ტანსაცმელი სად იყო როცა ეს მოხდა?" "ტანსაცმლის ზემოდან შეგეხო თუ ტანსახმლის ქვემოდან?"

ბავშვებისათვის, განსაკუთრებით მცირეწლოვნებისთვის რთულია მოვლენის ან მოვლენათა სერიის დროის განსაზღვრა.

a) ბავშვი კალენდრის და საათის ცნობას იწყებს ეტაპობრივად, 7-10 წლის ასაკში;

b) დროის ინტერვალების იდენტიფიცირება და ერთმანეთისგან გარჩევა განსაკუთრებით რთულია ბავშვებისთვის. მათი შეფასება ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მიმზიდველია ბავშვისთვის კონკრეტული აქტივობა. მაგალითად, პირველკასელისთვის ენის

გაკვეთილები შეიძლება უფრო დიდხანს გრძელდებოდეს, ვიდრე ფიზკულტურის გაკვეთილები, ან ხელოვნების გაკვეთილები შეიძლება მისთვის უფრო ხანმოკლე იყოს.

c) სკოლამდელი ასაკის ბავშვი, როგორც წესი, ცნობს კვირის დღეებსა და სეზონებს (ზოგჯერ, თვეების დასახელებებიც იცის), თუმცა მისთვის რთულია მათი შესაბამისი თანმიმდევრობით დალაგება. შესაბამისად, ამ კონცეფციების ცოდნა ხშირად ზედაპირულია და გამომძიებელს ნაკლებად ადგება.

d) სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის ასევე, რთულია ისეთი სიტყვების გამოყენება, რომლებიც დროს აღნიშნავენ, მაგ., „ხვალ“, „გუშინ“.

e) როდესაც ინტერვიუერი ბავშვს ეკითხება, თუ რა დროს მოხდა მოვლენა, მან უნდა მიუთითოს ბავშვის ჩვეულ აქტივობებზე, რომელიც მის ყოველდღიურ რუტინას უკავშირდება: მაგ., ბავშვის საყვარელი სატელევიზიო შოუს ეთერში გასვლის დრო, აბაზანის მიღების დრო, დაძინების დრო და ა.შ.

f) თუ ბავშვი კონკრეტულ თარიღს და დროს მიუთითებს, ინტერვიუერმა უნდა ჰკითხოს, თუ საიდან იცის ეს თარიღი/დრო.

იმ კითხვების მაგალითები, რომლებიც ინტერვიუერს დაეხმარება იმის დადგენაში, თუ როდის მოხდა კონკრეტული მოვლენა

- იმ დღეს სკოლაში წახვედი?
- რომელ კლასში იყავი?
- ვინ იყო შენი დამრიგებელი?
- იმ დროს სად ცხოვრობდი?
- იმ დღეს სკოლაში იყავი?
- იმ დღეს რაიმე სპორტული ვარჯიში გქონდა?
- იმ დროს როგორი ამინდი იყო?
- იმ დროს თბილი ქურუკი გეცვა?
- თოვდა?
- იმ დროს სახლში ვინ იყო?

- ბნელოდა თუ დღის შუქი იყო?
- [საბავშვო შოუ]-მდე მოხდა ეს?
- რას ეხებოდა [საბავშვო შოუ]?

7.3.4.3. საბოლოო ფაზა

ინტერვიუს საბოლოო ფაზა არის დახურვის ეტაპი. დახურვის ეტაპის მიზანია, ბავშვს დაეხმაროს ემოციური დაძაბულობის შემსუბუქებაში და უსაფრთხოებისა და კომფორტის შეგრძნება ჩაუნერგოს მას. ამ მიზნით, ინტერვიუერი ბავშვს ჰკითხავს, ხომ არ აქვს რაიმე დამატებითი ინფორმაცია, რისი გაზიარებაც სურს; ხომ არ აქვს კითხვები; და დარწმუნდება, რომ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი არის მოგვარებული. მნიშვნელოვანია, ინტერვიუერმა ბავშვს მადლობა გადაუხადოს ძალისხმევისთვის და არა გაზიარებული ინფორმაციისთვის.

7.4. ინტერვიუირების ასაკის შესაბამისი ტექნიკები. მცირეწლოვანი ბავშვების გამოკითხვის სპეციფიკა (სკოლამდელი და დაწყებითი კლასის მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფები)

მცირეწლოვანი მსხვერპლის გამოკითხვის ფსიქოლოგიური საფუძვლები

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის დაკითხვის / გამოკითხვის საკითხთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვების გამოკითხვის ტაქტიკის ფსიქოლოგიურ საფუძვლებს.

როგორც სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკა გვიჩვენებს, მცირეწლოვანი ბავშვების წილი სისხლის სამართლებრივ საქმეებზე გამოკითხულ პირთა საერთო რაოდენობაში შედარებით ნაკლებია, თუმცა სწორედ მცირეწლოვანი, რიგი მიზეზების გამო, ხშირად მომხდარის შესახებ ინფორმაციის მოწოდების ერთადერთი მისაწვდომი წყარია, განსაკუთრებით, როცა საქმე ბავშვის მიმართ სექსუალურ ძალადობას ეხება. სწორედ მცირეწლოვანი მსხვერპლები ფლობენ უნიკალურ ინფორმაციას, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართალდამცავი და მართლმსაჯულების ორგანოებისთვის.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი მცირეწლოვნის გამოკითხვა გამომძიებლისგან სპეციალურ ცოდნას და განსაკუთრებულ მიდგომებს საჭიროებს. მცირეწლოვან მსხვერპლთა გამოკითხვის სპეციფიკა მდგომარეობს იმ მეთოდებსა და ტექნიკაში, რომლებიც ბავშვის განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს ყველაზე სრულყოფილი,

სანდო ინფორმაციის მოპოვებას. ამგვარი საგამოძიებო მოქმედებების ორგანიზების ძირითადი რეკომენდაციები ძირითადად ჩამოყალიბებულია ბავშვის კოგნიტური განვითარების შესაბამისად.

მცირეწლოვანი მსხვერპლის შესაძლებლობები და შეზღუდვები გამოკითხვასთან მიმართებით

მცირეწლოვანი მსხვერპლის დაკითხვის /გამოკითხვის პროცესში აუცილებელია მისი კომუნიკაციური შესაძლებლობების, განვითარების რიგი მახასითებლების გათვალისწინება, ვინაიდან მოწოდებული ინფორმაციის როგორც რაოდენობა, ასევე სანდოობა დიდწილად განპირობებულია ბავშვის განვითარების დონით და დაკითხისას/გამოკითხვისას გამომძიებლის მიერ გამოყენებული მეთოდებით.

კომუნიკაცია და ენის განვითარება

- ***ბგერების არასწორად წარმოთქმა.*** ბავშვის მიერ მიცემული ჩვენების სიცხადე და სისრულე განსაკუთრებით დამოკიდებულია მის განვითარებად კომუნიკაციურ უნარებზე. ხშირად პატარა ბავშვები ცალკეულ ბგერებს არასწორად წარმოთქვამენ, მას შემდეგაც კი, როცა ეს ბგერები თითქოს უკვე ათვისებული აქვთ; ამიტომაც, სრულიად ბუნებრივია, რომ დამკითხველმა/გამომკითხველმა ვერ გაიგოს ბავშვის ნათქვამი, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე სკოლამდელი ასაკის ბავშვებს ეხება. ამას გარდა, მიუხედავად პატარა ბავშვების საკმაოდ დიდი ლექსიკური მარაგისა, მათ მიერ გამოყენებული სიტყვები უფრო შეზღუდული და ზოგადია, სიტყვებს მათთვის განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ, მათ წინადადებებში ხშირად გამოტოვებულია ზედსართავი სახელები და გარემოებები.

- ***საგნებისთვის სხვა სახელების შერქმევა.*** ბავშვებმაა, შესაძლოა, გამოიყენონ სიტყვები, რომელთა მათეული გაგებაც არ შეესაბამება ამ სიტყვების სტანდარტულ მნიშვნელობებს, ან გამოიყენონ ისეთი სიტყვები, რომელთა გაგება მათ მხოლოდ გარკვეულ კონტექსტში შეუძლიათ და რომელთა მნიშვნელობაც საერთოდ არ ესმით ან ძალიან ცუდად ესმით. ამის ნათელი მაგალითებია ისეთი მარტივი ცნებები, როგორიცაა "ნებისმიერი", "ზოგიერთი", "გუშინ", "-მდე" და სხვა.

- კითხვების აღქმის სირთულე. ბავშვის მონათხრობის სიზუსტეზე დიდი გავლენა აქვს იმას, თუ რა სტილის და რა სირთულის კითხვები დაუსვეს მას. ბავშვებს ხშირად სთავაზობენ, რომ უარყონ ან დაადასტურონ ზრდასრულის მიერ ნათქვამი სიტყვები ან ბევრი ფაქტის შემცველი წინადადებები (მაგალითად, "მართალია, რომ ... ?"). ასევე, ბავშვებისგან მოითხოვენ უცხო სიტყვებისა და რთული სინტაქსის, გაურკვეველი მნიშვნელობის წინადადებების სწორ გაგებას. ეს კი ბავშვებს სერიოზულ სირთულეებს უქმნის დასმული შეკითხვის თუ მიმართვის გაგების თვალსაზრისით. ყურადსაღებია ის, რომ მცირეწლოვანი ბავშვები, როგორც წესი, ვერც კი ხვდებიან, რომ რთული შეკითხვა არასწორად გაიგეს. არასწორად გაგების ვერაღქმა კარგად ხსნის, თუ რატომ ითხოვენ დაზუსტებას ბავშვები იშვიათად.

- ბავშვები სიტყვებს ძალიან კონკრეტული მნიშვნელობით იგებენ. ბავშვები სიტყვებს ხშირად იგებენ ძალიან კონკრეტულად, მათი შეზღუდული მნიშვნელობით (მაგალითად, ბავშვმა

შეიძლება არ გასცეს პასუხი კითხვაზე, თუ რა მოხდა "სახლში"/"სოფელში", თუკი ის "ბინაში" ცხოვრობს/"აგარაკზე" იმყოფებოდა) ან გამოიყენოს მსმენელისათვის გაუგებარი შეტყობინებები (მაგალითად, "ის ჩემი ფრანგულის მასწავლებელს ჰგავდა"). ყოველივე ეს ბავშვის მონაყოლს უფრო გაუგებარს ხდის.

- ***კომუნიკაციის არასაკმარისი უნარები.*** ბავშვებმა ჯერ არ იციან, როგორ უნდა მიიღონ მონაწილეობა საუბარში, ისინი ამ უნარის ათვისების პროცესში არიან და შესაძლოა, რომ ეს პროცესი ამოკითხვის ჩატარების პერიოდში დასრულებული არ იყოს. ბავშვებმა უნდა ისწავლონ, როგორ არ გადაუხვიონ სასაუბრო თემიდან, როგორ იმეტყველონ სხვადასხვა გარემოში, აუდიტორიის შესაბამისად და როგორ ჩამოაყალიბონ გამართულად ისტორია წარსული გამოცდილების შესახებ.

- ბუნდოვანი წარმოდგენა გამოკითხვის მიზნის შესახებ. მცირეწლოვანმა ბავშვებმა მეტწილად არ იციან, თუ რა ტიპის ინფორმაციას მოითხოვენ მათგან, რომ ისინი არიან ინფორმაციის წყარო და რომ გამოკითხვის მიზანი სულაც არაა მათი ცოდნის ხარისხის შემოწმება. ბავშვები მიჩვეულნი არიან შეკითხვებს იმ ადამიანებისაგან, რომლებმაც ისედაც კარგად იციან სასაუბრო თემა, მაშინ როცა ძალადობის სავარაუდო მსხვერპლნი, ხშირ შემთხვევაში, ინფორმაციის ერთადერთ წყაროს წარმოადგენენ. ამიტომაც, გამომძიებელმა კარგად უნდა გააგებინოს ბავშვს, თუ რა სურს მისგან და რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მოწოდების მოტივაცია შეუქმნას. თუ ბავშვს არ ეცოდინება, რომ გამომძიებელმა ბევრი არაფერი იცის მომხდარის შესახებ, მაშინ მან შეიძლება არ გადმოსცეს ყველაფერი, რაც იცის. არასწორად დასმული შეკითხვებით შეიძლება ბავშვს უნებურად აფიქრებინოს, რომ ბავშვის ცოდნის შემოწმება ხდება.

- ბავშვებს დროსთან დაკავშირებული საკითხები ცუდად ესმით. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც სისხლის სამართლის საქმეში მცირეწლოვანი მოწმე ან დაზარალებული ბავშვების გამოკითხვისას წარმოიქმნება, არის იმის დადგენა, თუ კონკრეტულად როდის მოხდა სავარაუდო დანაშაული. ეს ინფორმაცია უმნიშვნელოვანესია, როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარისთვისაც.

სამწუხაროდ, დროის აღქმის მხრივ, ბავშვებს სერიოზული სიძნელეები აქვთ; ეს უნარი, განვითარებასთან ერთად, თანდათანობით უმჯობესდება. თუმცა, დროსთან დაკავშირებული გარკვეული ცნებები სრულად მოზარდებსაც არ ესმით. მაშინაც კი, როცა ბავშვებს გარკვეულწილად ესმით დროის კონცეფცია, ზუსტი პასუხის გასაცემად მათ უნდა გაიაზრონ, თუ რა კითხვას სვამს გამომძიებელი. დროითი ტერმინები ბავშვებისათვის, შესაძლოა, დამაბნეველიც იყოს, რადგან ასეთ სიტყვებს (მაგალითად "შემდეგ", "წინ", "თავიდან", "ბოლოს") აქვთ როგორც დროითი, ასევე სივრცითი მნიშვნელობაც. ამ მხრივ მნიშვნელოვანია კონტექსტი. თუ რაიმე ნაცნობი, ყოველდღიური აქტივობების კონტექსტში განიხილება, ბავშვმა შეიძლება სწორად გაიხსენონ დრო; მაშინ როცა სხვა, უცხო კონტექსტში იგი ამას ვერ ახერხებდა. მაგალითად, ბავშვებს უფრო შეუძლიათ თქვან, რა და როდის მოხდა ნაცნობ აქტივობებთან მიმართებაში "დაძინებამდე ტელევიზორს ვუყურებდით", ვიდრე მაგალითად, "ნოემბერი უფრო ადრეა თუ დეკემბერი".

მართალია, 3 წლის ბავშვმაც კი შეიძლება იცოდეს კვირის დღეები და მათი ჩამოთვლაც შეეძლოს, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას კარგად ესმის მათი პრაქტიკული მნიშვნელობა და შეუძლია ამ ცოდნის სხვა კონტექსტებში გამოყენება.

საყურადღებოა, რომ მცირეწლოვან ბავშვებს, უფრო მოზრდილ ბავშვებთან შედარებით, უჭირთ ღია მიმართვებზე ინფორმაციული პასუხების გაცემა (მაგ., "მომიყევი, რა მოხდა" ან "მითხარი, კიდევ რა მოხდა..."). თუმცა დამაზუსტებელი/შემავსებელი მიმართვების დახმარებით ისინი ახერხებენ თხრობას და მეხსიერებაში აღბეჭდილის თავისუფალ გახსენებას.

რაც უფრო მწირია ბავშვის ლექსიკა, მით უფრო დიდია იმის ალბათობა, რომ ბავშვის ნათქვამი არასწორად იქნება გაგებული დამკითხველის/გამომკითხველის მიერ ან ბავშვი მოახდენს დამკითხველის/გამომკითხველის მიერ დასმული შეკითხვების არასწორ ინტერპრეტაციას. როცა დამკითხველს/გამომკითხველს არასწორად ესმის ბავშვის სიტყვები, ხშირად ის მათ დაზუსტებას არ ითხოვს; შედეგად, დაკითხვის ოქმში მართებული ინფორმაციის ნაცვლად, სწორედ შეცდომები შედის. ρομაუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ როგორც წესი, მცირეწლოვანი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები ნაკლებად უსწორებენ დამკითხველს/გამომკითხველს, როცა ის შეცდომებს უშვებს.

ბავშვების ჩაგონებადობა

მცირეწლოვანი ბავშვები განსაკუთრებით ადვილად ჩაგონებადნი არიან, რადგან ვერ ადგენენ მეხსიერებაში აღბეჭდილი ცოდნის წარმომავლობას (ფანტაზია რეალობის წინააღმდეგ). გამოკითხვის დროს, გამომძიებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს მოცემულობა და თავი შეიკავოს მიმანიშნებელი კითხვებისა თუ ქცევებისგან, ინფორმააციის „ჩაწვეთებისგან" და რამდენჯერმე გამეორებისგან, რადგან ეს ბავშვებისგან ცრუ ჩვენების მიცემის ალბათობას მნიშვნელოვნად გაზრდის.

მიმანიშნებელი კითხვების, ზეგავლენის მომხდენი ქცევების და მიმართვების გამორიცხვის შემთხვევაში, მცირეწლოვანი ბავშვების ჩვენებები უფრო ზუსტი და სარწმუნო ხდება.

ჩამაგონებელი მეთოდები შეიძლება მოიცავდეს:

- დამკითხველის/გამომკითხველის ინსტრუქცია ბავშვისადმი, "წარმოიდგინოს, რა მოხდებოდა";
- დამკითხველის/გამომკითხველის მიერ ისეთი ინფორმაციის გაჟღერება, რომელიც ბავშვს არ უთქვამს;
- რაიმე სახის ზეწოლის განხორციელება (მაგალითად, ბავშვისთვის იმის თქმა, რომ ის თავს უკეთ იგრძნობს, თუკი სხვა ბავშვების ნათქვამს დაეთანხმება და იტყვის, რომ მოძალადე "არის ცუდი" და "უნდა დაისაჯოს");

რამდენიმე გამოკითხვის დროს ერთი და იგივე შეკითხვების გამეორება, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს არა მომხდარის გახსენებას, არამედ იმით სპეკულირებას, თუ რა შეიძლება მომხდარიყო.

გამომძიებლის მაღალი სტატუსის ხაზგასმა. ბავშვები მგრძნობიარენი არიან გამომკითხველის სტატუსისა და ცოდნის დონის მიმართ, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს გამომძიებლის ნათქვამისა და ქმედებების მიზნის არაადეკვატური შეფასება და ზედმეტი წარმოდგენის შექმნა მათ ცოდნაზე.

წარმოსახვა /ფანტაზია

პატარა ბავშვებს რეალურის და წარმოსახულის გამიჯვნა უჭირთ. ექვს წელზე მეტი ასაკის ბავშვებს, მოზრდილთა მსგავსად, შეუძლიათ წარმოდგენილისა და რეალურად მომხდარის ერთმანეთისგან განსხვავება. უფრო პატარები ამას შედარებით ძნელად ახერხებენ. თუმცა, ხშირად 3.5 წლის ბავშვებიც კი, გარკვეულ შემთხვევებში, სწორად განარჩევენ მათ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ბავშვი თამაშობს წარმოსახვით მეგობართან ან ანიმაციური ფილმის თუ კომიქსის პერსონაჟთან, ისინი იშვიათად მოიხსენიებენ მათ, როგორც "ნამდვილს".

ასევე საყურადღებოა, რომ ბავშვები უფრო ხშირად იგონებენ ისტორიებს კარგი მოვლენების შესახებ (საჰაერო ბურთით სეირნობა), ვიდრე უარყოფითების (წაქცევის შემდეგ ნაკერების დადების) შესახებ. ამგვარი მიდრეკილება მათ რეალობისა და ფანტაზიის ერთმანეთისგან გარჩევის პროცესშიც ახასიათებთ. ბავშვები ფანტასტიკურ შემთხვევებში უფრო ერთვებიან, იმიტომ რომ მათ მოსწონთ თამაში, ისინი ამით ერთობიან. რეალურად, ბავშვებს შეუძლიათ რეალურისა და წარმოსახულის ერთმანეთისგან გამიჯვნა, თუმცა ზოგჯერ, გარკვეულ გარემოებებში, მათ ამის გაკეთება არ სურთ.

დამკითხველებისთვისაც და სხვა სპეციალისტებისთვისაც მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ წარმოსახვა და წარმოსახვითი თამაშები ბავშვობის ნორმალური ასპექტებია. სანტა კლაუსის ან ბეთმენის რწმენა, ან წარმოსახვით მეგობრებთან თამაში არ ნიშნავს, რომ ბავშვს თავსგადახდენილი ან შესწრებული მოვლენების შესახებ ზუსტი და სანდო ინფორმაციის მოწოდება არ შეუძლია. არარსებულის რწმენა ან წარმოსახვითი თამაშები ბავშვების მადისკრედიტებელი ნამდვილად არ არის.

რაც უფრო მეტად უჭირთ ბავშვებს რეალობის და წარმოსახულის გამიჯვნა, მით მეტია მათი ჩაგონებადობის ხარისხი. განცდილი ან ნანახი ძალადობის შესახებ ბავშვების მონათხრობში წარმოსახული ელემენტების არსებობა, შესაძლოა, გამოწვეული იყოს გამოკითხვის ოთახში არსებული რეკვიზიტებით, ცალკეული საგნებით (თოჯინებით, სათამაშოებით), ან გამომძიებლის მიერ გამოყენებული შეთავაზებებით – "წარმოიდგინე, რომ...", "თითქოს...", მიმანიშვნებელი კითხვების დასმით და სხვა.

ამიტომაც, გამომძიებელმა არ უნდა გამოიყენოს ამგვარი მიმართვები და თავი შეიკავოს ბავშვისთვის რაიმეს წარმოდგენის და ვიზუალიზაციის თხოვნისაგან, რადგან ამგვარი ქმედება ბავშვებში ცრუ "გახსენებებს" იწვევს.

სწორი გამოკითხვის შემთხვევაში, პატარა ბავშვებიც კი ახერხებენ ფანტაზიის და რეალობის გამიჯვნას.

აღქმის ზოგიერთი თავისებურება

ბავშვის მიერ მის გარე არსებული სამყაროს აღქმაში ბევრი რამ არის დამოკიდებული მის ინდივიდუალურ გამოცდილებაზე, დაგროვილ შთაბეჭდილებებზე, მისი ცხოვრების პირობებსა და გარემოებებზე. მიახლოებით მაინც რომ განვსაზღვროთ მცირეწლოვნის აღქმის შესაძლებლობები, აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რა საგნებთან აქვს მას შეხება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებში აღქმის ზოგიერთი პროცესისა და თვისებების აშკარა არასრულყოფილებამ უფროსებთან შედარებით, გამომძიებლისთვის არ უნდა გადაფაროს ის ფაქტი, რომ უკვე სკოლამდელ ასაკში რეალობის ბევრ მნიშვნელოვან ასპექტს ბავშვები საკმაოდ ადეკვატურად აღიქვამენ.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პატარა ბავშვი ვიზუალურ მატერიალური სამყაროს სხვაგვარად აღიქვამს, ვიდრე ზრდასრული ადამიანი. მაგალითად, ოთახში შესვლისას, მოზრდილი ადამიანი, როგორც წესი, ვერ ამჩნევს მაგიდების და სკამების ქვეშ არსებულ ნივთებს, მაშინ როცა ბავშვს, რომელიც ფიზიკურად უფრო ახლოს არის ამ ობიექტებთან, შეუძლია მათი შემჩნევა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამყაროს სურათს ბავშვი მოზრდილისგან განსხვავებულად ხედავს.

ხუთი წლის ასაკში ბავშვების უმეტესობა საკმაოდ ზუსტად განასხვავებს საგნების ძირითად ფორმებს (წრე, მართკუთხედი, სამკუთხედი და ა.შ.). თუმცა, ფორმის აღქმისა და სიტყვიერი აღნიშვნისას, სკოლამდელი ასაკის დასრულებამდე, ბავშვი იყენებს შედარებას მისთვის კარგად ნაცნობ ობიექტებთან. სამკუთხედის შესახებ ამბობს: „ეს ჰგავს სახლს“, წრის შესახებ - „ეს ბურთის მსგავსია“ და ა.შ.

სპექტრის ფერებს შორის ბავშვები უკეთ განასხვავებენ (და ასახელებენ) წითელს, ყვითელს, მწვანეს და ლურჯს. ხუთი-ექვსი წლის ასაკში ამ ფერებს ბავშვები თითქმის უტყუარად განსაზღვრავენ. უარესად განასხვავებენ ნარინჯისფერ და ცისფერ ფერებს, ყველაზე დიდი სირთულე კი მათთვის იისფერის განსაზღვრაა.

სიტუაციის განვითარების აღწერისას სკოლამდელი ასაკის ბავშვები ხშირად გამოტოვებენ მნიშვნელოვან ფრაგმენტებს; საჭიროა სტიმულირება ისეთი კითხვებით, როგორიცაა „რა მოხდა შემდეგ?“.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებსაც კი, ხშირად ეშლებათ „მარჯვენა“ და „მარცხენა“, რის გამოც მათ მიერ ობიექტების სივრცეში განლაგების აღწერა ხშირად არაზუსტია. ბავშვისგან მანძილის შეფასების მიღების მცდელობები, როგორც წესი, წარუმატებელია.. მხოლოდ 9-10 წლის ასაკისთვის იწყებენ ბავშვები სივრცის, საგანთა და ადამიანების დაშორებულობის

შეფასებას მიღებული საზომი ერთეულებით, მაგრამ მაშინაც კი, ისინი უხეშ შეცდომებს უშვებენ და ძალიან არათანმიმდევრულნი არიან თავიანთ შეფასებებში.

ბავშვების აღქმა ადამიანების გარეგნობის შესახებ ძალიან არასრულია. თუ ადამიანს არ აქვს თვალშისაცემი „განსაკუთრებული ნიშნები“, რომლებიც თვალშისაცემია, ბავშვს ზოგჯერ დამოუკიდებლად თქვას რაიმე მისი გარეგნობის შესახებ. პასუხები პირდაპირ კითხვებზე იმის შესახებ, თუ როგორი ცხვირი, პირი, ყურები აქვს ადამიანს, უმეტეს შემთხვევაში, ნაკლებ ინფორმატიულია.

გარეგნობის აღქმისას, მცირეწლოვანი ბავშვები უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ტანსაცმელს, ვიდრე სახეს, რომელშიც პირველ რიგში აფიქსირებენ ემოციურ-ექსპრესიულ ნიშნებს. კითხვაზე, როგორი სახე აქვს ადამიანს, სკოლამდელი ასაკის ბავშვები ხშირად პასუხობენ: „კეთილი“, „ბოროტი“, „საშიში“ და სხვა. უმცროს სასკოლო ასაკში ბავშვები იწყებენ ყურადღების მიქცევას თმის ფერსა და სახის ფორმაზე (სავსე, გამხდარი).

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები ჯერ ისევ ვერ აფასებენ ადამიანების სიმაღლეს სანტიმეტრებში. შედარებითი შეფასებებისას (მაღალი, საშუალო სიმაღლის, დაბალი) ბავშვებს ტენდენცია აქვთ გადაჭარბებისკენ. მაგალითად, საშუალო სიმაღლის ადამიანს, როგორც წესი, ბავშვები განსაზღვრავენ, როგორც მაღალს.

ზრდასრული ადამიანების ასაკს, მცირეწლოვანი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები, უმეტესად არასწორად განსაზღვრავენ, ვლინდება ცნებების „ახალგაზრდა“ და „მოხუცი“ ბუნდოვანება და მაღალი ცდომილება.

სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის 35-40 წლის ადამიანი, როგორც წესი, არის „მოხუცი“ ან, უკეთეს შემთხვევაში „ხნიერი“. აღსანიშნავია, რომ უფრო მოზრდილი ბავშვების მიერ ასაკის შეფასება ასევე ხშირად არაზუსტია. ამასთან, სხვა ბავშვების და მოზარდების ასაკს პატარები უფრო ზუსტად ასახელებენ, ვიდრე ზრდასრული ადამიანებისას.

ბავშვების აღქმის განსხვავებულობა და უზუსტობებიც კი არ ნიშნავს, რომ მათ არ შეუძლიათ სანდო ინფორმაციის მოწოდება გადატანილი ძალადობის შესახებ!

გადატანილი სექსუალური ძალადობის შესახებ ინფორმაციის გადმოცემის უნარი

პრაქტიკაში, არცთუ იშვიათად, გამოკითხვის პროცესში პატარა ბავშვებს უსვამენ შეკითხვებს სექსუალური ძალადობის დროს განხორციელებული მოძრაობების შესახებ, რომელთა მნიშვნელობა ბავშვებს არ ესმით. გავრცელებულია მცდარი მოსაზრება, რომ რადგან მცირეწლოვან ბავშვს არ ესმის უფროსების ქმედებების სექსუალური მნიშვნელობა, მას, როგორც მსხვერპლს, არ შეუძლია სწორად აღიქვას მათი გარეგანი მხარე და სწორად მოყვეს მათ შესახებ. ამ მოსაზრებას აბათილებს მრავალი მაგალითი სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების პრაქტიკიდან.

ორი მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური გარემოება ხელს უწყობს ბავშვების მიერ სექსუალური ხასიათის ქმედებების ამა თუ იმ ფორმით დამახსოვრებას და ზუსტ რეპროდუქციას.

ჯერ ერთი, სამი-ოთხი წლის ასაკში ბავშვები გამოვლენას იწყებს სირცხვილის გრძნობა უცხო ადამიანების მიმართ, ხოლო დაახლოებით შვიდიდან რვა წლის ასაკში, ხშირად უფრო ადრე, ეს გრძნობა ვრცელდება თითქმის ყველა საპირისპირო სქესის ადამიანის მიმართ. მაშინაც კი, როდეაც ბავშვი სექსუალურ ძალადობას თამაშად აღიქვამს, მას აქვს სირცხვილის გრძნობა, ის არ რჩება მის მიმართ გულგრილი, ესმის მისი უჩვეულოობა და ტაბუ. ემოციური დამოკიდებულება მომხდარისადმი ზრდის განხორციელებული ქმედებების დეტალების მეხსიერებაში დაფიქსირების სიზუსტეს.

მეორეც, სექსუალური ძალადობის დროს ბავშვი ჩათრეულია გარკვეულ ქმედებებში. ბავშვი იძულებულია რაიმე სახის რეაგირება მოახდინოს იმაზე, რაც ხდება. ის ხშირად წინააღმდეგონის გაწევას ცდილობს, ეძებს შესაძლებლობას შეაჩეროს ძალადობა, არცთუ იშვიათად განიცდის ტკივილს და სხვა უსიამოვნო შეგრძნებებს. ცნობილია, რომ სინამდვილის მოვლენები მით უკეთ ამახსოვრდებათ ბავშვებს, რაც უფრო მეტადაა ეს მოვლენები დაკავშირებული თავიანთ ქმედებებთან და უშუალო გამოცდილებასთან. ემოციურად შეფერილ (ჩვეულებრივ უარყოფით) ქმედებებში ბავშვის ჩართვის შედეგად, ხდება მეხსიერებაში ისეთი მოქმედებების ძლიერი ფიქსაცია, რომელთა ჭეშმარიტი მნიშვნელობა შეიძლება ბავშვს არ ესმოდეს.

გავრცელებული მცდარი შეხედულებები სექსუალური ძალადობის შესახებ მცირეწლოვნის ჩვენებასთან დაკავშირებით

უფროსებს შორის შემთხვევით სექსუალური აქტის ან ტელევიზიით პორნოგრაფიული ფილმის ნახვა - არაერთხელ გამოთქმულა მოსაზრება, რომ ბავშვმა შეიძლება შეთხზას სექსუალური ხასიათის ისტორია და რომ მისი შთაგონებისათვის საკმარისი იქნებოდა. ეს მოსაზრება მცდარია, თუნდაც იმიტომ, რომ უფროსებს შორის სექსუალური ურთიერთობის შემსწრე ბავშვი ყოველთვის განიცდის გაურკვევლობას. მშობლების ხმები, მათი სხეულების მდგომარეობა, ბავშვისთვის უკავშირდება ტკივილის განცდას და დანახული მას გაიგივებული აქვს ჩხუბთან. ნანახში სასქესო ორგანოების როლი მისთვის არ არის მთავარი. მისი აღქმა იმდენად სცილდება დანახულს, რომ მასში მღელვარებას და ბავშვურ გულუბრყვილო ფიქრებს იწვევს.

პორნოგრაფიული მასალის ადრეულ ასაკში ნახვა - იწვევს ვიზუალურ შოკს, ბავშვი აღწერს მას წყვეტილად და გამოხატულია მისი მღელვარება. ბავშვის მიერ გამოგონილი ან გადასხვაფერებული ყველა ამბავი კავშირშია მის ასაკთან, გამოცდილებასთან, მისთვის კარგად ნაცნობ გარემოსთან. უფროსთან სექსუალური ურთიერთობის სფერო მისთვის სრულიად უცნობია და სცდება მისი გაგების საზღვრებს; ბავშვს არ შესწევს უნარი წარმოიდგინოს და დაწვრილებით აღწეროს სექსუალური აქტი, თუ ის თავად არ არის ძალადობრივი ზემოქმედების მსხვერპლი.

სექსუალური ფანტაზიების არსებობა - ეს სრულებით ნორმალური მოვლენაა, მაგრამ, როგორც წესი, ბავშვები მათ შესახებ არავის უყვებიან.

მშობლების კარნახით მოყოლა - როდესაც მშობლები, რომლებსაც აქვთ გარკვეული მოტივი, „ასწავლიან“ ბავშვს, რა თქვას. ძნელად მისაღწევია, ბავშვს დააზეპირებინო ის საკითხები, რომლის შინაარსიც არ ესმის.

იმ შემთხვევაში, როცა ბავშვი მსგავს ისტორიას „იგონებს“ საკუთარი თავის შესახებ ან შედარებით დამაჯერებლად ყვება ნაკარნახევს, ხშირად ვლინდება, რომ ნამდვილად არის სექსუალური მოპყრობის მსხვერპლი.

მცირეწლოვანი მსხვერპლისგან ჩვენების მიღება

მცირეწლოვანი ბავშვების დაკითხვის ეფექტურობა დიდწილად დამოკიდებულია გამომძიებლის უნარზე, გაითვალისწინოს და სწორად გამოიყენოს მათი ფსიქოლოგიური თავისებურებები.

ბევრ ბავშვს უცხო გარემოსთან შესაგუებლად სჭირდება, რომ მიმოიხედოს, შეეხოს კიდეც ოთახში არსებულ საგნებს, გაიაროს ოთახში. ბავშვმა უნდა იგრძნოს, რომ ნებისმიერ მომენტში შეუძლია მიუახლოვდეს მისთვის საინტერესო საგნებს, შეიცვალოს პოზა, აიღოს ის, რამაც მიიპყრო მისი ყურადღება. თუმცა, აქაც საჭიროა ზომიერების დაცვა იმისთვის, რომ პატარა ბავშვისთვის გამოკითხვის პროცესი არ გადაიქცეს თამაშად, რადგან თამაშს შეუძლია მთლიანად გადრთოს ბავშვი იმ მოვლენების გახსენებისგან, რომლებიც შეადგენენ დაკითხვის შინაარსს.

თუმცა, ეს შეიძლება მეტნაკლებად მისაღები იყოს 2-4 წლის ბავშვებთან. მიუხედავად იმისა, რომ თამაში სკოლამდელი ასაკის ბავშვის წამყვანი აქტივობაა, დაახლოებით 5 წლის ასაკში ჩნდება პროდუქტიული საქმიანობის და გარკვეული შედეგის მიღწევის ტენდენცია. ამიტომ, გამოკითხვის დროს, ბავშვისთვის მისი შესაძლებლობებისთვის მისაწვდომი მიზნების დასახვით, შესაძლებელია არა თამაშის, არამედ მიზნის მიღწევის მოტივაციის გამოყენება. ამასთანავე, გამომძიებელი უნდა ესაუბროს ბავშვს შეხვედრის მიზნისა და მისი როლის შესახებ და რამდენჯერმე შეახსენოს ეს ბავშვს.

მოტივაციის შექმნა. უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის ჩვენების მიცემის მოტივაციის შექმნის საშუალება შეიძლება იყოს ბავშვისთვის ახსნა, რომ მისგან მოელიან დახმარებას და რომ მისი დახმარება მნიშვნელოვანია. 9-10 წლის ასაკში, როდესაც ბავშვს უვითარდება ზნეობრივი გრძნობები და უჩნდება უფროსების სამყაროსთან დაახლოების სურვილი, მისთვის დახმარებისთვის მიმართვა შეიძლება გახდეს გამოკითხვაში ჩართულობის გაზრდის სტიმული. ამავე დროს, გამომძიებელმა აუცილებლად უნდა უთხრას ბავშვს, რომ თუ მას რაიმე არ ახსოვს ან არ დაუნახავს სიტუაციის ცალკეული დეტალები, თქვას ამის შესახებ და ესეც მნიშვნელოვანი იქნება და ამითაც დაეხმარება გამოძიებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, დასახმარებლად მოტივირებულ ბავშვს შეიძლება სჯეროდეს, რომ მისგან მხოლოდ დადებითი პასუხებია მოსალოდნელი და ამან შეიძლება გამოიწვიოს „ჩავარდნების“ შევსება გამონაგონით.

ამგვარივე მოტივაციის შექმნა ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვებში ძალიან რთული და ხშირად უბრალოდ შეუძლებელია. უმცროსი ასაკის ბავშვის ქცევის მოტივაცია უფრო სიტუაციურია, ამიტომ უფრო ადვილია მისი მოტივირება იმით, რომ ის გაუმკლავდება ამოცანას, შეძლებს კითხვაზე პასუხის გაცემას, გასაგებად მოყოლას.

მცირეწლოვან ბავშვთან კომუნიკაციის სპეციფიკა

მცირეწლოვანი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვების გამოკითხვა ყოველთვის საჭიროებს ურთიერთგაგების (საორიენტაციო ეტაპის) ჩართვას, რომელიც ბავშვის ფსიქოლოგიური თავისებურებების შესახებ წარმოდგენის შექმნის და არსებული წარმოდგენის კორექტირების საშუალებას იძლევა. ეს ეტაპი ასევე მნიშვნელოვანია მოტივაციის შესაქმნელად ბავშვისთვის. კითხვები შეიძლება შეეხებოდეს ბავშვისთვის კარგად ნაცნობ მოვლენებს ან საგნებს - მაგალითად, რა ხდებოდა გუშინ საბავშვო ბაღში ან ეზოში, ვისთან მეგობრობს, რის კეთება უყვარს და სხვა.

ოღონდ თუკი ცნობილია, რომ ბავშვი ცუდად სწავლობს, ბაღში ხშირად ეჩხუბება თანატოლებს და აღმზრდელისგან შენიშვნებს იღებს, გამოკითხვის ურთიერთგაგების ფაზაში ბაღის და სკოლის თემებს სჯობს არ შეეხოთ.

ხატვის გამოყენება ურთიერთგაგების დასამყარებლად. თუ ბავშვი დისტანცირებულია, შეშინებული ჩანს, არ ერთვება პროცესში, ურთიერთგაგების (საორიენტაციო) ეტაპზე გამომძიებელს შეუძლია ბავშვს შესთავაზოს ხატვა („გინდა, დახატო რამე?“) და რამდენიმე წუთი ბავშვს ხატვის საშუალება მისცეს. ასეთ შემთხვევაში გასათვალისწინებელია რამდენიმე რეკომენდაცია:

- დაჯექით ბავშვის გვერდით, გაუღიმეთ და წაახალისეთ, რომ ხატვის დროს ილაპარაკოს.
- არ გაუკეთოთ ნახატს ინტერპრეტაცია.
- თუ ხატვის დროს ან მას შემდეგ ბავშვი არ საუბრობს, გამოიყენეთ ღია მიმართვა: „მომიყევი შენი ნახატის შესახებ“.
- როდესაც ბავშვი ხატვას დაასრულებს, შეაქეთ.

ინტონაცია. პატარა ბავშვებთან საუბრისას მოზრდილები ხშირად მიმართავენ არაბუნებრივ ინტონაციას, ჭარბად იყენებენ სიტყვების კნინობით („მოფერებით“) ფორმას, გულუბრყვილოდ მიიჩნევენ, რომ ამგვარად ბავშვებს უკეთ ესმით მათი და მათ მიმართ ნდობა უჩნდებათ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბავშვები, როგორც წესი, მგრძნობიარენი არიან სიყალბის მიმართ და არ სცემენ პატივს იმ ადამიანებს, რომლებიც ძალიან ღიად ცდილობენ მათთვის თავის მოწონებას. ბავშვის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად საუკეთესო საშუალებაა ბუნებრივი ქცევის შენარჩუნება, სერიოზული დამოკიდებულება იმის მიმართ, რაც აინტერესებს ან აღელვებს ბავშვს.

ბავშვის მიერ საკუთარი ქცევის მართვის ხელშეწყობა. სკოლამდელი ასაკისა და ზოგჯერ ზოგიერთ უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებში არასაკმარისად არის ფორმირებული საკუთარი ქცევის მართვის უნარი შინაგანი მეტყველების მეშვეობით. რთულ სიტუაციებში ბავშვებს მოთხოვნილება აქვთ, რომ ხმამაღლა თქვან, რას აპირებენ. ბავშვისთვის კითხვის დასმისას, გამომძიებელს შეუძლია შესთავაზოს მას გაიმეოროს შეკითხვის შინაარსი. ხმამაღლა თქმით, ბავშვი ერთგვარად „განკარგულებას“ აძლევს საკუთარ თავს, გაიხსენოს და მოყვეს განსაზღვრული ფაქტების შესახებ. ეს ხერხი ბავშვის გამოკითხვის კიდევ ერთი გავრცელებული სირთულის ნაწილობრივ გადალახვის შესაძლებლობას იძლევა: ბავშვი ხშირად ზედმეტად ჩქარობს პასუხის გაცემას, ვერ ასწრებს პასუხის გააზრებას და მომხდარის დეტალები შეიძლება გამორჩეს. შეკითხვის გამეორება საუბრის ტემპს ანელებს და ბავშვს იმპულსური პასუხის გაცემის საშუალებას არ აძლევს.

ყურადღების კონცენტრაციაში დახმარება. მცირეწლოვან და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებშიშედარებით სუსტად არის გამოხატული ყურადრების კონცენტრაციის უნარი. თითოეულ ცალკე შემთხვევაში, მათ შეუძლიათ დაკავდნენ მხოლოდ რომელიმე ერთი აქტივობით, აღიქვან მხოლოდ ერთი სიგნალი. როდესაც საჭიროა, რომ ბავშვმა მიუთითოს ან ამოიცნოს ობიექტის გამოსახულება დაადგინოს ობიექტის გამოსახულება ფოტოსურათზე, ნახატზე, სქემაში, ამოცანის განმარტებასთან ერთად, გამომძიებელმა იმავდროულად არ უნდა წარუდგინოს მას თვალსაჩინო მასალა. უფრო რაციონალურია, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, დასაწყისში ავუხსნათ ბავშვს დავალება, შემდეგ კი ვაჩვენოთ გამოსახულება, ან პირიქით - ჯერ შესაძლებლობა მივცეთ ბავშვს, გაეცნოს თვალსაჩინო მასალას და შემდეგ ჩამოვაყალიბოთ დავალება. რომ პირველ რიგში ავუხსნათ დავალება.

გამომძიებლის ქცევა. დამკითხველის/გამომკითხველის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი ის არის, რომ მუდმივად, უწყვეტად გააცნობიეროს თავისი ქცევებისა და მიმართვების ყველა ნიუანსი.

დაკითხვის/გამოკითხვის დროს, როდესაც ბავშვი “გაიხსნება“, ხშირად შეინიშნება დამკითხველების/გამომკითხველების კმაყოფილება (ან თუნდაც სიხარული!). ხშირად ასეთ შემთხვევებში ისინი ფაქტობრივად ღიად ულოცავენ და აქებენ ბავშვს: “ყოჩაღ, შენ ნამდვილად კარგად ყვები. ასე განაგრძე“. უმეტესწილად, ამ დროს დამკითხველის/გამომკითხველის მოტივაცია არის ბავშვის მხარდაჭერა, საუბრისთვის წახალისება, რომელსაც მომხდარის შესახებ მოყოლა უჭირს. თუმცა, უმჯობესია, რომ ამგვარი ვერბალური და არავერბალური შერჩევითი სოციალური წახალისებებისგან თავი შევიკავოთ.

გამომძიებელმა, შესაძლოა, არავერბალურად გამოხატოს უკმაყოფილება, როდესაც ბავშვი მისთვის სასურველ ინფორმაციას არ აწვდის, რაც ასევე შეიძლება ბავშვის სტრესული მდგომარეობის გამომწვევი გახდეს. მნიშვნელოვანია, რომ გამომძიებელმა ნეიტრალური პოზიცია და თანმიმდევრული ემოციური ტონი შეინარჩუნოს მთელი გამოკითხვის მანძილზე. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ის უნდა დისტანცირდეს ბავშვისგან და რეაგირება არ მოახდინოს ბავშვის საჭიროებებსა და საკომუნიკაციო ინიციატივებზე.

ბევრი ბავშვი, განსაკუთრებით, დამყოლი და მორცხვი ბავშვები, რომლებიც უფროსებისადმი უსიტყვო მორჩილების მოთხოვნით არიან აღზრდილები, ვერ უმკლავდება მცირე ფსიქოლოგიურ ზეწოლასაც კი. თუ გამომკითხველი, ბავშვისგან პასუხის მიღების სურვილით, მას ეუბნება: „შენ ეს უნდა გახსოვდეს“, „ეს არ შეიძლებოდა, რომ დაგვიწყებოდა“ და ა.შ., უფროსის მოთხობვნის შესასრულებლად, ბავშმა შეიძლება გამონაგონს მიმართოს.

მტკივნეულ თემაზე საუბარი. სექსუალური ძალადობის ტრავმული გამოცდილების მქონე ბავშვებთან საჭიროა, დაკითხვა/გამოკითხვა დაიწყოს ბავშვის დარწმუნებით, რომ დაკითხვის/გამოკითხვის განმავლობაში მოულოდნელი და სახიფათო არაფერი მოხდება. ესეც ერთ-ერთი ნაბიჯი იქნება ბავშვის ჩაგონებადობის შესამცირებლად.

მცირეწლოვანი მსხვერპლის გამოკითხვა იმ მოვლენების შესახებ, რომლებმაც მას ფსიქიკური ტრავმა მიაყენა, უნდა აიგოს ისე, რომ კითხვები, რომლებიც შეეხება ძალადობის შედეგად ჩამოყალიბებულ ბავშვის ემოციურ სირთულეებს, მონაცვლეობდეს კითხვებთან ბავშვისთვის ნეიტრალური ან სასიამოვნო ფაქტების შესახებ.

გასათვალისწინებელია, რომ რაც უფრო მეტად შეუძლია ბავშვს სხვა ადამიანების ქცევის არსის გაცნობიერება, აღქმული მოვლენების ფსიქომატრავმირებელი ზემოქმედების ალბათობა მით უფრო მაღალია. ამიტომ, არცთუ იშვიათად, უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები უფრო ძლიერად არიან ტრავმირებულები სექსუალური ძალადობის შედეგად, ვიდრე სკოლამდელი და ადრეული ასაკის ბავშვები. სექსუალური ძალადობის შესახებ ბავშვების გამოკითხვა გამომძიებლისგან განსაკუთრებულ ტაქტს მოითხოვს. როგორც კი გამომძიებელი (ან გამოკითხვაზე დამსწე სპეციალისტი) შეამჩნევს, რომ ბავშვს შიშის, შფოთვის, დაძაბულობის ნიშნები აქვს, ცხადია, მან არ უნდა მოახდინოს ამ ნიშნების იგნორირება და არ უნდა შეეცადოს, “რადაც არ უნდა დაუჯდეს“ ბოლომდე მიიყვანოს დაკითხვა/გამოკითხვა. ამ ნიშნებზე სათანადო, ადეკვატური რეაგირების გარეშე, ბავშვს მზარდი ემოციური დისკომფორტი შეექმნება და ეს უარყოფითად იმოქმედებს დაკითხვის/გამოკითხვის შედეგზეც.

7.5. ნეიროგანვითარების დარღვევის მქონე ბავშვების გამოკითხვის სპეციფიკა (აუტიზმის სპექტრის, ჰიპერაქტიურობის/ყურადღების დეფიციტის სინდრომის მქონე და ა.შ.) ბავშვები

ნეიროგანვითარების სირთულეების მქონე ბავშვების გამოკითხვის სპეციფიკა

ნეიროგანვითარების გავრცელებული სირთულეები ბავშვებში

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, ისევე როგორც ნებისმიერ ბავშვს, როდესაც ამის სურვილი აქვს, აუცილებლად უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ მოუსმინონ ნებისმიერი საკითხის გადაწვეტისას, რომელიც მას შეეხება.

საყურადღებოა, რომ აუტისტური სპექტრის ან ჰიპერაქტიურობის / ყურადღების დეფიციტის სინდრომის მქონე ბავშვს, შესაძლოა, დასმული არ ჰქონდეს აუტიზმის სპექტრის ოფიციალური დიაგნოზი და/ან ბავშვის მშობელმა არ იცოდეს, რომ მისი შვილი აუტიზმის სპექტრის მქონეა, ან მიზეზთა გამო მშობლებს ურჩევნიათ, რომ არ გაამჟღავნონ ამის შესახებ, ამიტომ გამომძიებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ნიშნებზე, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს, რომ ბავშვი ნეიროგანვითარების სირთულის მქონეა და ფორმალური დიაგნოზის არარსებობის მიუხედავად, მისი გამოკითხვა წარმართოს შესატყვისი მიდგომების და კომუნიკაციის სპეციფიკური პრინციპების გამოყენებით.

განვითარების გავრცელებული სირთულეების ცოდნა გამოძიებელს დაეხმარება ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების და ეფექტიანი კომუნიკაციის ფორმის და საშუალებების განსაზღვრაში.

აუტიზმის სპექტრი

ხშირად აუტიზმს/აუტიზმის სპექტრს დაავადებად მიიჩნევენ, თუმცა ეს არ არის დაავადება. სინამდვილეში აუტიზმის სპექტრი კომპლექსური მდგომარეობაა, რომელიც განსხვავებულად გამოიხატება სხვადასხვა ბავშვთან - ზოგ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი სირთულეების გარეშე და ბავშვი შედარებით იოლად ადაპტირდება სოციუმში, ზოგჯერ კი აუტიზმის სპექტრი, შესაძლოა, სერიოზული ქცევითი დარღვევებით და შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობით იყოს გამოხატული. შესაბამისად, აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებს სხვადასხვა დონის მხარდაჭერა ესაჭიროებათ. აუტიზმი, რასაკვირველია, არ უნდა გავაიგივოთ ინტელექტუალური განვითარების შეფერხებასთან.

მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ აუტიზმის სპექტრის მქონე ბევრი ბავშვისთვის დამახასიათებელია სენსორული ინფორმაციის დამუშავების დარღვევა / სენსორული ინტეგრაციის დისფუნქცია. გარემოდან ბავშვის ერთი ან რამდენიმე შეგრძნების ორგანოს (მხედველობა, სმენა, შეხება და სხვა) ჭარბი სტიმულაციის შემთხვევაში, თავის ტვინი ვერ გადაამუშავებს შემოსული შეგრძნებების ჭარბ ნაკადს. შედეგად, აღნიშნული დისფუნქცია შეიძლება მწვავე მდგომარეობაში გადავიდეს და ადგილი ჰქონდეს ე.წ. სენსორულ გადატვირთვას (Sensory overload). ეს მდგომარეობა ნერვულ აგზნებას იწვევს და სხვადასხვა ბავშვთან სხვადასხვაგვარად ვლინდება: ზოგი ბავშვი გაღიზიანებული ხდება, ზოგი ბრაზს გამოხატავს, ზოგი ტირილს, ყვირილს იწყებს, ზოგი თავზე ხელებს იფარებს და სხვა.

სენსორული გადატვირთვის სიმპტომები ხშირად არასწორად არის აღქმული, როგორც ბავშვის „ცუდი ქცევა“, „ისტერიკა“ და სხვა. მნიშვნელოვანია, გამომძიებლებმა იცოდნენ, რომ ბავშვის ამგვარი ქცევა - ეს არის სენსორული გადატვირთვის დაძლევის რეაქცია და ასეთ შემთხვევებში დაუშვებელია ბავშვის დატუქსვა, დადანაშაულება. უბრალოდ, მას უნდა შევუქმნათ მყუდრო გარემო, სადაც დამშვიდებას შეძლებს.

აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვის დამახასიათებელი ნიშნები

გამომძიებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგ გამოვლინებებს:

- არ აქცევს ყურადღებას, როდესაც თქვენ /სხვა ადამიანი ეძახის ან რაიმეს გაკეთებას სთავაზობს.

- არ საუბრობს ან უჭირს საუბარი.
- თავს არიდებს მზერით კონტაქტს.
- უჩვეულოდ აფორიაქებული ან თქვენით შეშინებული ჩანს.
- არ აქცევს თქვენს ლაპარაკს ყურადღებას.
- უჭირს საკუთარი მოთხოვნილებების - მაგალითად, შიმშილის, წყურვილის გამოხატვა ტიპური სიტყვების ან მინიშნებების მეშვეობით.
- იმეორებს თქვენს ან სხვის ნათქვამ ფრაზებს, ცალკეულ სიტყვებს ექოსავით.
- იმეორებს ერთსა და იმავე მოძრაობას.
- უჩვეულო, მძაფრი რეაქცია აქვს გარკვეული ხმის, ფერის, სუნის, გემოს, შეხების მიმართ.

ჩამოთვლილი გამოვლინებები სავარაუდო აუტიზმის სპექტრზე მიუთითებს და კომუნიკაციაში დახმარებისთვის პოლიციელს შეუძლია ჩართოს შესაბამისი სპეციალისტი (ფსიქოლოგი ან ოკუპაციური თერაპევტი).

აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთან კომუნიკაციისას

- აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა/პირთა გამოკითხვისათვის პირველ რიგში ყველაზე მნიშვნელოვანია მათი ნდობის მოპოვება, ხშირად მათ ადამიანებთან შესაგუებლად დრო სჭირდებათ, ამიტომ დიდი ალბათობით, მათ გამოკითხვას პირველივე შეხვედრაზე ვერ შეძლებთ, გარდა ამისა აუცილებელია გარემო იყოს მათთვის ნაცნობი და მშობლიური სადაც თავს დაცულად და კომფორტულად გრძნობენ, ამიტომაც შეიძლება გამოკითხვა დასაკითხ ოთახში კი არა, ამ პირთა ნაცნობ გარემოში მაგ: სახლში მოახდინოთ.

- გახსოვდეთ, რომ მათთვის ვიზუალური კონტაქტის დამყარება დისკომფორტულია. როგორც წესი, თავად ამას არ აკეთებენ და არც თქვენ უნდა უყუროთ თვალებში დაჟინებით.

- შეინარჩუნეთ ფიზიკური დისტანცია. მარტივი მხარდაჭერის ჟესტიც კი (მხარზე ან თავზე ხელის დადება, მოფერება) აუტისტური სპექტრის შემთხვევაში ძლიერი გამღიზიანებელი შეიძლება აღმოჩნდეს.

- თუ აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვს შეხვედრისას თან ექნება მისთვის მნიშვნელოვანი ნივთები (სხვადასხვა საგნები, სათამაშო და ა.შ.), რომლითაც თამაშობს, შეიძლება იფიქროთ, რომ მათთან კომუნიკაციის დამყარებისათვის კარგი იქნებოდა ამ ნივთებით და მისი საყვარელი თამაშით დაინტერესება, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ არ ჩაერიოთ ამ პროცესში.

- წინასწარ გაარკვიეთ, ხომ არ არსებობს სპეციფიკური გამღიზიანებელი სუნის, ხმაურის ან რაიმე გამოსახულების სახით, რომელიც ბავშვში განსაკუთრებით მძაფრ რეაქციებს იწვევს და გაათავისუფლეთ ოთახი ამგვარი გამღიზიანებლებისაგან.

- ასევე, განმეორებითი შეხვედრის/დაკითხვის/გამოკითხვის საჭიროების შემთხვევაში ეცადეთ, რომ შეხვედრა შედგეს იმავე დროსა და ადგილას, დასაკითხ/გამოსაკითხ ოთახში თვალშისაცემი ცვლილებების შეტანის გარეშე.

- საუბრისას/გამოკითხვისას დაიცავით პაუზები და მოაწყვეთ შესვენებები.

- თუ შესაძლებელია, გამორთეთ ხმოვანი სიგნალი/სირენები ან მოციმციმე მაშუქები.

- აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებში ხშირია კითხვის უნარის დაქვეითება. ბავშვი შეიძლება სწრაფად და უშეცდომოდ კითხულობდეს, მაგრამ წაკითხულის გააზრება უჭირდეს. ამ ფენომენს ჰიპერლექსიას უწოდებენ. როდესაც ბავშვი კარგად კითხულობს, იმდენად ძნელი მისახვედრია, რომ პრობლემა შესაძლოა წაკითხულის გააზრებაში იყოს, ხშირად შეიძლება ვერც მივხვდეთ ამას. ამიტომ მნიშვნელოვანია, დავრწმუნდეთ, რომ ბავშვს წაკითხულის შინაარსი ესმის.

- გახსოვდეთ, რომ აუტიზმის სპექტრის ნიშნები და გამოვლინებები ინდივიდუალურია, ამიტომ მიდგომაც ინდივიდუალური უნდა იყოს.

ჰიპერაქტიურობის / ყურადღების დეფიციტის სინდრომი (ADHD სინდრომი)

ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტიურობის სინდრომი (ADHD სინდრომი) ნეიროგანვითარების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სირთულეა. ამ სინდრომის მქონე ბავშვებს ხშირად „ჰიპერაქტიურებს“ უწოდებენ, საკმაოდ ხშირად, მათ საქციელს მეტისმეტ სიცელქედ, „გაუგონრობად“ მიიჩნევენ და მუდმივი შენიშვნებით, შეუხრელი აკრძალვების შემოღებით ცდილობენ აღკვეთონ ბავშვის ამგვარი „თავნებობა“, რის შედეგადაც ბავშვის მდგომარეობა შეიძლება დამძიმდეს და ის მეტად საჭირო მხარდაჭერის გარეშე დარჩეს. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ჰიპერაქტივობის/ყურადღების დეფიციტის სინდრომის მქონე ბავშვი არ არის „დამნაშავე“ თავის საქციელში და მისი ამგვარი ქცევები ცენტრალური ნერვული სისტემის სპეციფიკური ფუნქციონირებითაა გამოწვეული.

ADHD სინდრომზე საუბარია მაშინ, როდესაც აუცილებლად გამოხატულია შემდეგი **3 ნიშანი:**

- ყურადღების კონცენტრაციის დეფიციტი - უყურადღებობა, გონებაგაფანტულობა;
- იმპულსურობა - იმპულსური, უნებლიე ქცევის შეჩერების და გაკონტროლების სირთულე;
- ჰიპერაქტივობა - მოტორული მოუსვენრობა, მოძრაობათა სიჭარბე.

ADHD სინდრომი 2 ქვეჯგუფს მოიცავს: 1) ყურადღების დეფიციტი, ჰიპერაქტივობის გარეშე; 2) ყურადღების დეფიციტი, იმპულსურობა და ჰიპერაქტივობა. ის, რაც ორივე ქვეჯგუფს საერთო აქვს, არის ყურადღების დეფიციტი.

პირველ ჯგუფში გაერთიანებული ბავშვები ხასიათდებიან, როგორც უფრო მოდუნებული, „გაფანტული“, მეოცნებე, ზანტი, ინერტული, მოდუნებული, მორცხვი ინდივიდები. ხოლო მეორე ჯგუფში გაერთიანებული ბავშვები ხასიათდებიან იმპულსურობით, მაღალი აქტიურობით, მოუსვენრობით, ხშირად - აგრესიული ქცევით.

მართალია, ADHD სინდრომის მქონე ბავშვები განსხვავებულ სიმპტომებს ამჟღავნებენ, ეს სინდრომი ბავშვის შემდეგ ქმედებებში შეიძლება გამოვლინდეს:

- არ ამთავრებს დაწყებულს, ერთი დაუმთავრებელი ამოცანიდან/თემიდან მეორეზე ხტება;
- ხშირად ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ არ გისმენთ;
- ადვილად ეფანტება ყურადღება;

- საუბარში ვერ იცავს თანმიმდევრულობას და უძნელდება სათანადო სიტყვების შერჩევა;
- დაწყებული საქმიანობის დასრულებამდე, ხშირად გადადის ახალზე;
- უჭირს მითითების შესრულება;
- არ შეუძლია ლოდინი;
- ვერ ემორჩილება წესებს;
- უჭირს ერთ ადგილზე ჯდომა;
- ხელებს და ფეხებს მოუსვენრად ამოძრავებს, ცქმუტავს სკამზე;
- ბევრს დარბის, ყოველთვის მზადაა გასაქცევად;
- უჭირს მისი ჯერის დალოდება;
- უმიზეზოდ ტოვებს ოთახს;
- მოქმედებს დაუფიქრებლად, გაუაზრებლად.
- ერევა ლაპარაკში, სიტყვას გაწყვეტინებთ.
- ხშირად ძალიან ბევრს ლაპარაკობს;
- საკუთარი ქმედების შედეგებზე არ ფიქრობს;
- დეტალებს ყურადღებას არ აქცევს;
- ხშირად ეცვლება გუნება-განწყობილება და ღიზიანდება;
- ზოგ შემთხვევაში აგრესიული და შემტევია.

არ არის აუცილებელი, რომ ჩამოთვლილ სიმპტომთაგან ყველა იყოს მოცემული. შესაძლოა, გვქონდეს მხოლოდ რამდენიმე სიმპტომი. ასევე საყურადღებოა, რომ ADHD სინდრომის მქონე ბავშვებისთვის გარკვეული სიტუაციები განსაკუთრებით პრობლემატურია. მაგ., ხშირად ყურადღების დეფიციტი თუ ჰიპერაქტიულობა ისეთ გარემოში უფრო ვლინდება, სადაც ბავშვს ერთი და იგივე, რუტინული, მისთვის უინტერესო საქმის კეთება უწევს. ამისგან განსხვავებით, ნაკლებად სტრუქტურირებულ გარემოში, იქ სადაც თავისუფლად გრძნობს თავს, ბავშვი, შესაძლოა, ამ მხრივ არაფრით განსხვავდებოდეს სხვა ბავშვებისგან.

ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვთან კომუნიკაციისას, მნიშვნელოვანია გამომძიებლის მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ყურადღების კონცენტრირების სირთულეების და ქცევითი მახასიათებლების გათვალისწინება.

ამისთვის აუცილებელია: ა) ფიზიკური გარემოს მოწყობა ბ) ქცევის მართვა.

ფიზიკური გარემოს მოწყობა:

- სასურველია დახურული ტიპის ოთახები, რადგან ღია ტიპის ოთახებში უამრავი სმენითი და მხედველობითი ხელისშემშლელი სტიმულია;
- უმჯობესია, რომ ბავშვი იჯდეს კარის და ფანჯრებისგან მოშორებით;
- მხედველობითი გამღიზიანებლები და ხმაური გარეთ მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი;
- მაგიდა და ოთახი არ უნდა იყოს გადატვირთული, რომ არ მოხდეს ყურადღების გადატანა ნივთებზე.

ქცევის მართვა:

- ბავშვმა უნდა იცოდეს, რას ელიან მისგან.
- წესები უნდა იყოს ცოტა და მარტივი.

- დაუსვით მოკლე და მკაფიო კითხვები;
- წარმართეთ ბავშვის ყურადღება სხვადსხვა სიგნალებით, როგორიცაა სიტყვით შეხსენება, ფიზიკური შეხება;
- საუბრისას ნაკლებად გამოიყენეთ ხელები, ჟესტები, რადგან ბავშვმა ყურადღება შეიძლება გადაიტანოს თქვენი ხელების მოძრაობაზე და ვეღარ მოგისმინოთ;
- აუცილებელია ბავშვს მიეცეს ხშირი, მკაფიო, მოკლე და გასაგები უკუკავშირი და მოახდინოთ რეაგირება მის ქცევაზე;
- შეინარჩუნეთ საუბრის მშვიდი ტონი;
- თუ ბავშვს უჭირს ყურადღების კონცენტრირება, გაუმეორეთ კითხვები;
- ამბის მოყოლისას არ ააჩქაროთ და შეახსენეთ ის საკითხები, რაზეც უკვე ისაუბრა;
- თუ ბევრს და დაუსრულებლად საუბრობს, მიუთითეთ, რომ მოგისმინოთ და შემდეგ განაგრძოს ლაპარაკი;
- აუცილებელია ქცევის დაგეგმვა და ბავშვისთვის მითითებების მიცემა, თუ რის შემდეგ რა უნდა გააკეთოს. ეს ხელს უწყობს ბავშვის მიზანშეწონილ ქცევას;
- მოერიდეთ ბავშის ღია კრიტიკას - ADHD სინდრომის მქონე ბავშვები გადაჭარბებულად მგრძნობიარენი არიან როცა რამე კარგად არ გამოსდით, როცა ვინმესგან შენიშვნას იღებენ, ამიტომ შეეცადეთ თქვენ მიერ მიცემულ მინიშნებას არ ჰქონდეს შენიშვნის ან საყვედურის სახე.
- შეაქეთ ან დააჯილდოვეთ, როდესაც წესები დაცულია – ADHD სინდრომის მქონე ბავშვები ხშირად იღებენ კრიტიკას სხვებისგან. შეეცადეთ, დაინახოთ კარგი ქცევა მათში და შეაქოთ ამის გამო.
- ასევე, საყურადღებოა, რომ ADHD სინდრომის ბავშვს შეიძლება ახასიათებდეს ე.წ. ჰიპერფოკუსირება, ანუ რომელიმე საკითხზე „გაჭედვა“, უმნიშვნელო დეტალებზე ფიქსირება და ა.შ. გამომძიებელმა უნდა იცოდეს ამის შესახებ და ფრთხილად მიმართოს ბავშვი მომდევნო შეკითხვისკენ;
- იყავით სტაბილური – ბავშვებს, რომლებსაც ADHD სინდრომი აქვთ, სჭირდებათ სტაბილური წესები, რომლებიც თქვენი კომუნიკაციის განმავლობაში არ შეიცვლება და რომლებსაც ბავშვები გაიგებენ და შეეძლებათ მათი დაცვა.

კომუნიკაცია და ინტერაქცია ნეიროგანვითარების სირთულეების მქონე ბავშვის გამოკითხვის პროცესში

სწორი კომუნიკაციის გარეშე წარმატებულ გამოკითხვაზე საუბარიც კი ზედმეტია. პროფესიონალმა შეიძლება ზედმიწევნით იცოდეს კანონები და გაიდლაინები, მაგრამ თუ მას არ შეუძლია ბავშვთან ურთიერთგაგების დამყარება, მაშინ სამუშაო პროცესი დიდი ალბათობით უშედეგო იქნება.

ბავშვების დაკითხვისას/გამოკითხვისას, შშმ პირებთან კომუნიკაციის დამყარებისთვის საჭირო წესების გათვალისწინების პირობებში, გამოყენებული უნდა იყოს ტიპური განვითარების მქონე ბავშვებისთვის გათვალისწინებული სახელმძღვანელო პრინციპები. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბავშვის მდგომარეობიდან გამომდინარე, შესაძლოა ვერ მოხდეს ტიპური განვითარების ბავშვის გამოკითხვისთვის შემუშავებული მიდგომების გამოყენება და ბავშვი საჭიროებდეს მასზე მორგებულ, ინდივიდუალურ მიდგომას

- გამომკითხველმა წინასწარ უნდა შეისწავლოს ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებები და ასევე - მისი განვითარების დონე, განვითარების არსებული არსებული სირთულის

ზოგადი ბუნება და დააზუსტოს ის შესაძლებლობები, რომლებიც ბავშვს არსებული შეზღუდვის ფონზე შეიძლება ჰქონდეს.

- ნეიროგანვითარების სირთულეების მქონე ბავშვთან ურთიერთობის დამყარებაში მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლიათ ადამიანებს, რომლებიც იცნობენ ბავშვს, უკეთ იციან როგორ დაამყარონ მასთან კომუნიკაცია, როგორ გაამხნევონ ის. მიზანშეწონილია ამ რესურსის გამოყენება.

- როგორც უკვე აღინიშნა, განვითარების სირთულეების მქონე ბავშვების დაკითხვისას/გამოკითხვისას ძირითადად გამოყენებული უნდა იყოს ტიპური განვითარების მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო პრინციპები. თუმცა, ტიპური განვითარების მქონე ბავშვებზე მორგებულ პროტოკოლში მოცემულია მკაცრი ინსტრუქცია, რომ დასაწყისში გამოყენებული იყოს ღია მიმართვები და მხოლოდ მათი ამოწურვის შემდეგ მოხდეს გადასვლა სხვა ტიპის შეკითხვებზე. ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს ესაჭიროებათ გარედან მიწოდებული უფრო კონკრეტული სტიმულაცია ინფორმაციის გადმოცემისათვის.

- სიტყვები, რომლებსაც ბავშვის გამოკითხვისას გამოიყენებთ, მისთვის ნაცნობი და განვითარების დონის შესაბამისი უნდა იყოს. ბავშვის შესატყვისი ლექსიკის განსაზღვრა შესაზლებელია გაცნობის და ურთიერთობის დამყარების ეტაპზე ბავშვისთვის თავისუფალი თხრობის საშუალების მიცემით. შეკითხვები ფორმულირებული უნდა იყოს პოზიტიური ფორმით, უარყოფის შემცველი ნაწილაკების (არ, ვერ) გამოყენების გარეშე.

- გამოკითხვის პროცესში, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ბავშვებში ზოგადად, განსაკუთრებით კი განვითარების სირთულეების მქონე ბავშვებში ხშირად გამოხატულია დათანხმების, უარყოფის ან/და შეთავაზებულთაგან ბოლო ალტერნატივის არჩევის ტენდენციები. დათანხმების ტენდენციის შემთხვევაში, ბავშვი ყველა კითხვაზე პასუხობს დადებითად; უარყოფის ტენდენციის შემთხვევაში, ყველაფერზე ამბობს - „არა“- ს, ხოლო იმგვარი კითხვის დასმისას, რომელიც რამდენიმე პასუხის ალტერნატივებს მოიცავს, ბავშვს აქვს ტენდენცია, გაიმეოროს შეთავაზებული ალტერნატივებიდან ბოლო. დათანხმების და უარყოფის ტენდენციის არსებობის გადამოწმების და შეცდომის თავიდან არიდების მიზნით, სასურველია, რომ იგივე შინაარსთან დაკავშირებული შეკითხვა რევერსიული/შებრუნებული ფორმით დაისვას.

კომუნიკაციის დამხმარე საშუალებები

ნეიროგანვითარების სირთულეების მქონე ბავშვები გაცილებით უკეთესად აღიქვამენ ვიზუალურ სტიმულებს, ვიდრე აუდიალურს. ამ ინფორმაციის ცოდნასთან ერთად, დამკითხველს/გამომკითხველს სჭირდება კრეატიულობა და მოქნილობა, რათა ხელი შეუწყოს ბავშვს აზრის გამოხატვაში.

მკაფიოდ ფორმულირებული და მარტივი ტექსტი გამყარებული უნდა იყოს ვიზუალური დამხმარე საშუალებით, როგორიც არის სიმბოლოები, სურათები, ასევე - ამბების მოყოლით, გარკვეული თამაშების გამოყენებით. სიმბოლოები და ნიშნები არა მხოლოდ რაპორტის დამყარების, არამედ ფაქტობრივი ინფორმაციის დაზუსტებასა და დეტალიზაციაშიც დაგეხმარებათ.

სურათები, ასევე შეიძლება გამოდგეს იმ ბავშვებთან კომუნიკაციისას, რომელთაც აქვთ აზრის ჩამოყალიბებისა და გამოთქმის პრობლემები: თუ გამომკითხველი ვერ მიიღებს პასუხს მოვლენის აღწერაზე მიმართული ღია შეკითხვის საპასუხოდ, შესაძლებელია, სთხოვონ ბავშვს, რომ დახატოს და ამგვარად აღწეროს მოვლენა.

კომუნიკაციის სირთულეების მქონე არასრულწლოვნის გამოკითხვისას, გამომძიებლისთვის გამოსადეგი იქნება ბავშვის მშობლისგან /მზრუნველისგან ინფორმაციის მიღება იმის შესახებ, გაუვლია თუ არა ბავშვს რომელიმე დამხმარე / ალტერნატიული ენობრივი პროგრამა (მაგალითად, როგორიცაა ჟესტების, გრაფიკული სიმბოლოების შემცველი მეტყველების სპეციალური პროგრამა "მაკატონი" / MAKATON), რომლითაც, შესაბამისი სპეციალისტის დახმარებით, შესაძლებელი იქნება ბავშვთან კომუნიკაცია.

7.6. ბავშვების მონაწილეობით სხვა საგამოძიებო პროცედურების ჩატარების სპეციფიკა (პირის ამოცნობა)

ზოგ შემთხვევაში, ბავშვის მონაწილეობა გამოძიებაში მხოლოდ ინტერვიუებით არ შემოიფარგლება, არამედ, სხვა საგამოძიებო პროცედურებსაც მოიცავს, როგორიცაა, მაგალითად, ადამიანების ამოცნობა. ფსიქოლოგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ საგამოძიებო პროცედურებში ბავშვების მონაწილეობის ხელშეწყობის კუთხით.

კვლევების თანახმად, ბავშვებს, რომლებიც იღებენ მხარდაჭერას ფსიქოლოგებისგან, უფრო მეტი სიზუსტით შეუძლიათ ამოსაცნობად წარდგენილ პირებს შორის მოძალადის ამოცნობა. ამასთან, მტკიცებულებით დასტურდება, რომ ბავშვები, რომლებიც სარგებლობენ ფსიქოლოგის მხარდაჭერით, უფრო მეტი სიზუსტით გამოირჩევიან ისეთ შემთხვევებში, როდესაც ამოსაცნობად წარდგენილ პირებს შორის მოძალადე არ არის.[33]

ფსიქოლოგის ჩართვა რეკომენდირებულია ქვემოთ წარმოდგენილ შემთხვევებში:

a) ბავშვის საწყისი შეფასება (მათ შორის, ბავშვის კოგნიტური და საკომუნიკაციო უნარების შეფასება), ამოცნობის წინა ეტაპზე;

b) გამომძიებლისთვის რჩევის მიცემა, თუ როგორ უნდა შეუწყოს მან ხელი ბავშვის მიერ მაქიმალურად ეფექტური ჩვენების მიცემას;

c) ბავშვისათვის მხარდაჭერის გაწევა, როდესაც იგი უყურებს ამოსაცნობად წარდგენილი პირების ჩანაწერს და განმარტება, თუ რა

[33] Wilcock R, Crane L, Hobson Z, Nash G, Kirke-Smith M, Henry LA. Supporting child witnesses during identification lineups: Exploring the effectiveness of registered intermediaries. Appl Cogn Psychol. 2018 May-Jun;32(3):367-375.

მიზანი აქვს მის იქ ყოფნას და რა ინსტრუქციებს უნდა მისდიოს ამოცნობის პროცესში.

ამოცნობის პროცედურა და შესაბამისი ინსტრუქციები უნდა იყოს გამარტივებული და ასაკისთვის შესაფერისი. ფსიქოლოგი და გამომძიებელი, რომლებიც ადმინისტრირებას უწევენ ამოცნობის პროცესს, წინასწარ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს, რათა გამოავლინონ ბავშვის შესაძლო ინდივიდუალური საჭიროებები (მაგ., გონებაგაფანტულობის გამო ბავშვს შესაძლოა, ესაჭიროებოდეს ინფორმაციის ნელა ან ნაწილ-ნაწილ მიწოდება).

ქვემოთ წარმოდგენილია რეკომენდაციები მოწმე ბავშვების შესახებ ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით:

a) გამომძიებელმა, რომელიც ადმინისტრირებას უწევს ამოცნობას, ბავშვს ვიდეო გამოსახულებები უნდა აჩვენოს სათითაოდ, ხოლო შემდეგ კი ყველა ერთად, სტატიკური ფოტო-მატრიცის ფორმატში.

b) ბავშვს უნდა ჰქონდეს პასუხის გაცემის რამდენიმე საშუალება (წერილობითი, ზეპირი და ვიზუალური).

c) კერძოდ, ბავშვს უნდა განუმარტონ, რომ იმ შემთხვევაში, თუ იგი ერთ-ერთ ადამიანს ამოიცნობს, მას შეუძლია გააკეთოს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი:

   i. ფსიქოლოგს უთხრას: „მე ვხედავ იმ ადამიანს“

   ii. ფსიქოლოგს უთხრას ან დაწეროს იდენტიფიცირებული პირის ნომერი

   iii. ხელით მიუთითოს იდენტიფიცირებულ პირზე.

d) თუ ბავშვმა წარმოდგენილი პირებიდან ვერც ერთი პირი ვერ ამოიცნო, მას შეუძლია გააკეთოს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი:

   i. ფსიქოლოგს უთხრას: „მე ვერ ვხედავ იმ ადამიანს“

   ii. მიუთითოს ბარათზე, რაც ნიშნავს იმას, რომ ბავშვმა ვერ გააკეთა არჩევანი (მაგ., მაგიდაზე განთავსებული ბარათი, რომელზეც წითელი ჯვარია გამოსახული).

7.7. საგამოძიებო ინტერვიუსთვის დამხმარე საშუალებების გამოყენება. კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებები

7.8. სასამართლო სხდომაზე ინტერვიუს (გამოკითხვის) ჩანაწერის წარდგენა

როგორც აღინიშნა (იხ. სექცია 5.7 *ჩვენების უარყოფისა და გადათქმის რისკების გაანალიზება. ჩვენების გადათქმის პრევენცია ტრავმა-ინფორმირებული გამოკითხვის გზით. გამოკითხვა, როგორც ფართო, ბავშვზე მორგებული და ტრავმა-ინფორმირებული მიდგომის ნაწილი; მულტიდისციპლინური სერვისების როლი ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფაში*), სასამათლოში მტკიცებულების სახით ბავშვის გამოკითხვის აუდიო ან ვიდეო ჩანაწერის წარდგენა ამცირებს გამოკითხვების რაოდენობას, რაც ახდენს ბავშვის მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენციას და ამცირებს ჩვენების გადათქმის რისკებს.

მისასალმებელია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ითვალისწინებს სასამართლოში, მტკიცებულების სახით ბავშვის გამოკითხვის ვიდეო ჩანაწერის წარდგენის შესაძლებლობას, რაც ბავშვს ათავისუფლებს სასამართლო პროცესზე ჩვენების მიცემის ვალდებულებისგან. მიზანშეწონილია, რომ ეს შესაძლებლობა უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული.[34] კერძოდ, იგი ჩვეულებრივ პრაქტიკას უნდა წარმოადგენდეს ისეთ შემთხვევებში, რომლებიც ეხება სექსუალური ძალადობის მსხვერპლ და მოწმე ბავშვებს.

კარგი პრაქტიკის მაგალითი:

ბავშვების შემთხვევაში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სისხლის სამართლის მტკიცებულებათა აქტის (1999 წ.) 21-ე სექცია (შესწორდა 2009 წლის მართლმსაჯულების აქტის მე-100 სექციით) ადგენს, რომ გამოკითხვის ვიდეოჩანაწერი ბავშვის მიერ ჩვენების მიცემის ყველაზე შესაფერისი ფორმაა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნულზე იგი თავად არ იტყვის უარს.

იმისათვის, რომ ჩანაწერი დაშვებული იქნას მტკიცებულების სახით, იგი უნდა აკმაყოფილებდეს დოკუმენტაციის წარმოების შესახებ მკაცრ პროტოკოლებს. ქვემოთ წარმოდგენილია რეკომენდაციები დოკუმენტაციის წარმოების შესახებ პროტოკოლის შემუშავებასთან დაკავშირებით.

---

[34] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 24 (არასრულწლოვანი მოწმის დაცვის ღონისძიებები).
("არასრულწლოვანი მოწმის საუკეთესო ინტერესების დასაცავად მოსამართლე უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით, არასრულწლოვანი მოწმის, მისი კანონიერი წარმომადგენლის, ადვოკატის ან პროკურორის შუამდგომლობით გამოიტანოს განჩინება:
[...]
ბ) სასამართლო სხდომამდე ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობით არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვის და დაკითხვის ვიდეოგადაღების შესახებ;").

რა შემთხვევაში უნდა მოხდეს ინტერვიუს (გამოკითხვის) ჩაწერა?

ინტერვიუს ჩაწერა უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ:

a) მსხვერპლი არის 18 წლამდე ასაკის პირი
b) იგი ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის ან ზოგადად, ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლია.

ინტერვიუს ჩაწერა სავალდებულოა ყველა იმ შემთხვევაში, სადაც:

a) მოწმე არის 18 წლამდე ასაკის პირი
b) არის მატერიალური მოწმე საქმეში, რომელიც ეხება სექსუალურ ძალადობას ან ძალადობრივ დანაშაულს.

როგორ უნდა შევინახოთ ინტერვიუს ვიდეო ჩანაწერი?

კარგ პრაქტიკას წარმოადგენს ინტერვიუს ვიდეო ჩანაწერის ციფრულ ფორმატში შენახვა, უსაფრთხო სისტემის გამოყენებით. თუ ჩანაწერი გაკეთდა შესანახი საშუალების გამოყენებით, მთავარი ასლი უნდა დაილუქოს და უსაფრთხო ადგილას უნდა იქნას შენახული. სასამართლოში შესაძლებელია სამუშაო ასლების გამოყენება, რომლებიც, ასევე უსაფრთხო ადგილას უნდა იქნას შენახული.

საჭიროა ბავშვის ნებართვა ჩაწერასთან დაკავშირებით?

დოკუმენტაციის წარმოების შესახებ პროტოკოლი უნდა ადგენდეს ბავშვის ან მშობლის პასუხისმგებლობის მქონე პირის თანხმობის მოპოვების ვალდებულებას. ბავშვს უნდა შეეძლოს თანხმობის დამოუკიდებლად გაცემა იმ შემთხვევაში, თუ მას ესმის ინტერვიუირების შედეგები. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს არ აქვს თანხმობის გაცემის უნარი, სავალდებულო მოთხოვნას უნდა წარმოდგენდეს მშობლის ან მეურვის თანხმობის მიღება. ამავდროულად, ისეთ სიტუაციაში, სადაც არსებობს კონფლიქტი ბავშვის ინტერესებსა და მშობლის/მეურვის ინტერესებს შორის ან იმ შემთხვევაში, თუ ჩაითვლება, რომ მშობლის/მეურვის უარი ზიანის საფრთხეს უქმნის ბავშვს, დოკუმენტაციის წარმოების პროტოკოლი უნდა ითვალისწინებდეს თანხმობის სასამართლოს მიერ დავალების შესაძლებლობას.

რა ვადით უნდა იქნას ჩანაწერი შენახული?

იდეალურ შემთხვევაში, ჩანაწერი შენახული უნდა იქნას ფიქსირებული ვადით, სანამ საქმეში ძალაში შევა საბოლოო გადაწყვეტილება. თუ სასამართლო ბრალდებულს დამნაშავედ ცნობს და დაუნიშნავს სასჯელს, ჩანაწერი შენახული უნდა იქნას სასჯელის მოხდის დღიდან ფიქსირებული ვადის გასვლამდე.

დანართი 1. NICHD-ის განახლებული პროტოკოლი და მისი დანართები

ჩამოტვირთეთ აქედან: https://nichdprotocol.com/Georgia%20protocol.pdf

დანართი 2. გავრცელებული მითები და მცდარი წარმოდგენები ბავშვების ინტერვიუირების შესახებ

ქვემოთ წარმოდგენილია გავრცელებული მითები და მცდარი წარმოდგენები სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ინტერვიუირების შესახებ, რომლებიც გაბათილებულია მტკიცებულებით.

მითი #1:
ბავშვზე სექსუალური ძალადობა ყოველთვის მოიცავს სხეულში შეღწევას.

არა. ბავშვზე სექსუალური ძალადობა შეიძლება არ მოიცავდეს სხეულში შეღწევას.

მითი #2:
ბავშვზე სექსუალური ძალადობა ყოველთვის მოიცავს ფიზიკურ ძალას.

არა. ბავშვზე სექსუალური ძალადობა შეიძლება არ მოიცავდეს ფიზიკურ ძალას. უფრო მეტიც, შემთხვევების უმრავლესობაში, ბავშვზე სექსუალური ძალადობა არ ტოვებს ფიზიკურ დაზიანებას ან სხვა სამედიცინო მტკიცებულებას (აშშ-ს კვლევების თანახმად, სამედიცინო მტკიცებულება მოპოვებული იქნა ბავშვზე სექსუალური ძალადობის დასაბუთებული შემთხვევების 5%-ზე ნაკლებში).

მითი #3:
ბავშვზე სექსუალური ძალადობა იგივეა, რაც ბავშვის სექსუალური ხასიათის შეხება.

ნაწილობრივ. ბავშვზე სექსუალური ძალადობა ხშირად მოიცავს სექსუალური ხასიათის შეხებას, თუმცა, ზოგი შემთხვევა საერთოდ არ მოიცავს ფიზიკურ კონტაქტს.

მითი #4:
ბავშვზე სექსუალური ძალადობა შეხების გარეშე (ძალადობა კონტაქტის გარეშე) მხოლოდ ონლაინ სივრცეში ხდება.

არა. ძალადობა კონტაქტის გარეშე ხშირად ხდება ონლაინ სივრცეში, თუმცა, შესაძლოა მოხდეს ონლაინ სივრცის გარეთაც. ბავშვისთვის პორნოგრაფიის ჩვენება, ბავშვისთვის

სასქესო ორგანოების ჩვენება ან ბავშვის წაქეზება, უყუროს სექსუალური ხასიათის ქმედებას, უკონტაქტო ძალადობის მაგალითებია.

მითი #5:
ძალადობას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ ბავშვს ზიანი მიადგა.

არა. სექსუალური ძალადობა ეტაპობრივი პროცესია და ხშირად, მისი საწყისი ეტაპია გრუმინგი. გრუმინგი ნიშნავს ბავშვის მომზადებას ძალადობისთვის. ამავდროულად, ბავშვი შესაძლოა ვერ აცნობიერებდეს, თუ რა ხდება და „გრუმერის“ ქმედებები შესაძლოა „მეგობრობად“ ან „ზრუნვად“ მიიღოს.

მითი #6:
ძალადობას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ ბავშვი თვლის, რომ მან განიცადა ძალადობა.

არა. ხშირად მსხვერპლი (ვინც განიცადა სექსუალური ძალადობა) ვერ აცნობიერებს საკუთარ ვიქტიმიზაციას.

მითი #7:
სექსუალური ძალადობა ძირითადად მოიცავს ძალადობას გოგოზე.

არა. მსხვერპლი შესაძლოა იყვნენ გოგონებიც და ბიჭები, ხოლო მოძალადე შესაძლოა იყოს ქალიც და კაციც. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ხშირად ძალადობის ჩამდენი კაცია, თუმცა სექსუალური ძალადობის ხუთი შემთხვევიდან ერთი ჩადენილი ქალის მიერ (აშშ-ს სტატისტიკა).

მითი #8:

ბავშვზე სექსუალური მოძალადე იგივეა, რაც პედოფილი.

არა. ბავშვზე სექსუალური მოძალადე შეიძლება არ იყოს პედოფილი. რეალურად, ბავშვზე სექსუალურ მოძალადეებს შორის პედოფილები უმცირესობას წარმოადგენენ.

ბავშვზე სექსუალური მოძალადეები იყოფიან სიტუაციურ და პრეფერენციულ მოძალადეებად.

სიტუაციური მოძალადე აღნიშნავს მოძალადეს, რომლის სექსუალური პრეფერენცია ბავშვებს არ უკავშირდება, თუმცა, იგი სქესობრივ კავშირს ამყარებს ბავშვებთან მხოლოდ და

მხოლოდ ადვილი ხელმისაწვდომობის გამო და/ან თავს იტყუებს ბავშვის ასაკისა და სქესობრივი კავშირისადმი თანხმობის შესახებ. სიტუაციური მოძალადის მიერ ბავშვზე სექსუალურ ძალადობას შესაძლოა ჰქონდეს ან არ ჰქონდეს რეგულარული ხასიათი.

პრეფერენციული მოძალადე აღნიშნავს მოძალადეს, რომელიც აქტიურად ეძებს ბავშვებს სქესობრივი კავშირის დასამყარებლად. ასეთი მოძალადეები იყოფიან შემდეგ ჯგუფებად: ა) პედოფილები (პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ პედოფილიის დიაგნოსტიკურ კრიტერიუმებს, ე.ი. მათი სექსუალური ინტერესის ძირითად ან ერთადერთ საგანს წარმოადგენენ პრეპუბერტატული ბავშვები. ვლინდება პაციენტებში 16 წლიდან) და ბ) არა-პედოფილური პრეფერენციული მოძალადეები (ე.ი. კაცები, რომლებიც ეძებენ ქალწულებს სქესობრივი კავშირის დასამყარებლად).

მითი #9:

ბავშვზე ძალადობა ხდება მხოლოდ საზოგადოების ზოგიერთ ფენაში.

არა. ფიზიკური ძალადობის და უგულებელყოფის მაჩვენებელზე გავლენას ახდენს სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, თუმცა, ბავშვზე სექსუალურ ძალადობას ადგილი აქვს საზოგადოების ყველა ფენაში.

მითი #10:

ბავშვებზე ძალადობას ახორციელებენ საშიში შეხედულების, ფსიქოპატი უცხო პირები.

არა. შეერთებულ შტატებში 2015 წელს, მსხვერპლთა 91.6%-მა (ყველა ტიპის ძალადობა) ძალადობა განიცადა ერთი ან ორივე მშობლის მხრიდან. ბავშვზე სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, მსხვერპლთა 90% იცნობდა მოძალადეს.

მითი #11:

ბავშვები, როგორც წესი, ვინმეს ეუბნებიან ძალადობის შესახებ.

არა. ბავშვების უმრავლესობა ძალადობის შესახებ არავის ეუბნება. ხშირად, ისინი ჩუმად არიან მუქარის გამო ან შიშობენ, რომ მათ არ დაუჯერებენ.

მითი #12:

თუ ბავშვმა განიცადა სექსუალური ძალადობა, იარსებებს სამედიცინო მტკიცებულება.

შესაძლოა ასე არ იყოს. სამედიცინო მტკიცებულება ბავშვზე ძალადობის დასაბუთებული შემთხვევების მხოლოდ 5%-ში იქნა გამოვლენილი.

მითი #13:

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბიჭები ნაკლებ ტრავმას განიცდიან, ვიდრე გოგონები.

არა. ტრავმის სიმძიმე სექსუალური ძალადობის მამრობითი სქესის მსხვერპლებს შორის იგივეა, რაც მდედრობით მსხვერპლებს შორის.

მითი #14:

შშმ ბავშვები ნაკლებად ხდებიან ძალადობის მსხვერპლები, შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ბავშვებთან შედარებით.

არა. შშმ ბავშვები ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის უფრო მაღალი რისკის ქვეშ დგანან, ვიდრე შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ბავშვები.

დანართი 3. გამოყენებული წყაროები

- გაგოშიძე თ. (2009), ბავშვის განვითარების დარღვევები, თბილისი
- თავართქილაძე, ე. და სხვ. (2011) ბავშვზე ძალადობის ძირითადი საკითხები. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი.
- თავართქილაძე, ე. და სხვ. (2014) „მომიყევი რა მოხდა“. დაზარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვის სახელმძღვანელო ტრენერების და პროფესიონალებისთვის. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი
- Adams JA, Harper K, Knudson S, Revilla J Examination findings in legally confirmed child sexual abuse: it's normal to be normal. Pediatrics. 1994;94310- 317.
- Barrios, Y.V.; Gelaye, B.; Zhong, Q.; Nicolaidis, C.; Rondon, M.B.; Garcia, P.J.; Sanchez, P.A.M.; Sanchez, S.E.; Williams, M.A. Association of Childhood Physical and Sexual Abuse with Intimate Partner Violence, Poor General Health and Depressive Symptoms among Pregnant Women. PLoS ONE 2015, 10, e0116609.Berk L.E. (2006), Child Development, Pearson Education Inc.
- Arata, C. M. (1998). To tell or not to tell: Current functioning of child sexual abuse survivors who disclosed their victimization. Child Maltreatment, 3, 63–71.
- Baía PAD, Alberto IMM, Dell'Aglio DD. Predictors of recantation after child sexual abuse disclosure among a Brazilian sample. Child Abuse Negl. 2021 May
- Block, S.D. and Williams, L.M., The Prosecution of Child Sexual Abuse: A Partnership to Improve Outcomes (2019)

- Bowen K, Aldous MB. Medical Evaluation of Sexual Abuse in Children Without Disclosed or Witnessed Abuse. Arch Pediatr Adolesc Med. 1999;153(11)
- Bonner B. (1995) Child maltreatment: Impact on infant and child development \\ Mental health services in early child development
- Browne, A., & Finkelhor, D. (1986). Impact of child sexual abuse: A review of the research. Psychological Bulletin, 99
- Brubacher, S. & La Rooy, D. (2013). Witness recall across repeated interviews in a case of repeated abuse. Child Abuse & Neglect. In Press
- Craig G.J. (2006), Human Development, Prentice Hall
- Essabar, L.; Khalqallah, A.; Benjelloun, B.S. Child Sexual Abuse: Report of 311 Cases with Review of Literature. Pan Afr. Med. J. 2015, 20.; see also Morais, H.B.; Alexander, A.A.; Fix, R.L.; Burkhart, B.R. Childhood Sexual Abuse in Adolescents Adjudicated for Sexual Offenses: Mental Health Consequences and Sexual Offending Behaviors. Sex. Abus. 2018, 30.
- De Bellis M.D. & Thomas, L. (2003). Biological findings of post traumatic stress disorder and child maltreatment. Current psychiatry reports, 5
- ECPAT International and Interpol (2018), Towards a Global Indicator on Unidentified Victims in Child Sexual Exploitation Material: Technical Report.
- Finkelhor D. (2005) The victimization of children: A developmental perspective // American J. of Orthopsychiatry.
- Fontes, L. A., & Plummer, C. (2010). Cultural issues in disclosures of child sexual abuse. Journal of Child Sexual Abuse, 19
- Goldstein S. (1998) "The Sexual Exploitation of Children", ISBN 0-8493-8154-1
- Katz C, Hershkowitz I, Malloy LC, Lamb ME, Atabaki A, Spindler S. Non-verbal behavior of children who disclose or do not disclose child abuse in investigative interviews. Child Abuse Negl. 2012 Jan;36(1):12-20. doi: 10.1016/j.chiabu.2011.08.006. Epub 2012 Jan 21. PMID: 22265935.
- Katz, C., Paddon, M.J. & Barnetz, Z. (2016). Emotional Language Used by Victims of Alleged Sexual Abuse During Forensic Investigation. Journal of Child Sexual Abuse, 25:3, 243-261, DOI: 10.1080/10538712.2016.1137666.Krone, T. A Typology of Online Child Pornography Offending; Australian Institute of Criminology: Canberra, Australia, 2004.Hayne, H. (2004). Infant memory development: Implications for childhood amnesia. Developmental Review
- Lamb, Michael E. (2007, November 19). Structured forensic interview protocols improve the quality and informativeness of investigative interviews with children: A review of research using the NICHD Investigative Interview Protocol. Cambridge, UK.
- Lamb M.E., Hershkovitz I., Orbach Y., Esplin P. W., (2008) Tell Me What Happened – Structured Investigative Interviews of Child Victims and Witnesses, John Wiley and Sons Ltd.
- Lamb, M. E., La Rooy, D. J., Malloy, L. C., & Katz C. (Eds.) (2011). Children's Testimony: A Handbook of Psychological Research and Forensic Practice. Wiley-Blackwell.
- Lyon TD. 2007. False denials: Overcoming methodological biases in abuse disclosure research. In Child sexual abuse: Disclosure, delay and denial, M Pipe, M Lamb, Y Orbach, AC Cederborg (eds). Lawrence Erlbaum Associates: London
- Lyon, T.D., McWilliams, K., & Williams, S. (2017). "Child Witnesses." In (N. Brewer & A.B. Douglass, eds.) *Psychology & Law*. New York, NY: Guilford.

- Malloy, Lindsay C. , Brubacher, Sonja P. and Lamb, Michael E.(2011) 'Expected Consequences of Disclosure Revealed in Investigative Interviews with Suspected Victims of Child Sexual Abuse', Applied Developmental Science, 15
- Malloy LC, Lyon TD, Quas JA. Filial dependency and recantation of child sexual abuse allegations. J Am Acad Child Adolesc Psychiatry. 2007 Feb; 46(2)
- McCollum, D. (2009). The Hidden Toll of Abuse Cover Story
- Morais, H.B.; Alexander, A.A.; Fix, R.L.; Burkhart, B.R. Childhood Sexual Abuse in Adolescents Adjudicated for Sexual Offenses: Mental Health Consequences and Sexual Offending Behaviors. Sex. Abus. 2018, 30.Greenwald, R. (2005). Child Trauma Handbook. Nathanson R, Crank J.N (2004) Interviewing Children With Disabilities, University of Nevada
- Perry, B.D. (2000c). Traumatized children: How childhood trauma influences brain development
- Perry, B.D. (2003). Effects of Traunatic Events on Children, The ChildTrauma Academy
- Peter A. Levine, Maggie Kline; (2006) Trauma Through A Child's Eyes;
- Rush F. (2002) Best kept secret: The sexual abuse of children.
- Sjoberg RL, Lindblad F. 2002. Limited disclosure of sexual abuse in children whose experiences were documented by videotape. The American Journal of Psychiatry 159
- Sjoberg RL, Lindblad F. Delayed disclosure and disrupted communication during forensic investigation of child sexual abuse: a study of 47 corroborated cases. Acta Paediatr. 2002;91(12)
- Tishelman, A. C., & Geffner, R. (2010). Forensic, cultural, and systems Issues in child sexual abuse cases: An introduction. Journal of Child Sexual Abuse, 19(5)
- Voogt A, Klettke B, Crossman A. Measurement of Victim Credibility in Child Sexual Assault Cases: A Systematic Review. Trauma Violence Abuse. 2019 Jan; 20(1)
- White, S. (2010) "The Investigatory Interview with Suspected Victims of Child Sexual Abuse". In A. LaGreca, ed., Through eyes of Children
- Wilcock R, Crane L, Hobson Z, Nash G, Kirke-Smith M, Henry LA. Supporting child witnesses during identification lineups: Exploring the effectiveness of registered intermediaries. Appl Cogn Psychol. 2018 May-Jun;32(3)
- Wood, B., Orsak, C., Murphy, M., & Cross, H. J. (1996). Semistructured child sexual abuse interviews: Interview and child characteristics related to credibility of disclosure. Child Abuse & Neglect, 20(1)